პალიტრა მედია

ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

26 მარტი **შაბათი** 2011

№070 (13367) ფასი 60 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხორვატები ბევრს ლაპარაკობენ

ქართველები ჩუმად არიან

მათ ეთქმით

ჩვენ უნდა ვთქვათ!

ბიჭები VS იჩები

2-3

● ეროვნული ნაკრები

საქართველოსა და ხორვატიის ეროვნული ნაკრებების შეხვედრის ბილეთები თამაშამდე ერთი დღით ადრე სრულად გაიყიდა.

ფეხბურთის ფედერაციის პრესატაშე **ლაშა დვალიშვილის** ცნობით, დილისთვის მხოლოდ 2 ათასი 30-ლარიანი ბილეთი იყო დარჩენილი, საღამოს 20 საათზე კი ეროვნული სტადიონის დირექტორ **სანდრო შახოვს** დავუკავშირდით.

"ჩემი ინფორმაციით, ამ დროისთვის ყველა ბილეთი გაყიდულია და თამაშზე ანშლაგი იქნება" - გვითხრა შახოვმა.

ასეთი რამ მხოლოდ საბჭოთა პერიოდის თბილისის "დინამოს" მატჩებზე ხდებოდა. ეროვნული ნაკრების შეხვედრით გამოწვეული მსგავსი აჟიოტაჟი კი დიდი ხანია, აღარ ყოფილა.

ეროვნული სტადიონი ბოლოს 1995 წელს შეივსო, როდესაც თბილისს გერმანიის ნაკრები ესტუმრა. დიდი ინტერესი გამოიწვია 2006 წლის 2 სექტემბერს საფრანგეთის ნაკრების სტუმრობამაც, თუმცა განახლებულ სტადიონზე 3 ათასამდე ბილეთი მაინც გაუსაღებელი დარჩა. ისიც სათქმელია, რომ ამჟამად ეროვნული სტადიონის ტრიბუნებზე 54 630 ინდივიდუალური სკამია, განახლებამდე კი 74 432 მაყურებელს იტევდა და ინგლის-იტალიასთან 54 ათასზე ბევრად მეტი გულშემატკივარიც მისულა.

სხვათა შორის, სტადიონის საფარი ამჟამად ბევრად უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე შარშან, როდესაც ის **თემურ ქეცბაიამ** "ყანად" მონათლა.

მერაბ მამულაშვილი

● ვისთვის მწარე, ვისთვის ტკბილი

ბილიჩი გვენახოს გაზაევის სახით

მაშინ ქართველებმა მაგრად გვატკინეს



რუსეთის ნაკრები დღეს ერევანში სომხეთის ეროვნულ გუნდს ხვდება. მატჩამდე "სოვეტსკი სპორტმა" საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის ნაკრების კავკასიური შეხვედრები გაიხსენა და აღმოჩნდა, რომ საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც რუსებმა წააგეს – 1998 წლის 30 მაისის ამხანაგური შეხვედრა 1:1 დასრულდა, 2003 წლის 30 აპრილს კი **მალხაზ ასათიანის** გოლით 1:0 მოვიგეთ. სომხებს 1999 წელს 3:0 აჯობეს, 2009 წელს კი ბაქოში აზერბაიჯანელებს დაუზავდნენ – 1:1.

მატჩები ნაკრების მაშინდელმა ფეხბურთელებმა გაიხსენეს, რომელთა კომენტარები უცნაურად მოგეჩვენებათ - რუსები სტუმრობას თბილად კი იხსენებენ, მაგრამ დღემდე ფიქრობენ, რომ მათ გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია და რომ ინგლისის, გერმანიისა და იტალიის ნაკრებების საქართველოში ჩამოსვლის მიუხედავად, დიდი ფეხბურთი რუსეთის ნაკრების სტუმრობამ დაგვიბრუნა.

პირველ მატჩზე **ვლადიმირ ბესჩასტნიხმა** ილაპარაკა: *"ეს იყო ზეიმი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ხალხს დიდი ფეხბურთი მოენატრა და სტადიონი შეივსო. საქართველოში მძიმე დრო იდგა, ბევრ ქალაქში არ ჰქონდათ შუქი, ქუჩებში ბნელოდა, მაგრამ ჩვენ ძალიან თბილად დაგვხვდნენ. მოვიდნენ ნაცნობები, რომლებთან გასაუბრებაც სასიამოვნო იყო. ნაკრები კი ძლიერი ჰყავდათ – არველაძე, ქინქლაძე, ჯანაშია... სამწუხაროდ, მეორე ტაიმში მასპინძელთა შეგიწოლება ვერ შეეძელით".*

2003 წელს წაგებული შეხვედრა კი **ეგორ ტიტოვმა** გაიხსენა: *"იმ დროს საქართველოში პოლიტიკური ვნებები არ იგრძნობოდა და ყველაფერი გულწრფელი იყო, ქვეტექსტების გარეშე. მაშინ მათ ნაკრებში კალაძე თამაშობდა, რომლის გვარიც მთელ ევროპაში ქუხდა და მეც პატივისცემით ვუყურებდი. სწრაფი გოლი გაუშვეთ და თამაში ვერაფრით დავალაგეთ. შესვენება ზე ვალერი გაზაევმა რამდენიმე ფეხბურთელს შორის ისე უხეშად გაიარა, მე და დიმიტრი ალენიჩევი ერთმანეთს გაოგნებული ვუყურებდით. მატჩის შემდეგ კი ავიდა ავტობუსში, უხმოდ დაჯდა, ვერავის ამჩნევდა და ერთ ადგილს უმზერდა. შეგვეცოდა, ჩვენც ძალიან გულდაწყვეტილები ვიყავით. მაშინ საქართველოს ნაკრებს სერიოზულ მეტოქედ არავინ აღიქვამდა და წაგება ძალიან მტკივნეული გამოდგა".*

ეს წარსულია და იქნებ აღაც არის საინტერესო, მაგრამ ახლაც დაახლოებითი მსგავსი ვითარებაა: მიუხედავად შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრების კარგი სტარტისა, ხორვატები თბილისში მოსაგებად მოდიან და სერიოზულ მეტოქედ მაინც არ მიგვიჩნევენ. ჩვენ კი იმედი დავიტოვოთ, რომ 26 მარტს მატჩის შემდეგ ხორვატების მთავარი მწვრთნელი **სლავენ ბილიჩიც** ავტობუსში გაზაევივით უხმოდ იჯდება და ერთ ადგილს მიაჩერდება.

მერაბ მამულაშვილი

ხორვატიასთან მატჩამდე

ბიბლიოთეკა

გურული დაშავდა, მაგრამ გამოგვაკლდა?

ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილის

ხორვატებთან შეხვედრამდე ერთი დღით ადრე, როდესაც საქართველოს ეროვნული ნაკრები „ბორის პაიჭაძეზე" ბოლო ვარჯიშს ატარებდა, ლევოვის "კარპატის" შემტევი ნახევარმცველი **სანდრო გურული** დაშავდა და დღეს მისი თამაში საეჭვოა.

არადა, ვარჯიშის ბოლოს, ორკარა რომ მთავრდებოდა, შეტევისას გურულს **ალეკო ამისულაშვილი** შეეჯახა და მოედნიდან ნაკრების მასაჟისტის, **როლანდ ხვადაგიანის** დახმარებით გავიდა. ხვადაგიანის თქმით, სანდროს კოჭი ეტკინა, მაგრამ **თემურ ქეცბაიას** დღეს დილით ეცოდინება, შეძლებს თუ არა თამაშს გურული.

ეროვნული ნაკრების გუშინდელი ვარჯიში ჩვეული განრიგით მიმდინარეობდა, მაგრამ კვადრატების შემდეგ კომბინაციები აღარ დაუმუშავებიათ და პირდაპირ ორკარაზე გადავიდნენ. ეტყობა, ქეცბაიამ გაითვალისწინა, რომ სტადიონზე ხორვატებიც იმყოფებოდნენ.

ცხადია, ორკარა ჩვენთვის საინტერესო იყო, ვის ათამაშებდა ქეცბაია "ყვითლებში", ანუ ძირითად შემადგენლობასთან მიახლოებულ სავარაუდო გუნდში.

"ყვითლები": **რევიშვილი - სალუქვაძე, ხუბუტია, ამისულაშვილი, კალაძე - დაუშვილი, ხიზანიშვილი - გოგუა, იაშვილი, გელაშვილი - დვალიშვილი.**

"წითლები": **ლორია - ალადაშვილი, კაშია, ხიდეშელი, კვრკველია - მარცვალაძე, კანკავა, კობიაშვილი, გურული - მოდებაძე, სირაძე.**

ცხადია, კითხვებს ბადებდა „წითლებში" კობიაშვილის თამაში, მაგრამ ძალიან გვეეჭვება, ძირითადში რომ არ დააყენონ. გურულის დაშავების შემდეგ "ნეიტრალური" **ალექსანდრე კოშკაძე** "წითლებს" შეუერთდა.

მატჩი კი 1:1 დასრულდა. ანგარიში მშვენიერი საჯარიმო დარტყმით **ალექსანდრე იაშვილმა** გახსნა - ბურთი ლორიას კარის „ცხრიანში" ჩაეშვა, სამ წუთში კი **ირაკლი მოდებაძემ** წონასწორობა აღადგინა - 1:1.

შეგახსენებთ, საქართველო-ხორვატიის დაპირისპირება ეროვნულ სტადიონზე 21 საათზე დაიწყება. მატჩის პირდაპირ ტრანსლაციას "პირველი არხი" შემოგვთავაზებს.

მერაბ მამულაშვილი

● U17

საფრანგეთი-საქართველო 2:0

1:0 ჰალერი (31), იასიენი (50)

საფრანგეთი: ბონადრო, იკოკო, მენდი, კალვე, ზუმა, აუსტა, ნკუსუ, მეიტე, იასიენი (80. ბაკაიოკო), ჰალერი (59. ნანგისი), ლაბორი (61. ლაპორტი).

საქართველო: თებიძე, მთივლიშვილი, ცნობილაძე, სანდოხაძე, ჭილვარია, გოგიჩაიშვილი (71. ფანცულაია), ჰუფნაგელი, ექვთიმიშვილი (51. დიასამიძე), სამუშია, მარკოზაშვილი, ტარყაშვილი (41. ენდელაძე).

გაფრთხილება: სანდოხაძე (65)

არბიტრი: ა. სიდიროპულოსი (საბერძნეთი)

შანსი სტარტზევე დავკარგეთ

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ელიტრაუნდი მარცხიანად დაიწყო. **კობა ჟორჟიკაშვილის** გუნდი ნანტის "ლა ბოჟუარზე" ჯგუფის ფავორიტ საფრანგეთს დაუპირისპირდა და საკუთარ კარში ორი უპასუხო ბურთი მიიღო. ამით ჩვენმა გუნდმა ფინალურ ეტაპზე გასვლის თითქმის ყველა შანსი დაკარგა. შეგახსენებთ, იქ თამაშის უფლებას მხოლოდ ჯგუფის გამარჯვებულები მიიღებენ და თავად განსაჯეთ, გუშინდელი მარცხის შემდეგ პირველობის რა იოტისხელა შესაძლებლობა დაგვრჩა.

უეფას ოფიციალურ ვებგვერდზე მატჩის ქრონოლოგია და სტატისტიკაა წარმოდგენილი, რომლითაც ამ შეხვედრის შესახებ გარკვეული წარმოდგენის შექმნა შეიძლება. სათამაშო და ტერიტორიულ უპირატესობას ფრანგები ფლობდნენ, მაგრამ დროდადრო ქართველებიც უტევდნენ. ბუნებრივია, ჩვენი გუნდის შემტევი პოტენციალი საგრძნობლად შეასუსტა **ბაჩანა არაბულის** ტრავმამ.

სტატისტიკას რაც შეეხება, ფრანგებმა კარში 6-ჯერ დაარტყეს, ქართველებმა კი 3-ჯერ; ჟორჟიკაშვილის გუნდს კუთხური საერთოდ არ მოუწოდებია, მასპინძლებმა კი ეს სტანდარტული 7-ჯერ შეასრულეს; ფრანგები 15-ჯერ დაჯარიმდნენ, ხოლო ქართველები 9-ჯერ.

ხვალ საქართველოს ნაკრები ბელარუსს შეხვდება და იმედია, ელიტრაუნდის პირველ გამარჯვებას მოიპოვებს.

ჯგუფის მეორე მატჩში ნორვეგიამ ბელარუსი 5:1 გაანადგურა და ბურთების უკეთესი შეფარდებით სატურნირო ცხრილს სათავეში ჩაუდგა.

ლევან ჯანეზაშვილი

ხორვატები დიდგულობენ: სამეულიანობენ

სტადიონზე ხორვატ ფეხბურთელებთან გასაუბრება შეუძლებელი აღმოჩნდა, სამაგიეროდ, რამდენიმე მათგანმა მედიასთან კომენტარი თბილისის აეროპორტში გააკეთა. სტუმართა სიტყვებიდან ოპტიმიზმი და თავდაჯერება გამოსჭვივის.

მლადენ პეტრიჩი: *"იოლი თამაში ნამდვილად არ გველის, საქართველოს ნაკრებს გულშემატკივართა მხარდაჭერაც გარანტირებული აქვს, მაგრამ ამის მიუხედავად, მჯერა, რომ ხორვატია გაიმარჯვებს".*

ივან რაკიტიჩი: *"თბილისში გამარჯვებით ევროპის ჩემპიონატის ფინალურ რაუნდს კიდევ ერთი ნაბიჯით მივუახლოვდებით და ამიტომაც ამ მატჩის მნიშვნელობა კარგად გვესმის. მეტოქე ხელწამოსაკრავი არ გვყავს, მაგრამ გამარჯვების დიდი იმედი მაქვს".*

იოსიპ შიმუნიჩი: *"გამარჯვების გარდა, სხვა შედეგი ჩემთვის მიუღებელი იქნება. ხორვატია საქართველოზე ძლიერია, მეტიც, ჯგუფის ფავორიტია და ეს თბილისშიც უნდა დაამტკიცოს".*

დღევანდელ დაპირისპირებაზე თავისი აზრი **დავორ შუკერმაც** გამოთქვა: *"თბილისში სასიამოვნო ამინდი დაგვხვდა და მგონია, რომ თამაშიც კარგი გამოვა. სტუმრად ვთამაშობთ, მაგრამ მხოლოდ გამარჯვებაზე ვფიქრობთ".*

ლევან ჯანეზაშვილი

● ხუმრობთ?

ანანიძე საბჭოთა კავშირის ნაკრებში მიიწვიეს

განუკურნებელი ვირუსი: ეს ხალხი ისევ ესესერია

რუსები დღემდე მისტირიან CCCP-ს. აგერ, ახლაც: "სოვეტსკი სპორტმა" 23 მარტს რუბრიკით "ფენტეზი ფუტბოლ" მკითხველს 2011 წლის საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის სიმბოლური ნაკრებების შემადგენლობები შესთავაზა.

არარსებული სსრკ ნაკრების სათადარიგოებში საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის "სპარტაკის" პლეიმეიკერი **ჯანო ანანიძე** დასახელეს, ფეხბურთელთა უმრავლესობა რუსეთისა და უკრაინის ნაკრებებიდან შეარჩიეს, სომეხთაგან სათადარიგოებში მოხვდა დონეცკის "შახტარის" თავდამსხმელი **გენრიხ მხითარიანი**, ლიტვიდან კი მოსკოვის ცსკა-ს მარცხენა მცველი **დევიდას შემბერასი**. ავტორის "ობიექტურობაზე" კალაძის არდასახელებაც მეტყველებს.

სოლიდურად არიან წარმოდგენილნი იუგოსლავიის სიმბოლურ ნაკრებში ჩვენი მეტოქე ხორვატები: ძირითადში რუსებმა ორნი დაასახელეს, დონეცკის "შახტარის" მარჯვენა მცველი **დარიო სრნა** და "ტოტენჰემის" ნახევარმცველი **ლუკა მოდრიჩი**, სათადარიგოებში კი - "ტოტენჰემის" მეკარე **სტიპ პლეტიკოშა** და მცველი **ვედრან ჩორლუკა**, "ბაიერნის" მცველი **დანიელ პრანიჩი**, კიევის "დინამოს" ნახევარმცველი **ოგნიენ ვუკოევიჩი**, "სევილიას" შუახაზელი **ივან რაკიტიჩი** და "ბაიერნის" თავდამსხმელი **ივიცა ოლიჩი**.

მერაბ მამულაშვილი

დამფუძნებელი და გამომცემელი
ჰას გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

ჰალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალების და ფოტოების სხვა გეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ნაკრები — ხორვატიასთან მატჩამდე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ჩორლუკა: ხორვატთა მორიგი დანაკარგი?

თავდაპირველი ინფორმაციით, ხორვატიის ნაკრების ვარჯიში მედიისთვის მხოლოდ 15 წუთი უნდა ყოფილიყო ღია, მაგრამ წვრთნის ცქერის საშუალება თავიდან ბოლომდე მოგვცეს. უბრალოდ, პირველი 15 წუთი მოედნის კიდესთან დგომის უფლება გვქონდა, რის შემდეგაც ტრიბუნაზე ავინაცვლეთ.

როგორც ღია ვარჯიშებზე ხდება ხოლმე, ფეხბურთელები დიდად არ დატვირთულან და ბურთით იმუშავეს. ყველაზე ყურადსაღები კი, ცხადია, ორმხრივი თამაში იყო, რომელიც ბილიჩის ფეხბურთელებმა ნახევარ მოედანზე გამართეს.

ერთი საინტერესო და ხორვატთათვის უსიამოვნო ამბავი მაინც მოხდა – ვარჯიში ნაადრევად შეწყვიტა დაშავებულმა **ვედრან ჩორლუკამ**. "ტოტენჰემის" მცველმა ეროვნული სტადიონის მოედანი კოჭლობით დატოვა. ბუნებრივია, მისი დღევანდელ მატჩში მონაწილეობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა.

რუნიე – სრნა, შილდენფელდი, შიმუნიჩი, პრანიჩი – პეტრიჩი, ვუკოევიჩი, მოდრიჩი, კრანჩარი – იელავიჩი, კალინიჩი – ასეთი იყო ერთი გუნდის შემადგენლობა, რაც სულაც არ არის იმის გარანტია, რომ დღეს ხორვატები ასეთი სასტარტო შემადგენლობით ითამაშებენ, მაგრამ გამორიცხულიც არაა...

ნიკიცა იელავიჩი და **ნიკოლა კალინიჩი** ხორვატიის ნაკრების ძირითადი თავდამსხმელები არასდროს ყოფილან, მაგრამ **ივიცა ოლიჩისა** და **ედუარდოს** ტრავმები **სლავენ ბილიჩს** სხვა არჩევანს არ უტოვებს. შესაძლებელი იყო, ცენტრფორვარდად **მლადენ პეტრიჩი** გვეხილა, მაგრამ გუშინდელ ვარჯიშზე იგი ფლანგიდან უტევდა. უნივერსალი **დანიელ პრანიჩი** ბილიჩს გუშინ მარცხენა მცველად ჰყავდა გამწესებული, საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე კი მისი ადგილი **ოგნიენ ვუკოიევიჩმა** დაიკავა. თუ ჩორლუკამ ვერ ითამაშა, დაცვის ცენტრში **იოსიპ შიმუნიჩს** სავარაუდოდ, **გორდონ შილდენფელდი** შეუწყვილდება.

ლევან ჯანეზაშვილი

სლავენ ბილიჩი მხოლოდ მოგებაზე ფიქრობს, თუმცა არც ფრე დაამწუხრებს

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ხორვატიის ნაკრები თბილისში გუშინ, 15 საათზე ზაგრებიდან ჩარტერული რეისით ჩამოფრინდა და სასტუმრო "შერატონში" დაბინავდა. გუნდს საქართველოში ხორვატიული ფეხბურთის ლეგენდა დავორ შუკერიც ჩამოჰყვა.

ხორვატებმა რამდენიმე საათი დაისვენეს, საღამოს 7 საათზე კი ეროვნული სტადიონის საკონფერენციო დარბაზში მათი ნაკრების მთავარი მწვრთნელის, სლავენ ბილიჩის პრესკონფერენცია გაიმართა, რასაც ვარჯიში მოჰყვა. პრესკონფერენციაზე თარჯიმნობა უეფას მედიაოფიცერმა მამუკა კვარაცხელიამ გასწია.

ბილიჩმა სულ რამდენიმე შეკითხვას უპასუხა, თავდაჯერებულად ილაპარაკა, მაგრამ მეტოქეც პატივისცემით მოიხსენია.

- როგორია თქვენი აზრი საქართველოს ნაკრებზე და როგორ თამაშს ელით თბილისში?

- ვფიქრობ, საკმაოდ რთული მატჩის ჩატარება მოგვიწევს. საქმე გვაქვს ბრძოლისუნარიან გუნდთან, რომელიც განსაკუთრებით ძლიერი საკუთარ კედლებშია. ვიცი, რომ სტადიონის ტრიბუნები ბოლომდე შეივსება, რაც საქართველოს ნაკრებისთვის დიდი კოზირი იქნება, მაგრამ ჩვენი მიზანი გამარჯვებაა, რისი დიდი იმედიც გვაქვს. ორივე გუნდმა გასული წელი დაუმარცხებლად განვლო, ახლა იმისთვის ვიბრძოლებთ, რომ ჩვენი წარმატებული სერია გაგრძელდეს, ქართველებისა კი შეწყდეს.

- ედუარდოსა და ოლიჩის არყოფნა თქვენი გუნდის შემტევ პოტენციალს არ შეასუსტებს?

- ორივე ჩვენი გუნდის წამყვანი თავდამსხმელია და, რა თქმა უნდა, მათი არყოფნა დიდი დანაკლისია. ოლიჩი დიდი ხანია, დაშავებულია და მის არყოფნას უკვე შევეგუეთ, ედუარდოს თბილისში თამაში კი რამდენიმე დღეა, გამოირიცხა. რაღა თქმა უნდა, არაა სასიამოვნო ამბავი, მაგრამ სხვა მაღალი კლასის ფორვარდებიც გვყავს და ტრავმირებულებს უმტკივნეულოდ შევცვლით.

- რომელ გუნდს მიიჩნევთ მთავარ კონკურენტად ჯგუფში პირველი ადგილისთვის ბრძოლაში?

- როცა ვარშავაში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის წილისყრა ჩატარდა და მეტოქეთა ვინაობა შევიტყვეთ, მაშინვე ყველამ მიიჩნია, რომ ხორვატიის ნაკრების მთავარი მეტოქეები საბერძნეთი და ისრაელი იქნებოდნენ. მე ამ მოსაზრებას არ დავეთანხმე და ვთქვი, რომ საქართველო და ლატვიაც ძლიერი გუნდები არიან. როგორც ხედავთ, ჩემი მოსაზრება გამართლდა. ჩემ მიერ ნახსენები თითოეული ნაკრები ღირსეულ მეტოქედ მიმაჩნია.

- თუ თბილისში ფრედ ითამაშეთ, ამას ძალიან ცუდ შედეგად მიიჩნევთ?

- მხოლოდ გამარჯვებაზე ვფიქრობთ, თუმცა ვინ იცის, შესაძლოა, დიდად არც ფრემ დაგვამწუხროს.

- რა შეიცვალა ხორვატიის ნაკრებში ევრო 2008-ის შემდეგ?

- შემადგენლობის დაახლოებით 60 პროცენტი შეიცვალა, სამაგიეროდ, უცვლელი დარჩა ჩვენი მიზნები – გუნდი პროგრესსა და განვითარებას აგრძელებს და ძალიან ბევრის მიღწევა შეუძლია.

- ინგლისურ პრემიერლიგაში თემურ ქეცბაიას წინააღმდეგ თამაში ხომ არ გახსენდებათ?

- "ნიუკასლის" წინააღმდეგ ნამდვილად მითამაშია (ბილიჩი "ვესტ ჰემისა" და "ევერტონის" ფეხბურთელი იყო, **რედ.**), მაგრამ, სამწუხაროდ, ქეცბაიას ვერ ვიხსენებ.

ლევან ჯანეზაშვილი

ლეგიონერები

ბოჟოვიჩის ქართული მაგალითები

გამორჩეულნი: გრიგალავა და მარცვალაძე

საქართველოს ნაკრები 29 მარტს ისრაელთან ევროშესარჩევი ციკლის შეხვედრას ჩაატარებს და ფეხბურთელები კლუბებს მიაშურებენ. ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგა" მესამე ტურში მოსკოვის "დინამოს" უმასპინძლებს.

მოსკოველთა ჩერნოგორიელი მთავარი მწვრთნელი **მიოდრაგ ბოჟოვიჩი** *ნიჟნი-ნოვგოროდელთა ქართველ ფეხბურთელებს განსაკუთრებით აქებს და უფრთხის.*

"მოსკოვის "სპარტაკთან" "ვოლგას" შეხვედრა ვნახე. ნიჟნი ნოვგოროდში საკმაოდ გამოცდილი ფეხბურთელები შეიკრიბნენ და ძლიერი მწვრთნელიც ჰყავთ. გუნდიდან კი გამოვარჩევდი მცველ გრიგალავას, რომელიც ჩემთან "მოსკვაში" თამაშობდა. "ვოლგას" სხვა ძლიერი ფეხბურთელებიც ჰყავს, მაგალითად, რუსეთის პირველი დივიზიონის ბომბარდირი მარცვალაძე. ის სწრაფი და მოუხელთებელი თავდამსხმელია, რომელთანაც დაცვაში დიდი ყურადღების გამოჩენა გვმართებს" – ამბობს ბოჟოვიჩი.

მერაბ მამულაშვილი

მოულოდნელი მომენტი

კაცი, რომელიც ყველგან მიდის, მაგრამ ვერსად რჩება

ლემონჯავას თურმე ზოთა ზეუწუხებია

ავსტრიის ოთხთა ტურნირზე საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში 19 წლის თავდამსხმელ აპოლონ ლემონჯავას დებიუტზე უკვე ვწერდით – მან ისრაელის ნაკრებთან შეცვლაზე ითამაშა.

ვფიქრობ, უინტერესო არ უნდა იყოს ჩვენთვის უცნობი ახალგაზრდა ქართველის გაცნობა, რომელმაც 2009-10 წლების სეზონი როტერდამის "ფეიენოორდის" დუბლშემადგენლობაში ჩაატარა და 20 მატჩში 15 გოლით გუნდის ბომბარდირი გახდა. აპოლონს ავსტრიაში დავუკავშირდით.

- აპოლონ, ქართული იცი?

- ენა კი მესმის, მაგრამ ცუდად ვლაპარაკობ. 2 წლისაც არ ვიყავი, ჩემი ოჯახი სოხუმიდან თბილისში რომ გადმოვიდა, სამ თვეში მოსკოვში გავემგზავრეთ, იქ კი ქართულად მოლაპარაკე თითქმის არავინ მყავდა. 6 წლიდან მოსკოვის "სპარტაკის" საფეხბურთო სკოლაში ვვარჯიშობდი.

- ერთ-ერთ რუსულ ინტერნეტგაზეთს უთხარი, რომ "ფეიენოორდის" შემდეგ გასინჯვაზე იყავი "პარტიზანში", "ატალანტაში", "ბორდოში", "შალკეში", "ვიტესში", "მარსელში", "ალანიაში."

- კლუბებს მენეჯერი ეძებდა, ზოგან არ გამიმართლა, რამდენიმე გუნდში დარჩენა თავად არ ვისურვე, ერთ-ერთი კლუბი აგენტს არ მოეწონა. მოკლედ, 2010 წელი ჩემთვის უიღბლო გამოდგა. ამჟამად ინდივიდუალურად ვემზადები.

- მართალია, რომ "ვიტესში" გტოვებდნენ?

- მტოვებდნენ, მაგრამ "მარსელში" მიმიწვიეს და მეგონა, გარანტირებული კონტრაქტი მქონდა. სამწუხაროდ, შევცდი.

- "ფეიენოორდში" როგორ მოხვდი?

- სკოლის შემდეგ მოსკოვის "ტორპედოს" 17-წლამდელთა გუნდში ამიყვანეს, შემდეგ მოსკოვის "სპარტაკის" 19-წლამდელებში, მერე კი მენეჯერმა ჰოლანდიაში წამიყვანა, სადაც ჩვენი ოჯახი მცირე ხნით ცხოვრობდა.

- "ფეიენოორდის" დუბლების ბომბარდირმა გუნდი რატომ დატოვე?

- ხელმძღვანელობასთან უსიამოვნება მომივიდა, ბომბარდირი კი ვიყავი, მაგრამ პროფესიული კონტრაქტის გაფორმება არ მსურდა.

- "ფეიენოორდს" რას უწუნებდი?

- არაფერს, დიდი ისტორიის კლუბია, მაგრამ ეტყობა არ იცით, რომ შარშან გაკოტრებისპირას მივიდა. მითხრეს, ვითარება გამოსწორდება და მოითმინეო, მაგრამ გაურკვევლობა და ლოდინი არ მხიბლავდა. ამბიცია კი ნამდვილად მაქვს.

- ამბიცია კარგია, მაგრამ რუსეთის პირველი ლიგის "ალანიაში" რატომ არ დაგტოვეს?

- ვლადიკავკაზში წასვლა არ მინდოდა, მაგრამ ავტორიტეტიანი ვალერი გაზაევის გუნდში თამაშზე უარი ვერ ვთქვი. ჟელეზნოვოდსკის შეკრებაზეც გავყევი, საიდანაც ისე გამომიშვეს, რომ ბურთი არც მინახავს.

- შევიტყვეთ, რომ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შეკრებაზე თავად გამოცხადდი.

- ასეც არ იყო. შოთა არველაძეს დავუკავშირდი და ვთხოვე, თუ სურვილი ექნებათ, ვარჯიშებზე დამაკვირდნენ და გადაწყვიტონ, ულირთ თუ არა ჩემი აყვანა-მეთქი. ავსტრიაში ახალგაზრდულის მწვრთნელებმა მნახეს და დამტოვეს.

- არველაძეს საიდანღა იცნობ?

- ხომ გითხარით, ჰოლანდიაშიც ვცხოვრობდით, მამაჩემი შოთას იცნობდა და 9 წლის ვიყავი, როდესაც "აიაქსის" საფეხბურთო სკოლაში მიმიყვანა.

- ისრაელთან წაგების შემდეგ გაბედია გელაპარაკა?

- ისრაელთან ცოტა ხანი ვითამაშე. იმედია, შემდეგ შეხვედრებში საკუთარ შესაძლებლობას უკეთ წარმოვაჩენ. არ ვიცი, მომავალში რა იქნება, მაგრამ საქართველოს ნაკრებში თამაშის დიდი სურვილი მაქვს.

- რუსულ ინტერნეტგაზეთს ისიც ხომ უთხარი, რუსეთის ნაკრებში მოხვედრაზე ვოცნებობო.

- ჟურნალისტს სხვა რამ ვუთხარი და სხვანაირად დაიბეჭდა, ეტყობა იფიქრეს, რომ, თავს რუსად მივიჩნევ.

-ისრაელთან რაპოზიციაზე გათამაშეს?

- საერთოდ ცენტრალური თავდამსხმელი ვარ.

- რას იტყვი საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებზე?

- ისრაელთან პირველი ტაიმი კარგად ჩავატარეთ და უნდა გაგვეტანა, მეორე ნახევარში გაცილებით უარესად გამოვიყურებოდით, მაგრამ, წაგების მიუხედავად, გუნდი ძალიან პერსპექტიულია, ბევრი ნიჭიერი მოთამაშეა.

მერაბ მამულაშვილი

BG Bet Guru
http://bet.goli.ge
სრულიად უფასოდ !!!
ხარ აზარტული და გიყვარს ფეხბურთი ?
გამოიცანი თამაშების შედეგები და მოიგე !
- თითოეულ ჩემპიონატზე თვეში 100 ლარი
- Top 5 - ყოველკვირეული გათამაშება - საპრიზო ფონდი 250 ლარი!
- სეზონის ბოლოს 3000 ლარი, ან 'ელ კლასიკოზე' დასასწრები 2 ბილეთი!

ქუჩითული ფეხბურთი

● მეტოქე

ხორვატიის ნაკრები

უცნობი ნაცნობი

სლავენ ბილიჩი

ახალი თაობა

კორეა-იაპონიის სტადიონებზე ჩატარებული მუნდიალის შემდეგ **მირკო იოჟიჩის** ნაცვლად ხორვატიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად გამოცდილი სპეციალისტი **ოტო ბარიჩი** დაინიშნა. 62 წლის ბარიჩი მეტ-ნაკლები წარმატებით მუშაობდა საკლუბო ფეხბურთში და ვიდრე ხორვატიის ნაკრებს ჩაიბარებდა, მანამდე... სამშობლოში, ავსტრიასა და გერმანიაში რამდენიმე ათეული გუნდი ჰყავდა გაწვრთნილი.

ბარიჩის ხელმძღვანელობით ხორვატიის ნაკრებმა 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ჯგუფში II ადგილი დაიკავა, შემდეგ ორრაუნდიან საპლეიოფო დაპირისპირებაში სლოვენიელებს აჯობა (1:1, 1:0) და ფინალური ტურნირის საგზურიც მოიპოვა. ბარიჩის ფორმაციის ნაკრების ლიდერებად, ძმებ **ნიკო** და **რობერტ კოვაჩებთან** ერთად იმ დროისათვის ახალგაზრდა ფორვარდები, **ივიცა ოლიჩი** და **მლადენ პეტრიჩი** მიიჩნეოდნენ; ამ „დუეტს" სერიოზულ კონკურენციას უწევდნენ წამყვან ევროპულ კლუბებში მოასპარეზე სხვა თავდამსხმელებიც: **ივან კლასნიჩი** და **დადო პრშო,** ნახევარდაცვაში **იერკო ლეკომ** და **ჯოვანი როსომ** დაიმკვიდრეს ადგილი, თუმცა ბარიჩის ერთ-ერთ ყველაზე დიდ დამსახურებად იმ დროისათვის 20 წლის **დარიო სრნას** დაწინაურება იყო; ფიზიკურად ძლიერ და სწრაფ ფეხბურთელს ერთნაირი წარმატებით შეეძლო სხვადასხვა პოზიციაზე ეთამაშა — მარჯვენა მცველადაც, მარჯვენა ნახევარმცველადაც, საყრდენადაც და, თქვენ წარმოიდგინეთ, რამდენჯერმე მარჯვენა გარემარბადაც გაუმწესებიათ! 2002 წლის 20 ნოემბერს, რუმინელებთან მატჩში შედგა დარიო სრნას დებიუტი ხორვატიის ნაკრებში და იმის შემდეგ ეს ფეხბურთელი ჩვენი დღევანდელი მეტოქის შეუცვლელ მოთამაშედ და ერთ-ერთ ლიდერად მიიჩნევა. სხვათა შორის, ბოლო ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში სრნას შეძენით არაერთი ევროპული გრანდია დაინტერესებული, მაგრამ თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთ საუკეთესო მარჯვენა მცველს „ჯიუტად" არ სურს დონეცკის „შახტარის" დატოვება, — სადაც, ხორვატიის ნაკრების მსგავსად, გუნდის კაპიტანია. ბარიჩის ხელმძღვანელობით ხორვატიის ნაკრებმა 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ჯგუფური ტურნირი ვერ გადალახა: შვეიცარიასთან და საფრანგეთთან ფრედ ითამაშა, ხოლო ინგლისელებთან დამარცხდა. ამის შემდეგ ხორვატიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად **ზლატკო კრანჩარი** დაინიშნა, ვინც თავის დროზე ყოფილი იუგოსლავიის ნაკრების ფეხბურთელი გახლდათ. ახალი მწვრთნელის თავკაცობით მოასპარეზე ხორვატებმა მთავარი ამოცანა წარმატებით შეასრულეს — შესარჩევ ტურნირში თავის ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს და 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური მოიპოვეს. თუმცა, გერმანიის მუნდიალზე ხორვატების ასპარეზობას წარმატებული ნამდვილად არ ეთქმოდა: ბრაზილიასთან მინიმალური სხვაობით (0:1) დამარცხების შემდეგ იაპონიასთან ფრედ ითამაშეს, ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩში კი (სადაც მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვება ესაჭიროებოდათ), ავსტრალიასთანაც ასევე ფრედ (2:2) დასრულეს შეხვედრა. კრანჩარის ნაკრებიდან დათხოვნის მიზეზი მხოლოდ მუნდიალზე ნაჩვენები შედეგი არ იყო, — ხორვატიის ნაკრების იმდროინდელი თავკაცი ხშირად ხვდებოდა სკანდალურ სიტუაციებშიც...

თუმცა, კრანჩარს არც ის უნდა დავუკარგოთ, რომ სწორედ მის დროს ჩაატარეს ხორვატიის ნაკრებში სადებიუტო მატჩები ისეთმა ფეხბურთელებმაც, დღესაც ამ გუნდის წამყვან ფეხბურთელებად რომ მიიჩნევიან: **დანიელ პრანიჩმა, ედუარდომ** (ნატურალიზებულმა ბრაზილიელმა) და **ნიკო კრანჩარმა** (მთავარი მწვრთნელის ვაჟმა)...

ბილიჩის ეპოქა

კრანჩარის მემკვიდრე კი იმ დროისათვის ხორვატიის ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი **სლავენ ბილიჩი** გახდა. ბილიჩი ხორვატიის ნაკრების „ოქროს თაობის" ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი იყო, მაგრამ იმავე **ბობანის, შუკერის, პროსინეჩკის, ბოკშიჩისა** თუ **იარნისგან** განსხვავებით, გამორჩეულად ნიჭიერად არასდროს მიიჩნეოდა. სამაგიეროდ, ბილიჩი-ფეხბურთელის უმთავრესი პლუსი შრომისმოყვარეობა იყო, მაგრამ ამასთან ერთად, თავდაუზოგავი თამაშით, ძალიან ხშირად არც მეტოქეებს ინდობდა. ასეთი ზღვარგადასული ხისტი თამაშის გამო, ვინ მოთვლის, რამდენჯერ გაუძევებიათ მოედნიდან: თანაც, ასე იყო მაშინაც, როცა სამშობლოში ასპარეზობდა, და მერეც, როცა ჩინებული უცხოური კარიერა ჰქონდა. თამაში მშობლიურ სპლიტის „ჰაიდუკში" დაიწყო, 1993 წლიდან კი ბუნდესლიგაში, კერძოდ „კარლსრუეში" გადავიდა. სხვათა შორის, იმ დროს „კარლსრუე" საკმაოდ ანგარიშგასაწევი ძალა იყო: მთავარი მწვრთნელი **ვინი შეფერი** გახლდათ, წამყვან მოთამაშეებად კი **სერგეი კირიაკოვი** და... **ოლივერ კანი** მიიჩნეოდნენ. ბილიჩმა სულ

დარიო სრნა

მოკლე პერიოდში შეძლო გუნდის ერთ-ერთ ლიდერად გახდომა და მისი დიდი დამსახურებაც იყო, ამ პროვინციულმა გუნდმა უეფას თასის ნახევარფინალამდე რომ გააღწია. სხვათა შორის, ბუნდესლიგის ისტორიაში ბილიჩი იყო პირველი უცხოელი ფეხბურთელი, გუნდის კაპიტნად რომ აირჩიეს.

...1997 წელს ბილიჩი ინგლისურ „ვესტ ჰემში" გადავიდა — ამ გუნდის იმდროინდელი თავკაცის, **ჰარი რედნაპის** დაჟინებული მოთხოვნით. სხვათა შორის, ამპლუით მცველში იმ დროს 1 300 000 ფუნტის გადახდა „პატარა ამბავი" ნამდვილად არ იყო; მაგრამ ბილიჩის შეძენა „ვესტ ჰემსაც" წაადგა და... თავად ფეხბურთელსაც: ერთი სეზონის შემდეგ ხორვატ მცველში „ევერტონმა" 4,5 მილიონი ფუნტი გადაიხადა და დღევანდელი ჩვენი მეტოქის თავკაცს მართლაც მსუყე ჯამაგირი დაუნიშნა (კვირაში — 27 000 ფუნტი)!

ბილიჩი „ევერტონში" 2000 წლამდე ასპარეზობდა, შემდეგ მძიმე ტრავმის გამო ბრიტანული კლუბის დატოვებამ მოუწია და სამშობლოში დაბრუნდა. ცოტა ხანი მშობლიურ „ჰაიდუკში" თამაშობდა, თუმცა მალე კარიერის დასრულება გადაწყვიტა. ჯერ „ჰაიდუკს" წვრთნიდა, 2004 წელს კი ხორვატიის ახალგაზრდული ნაკრების თავკაცად დაინიშნა, სადაც თანაშემწედ ეროვნულ გუნდში ყოფილი პარტნიორი, იმ „ოქროს თაობის" გუნდის ჩინებული ნახევარმცველი **ალიოშა ასანოვიჩი** მიიწვია. ბილიჩის მუშაობა ხორვატიის ახალგაზრდულ ნაკრებში წარმატებული გამოდგა: გუნდმა ჯგუ-

ნიკო კრანჩარი

ფური ეტაპი გადალახა, მაგრამ პლეიოფში უპრინციპულეს დაპირისპირებაში სერბეთს ვეღარ აჯობა. თუმცა, ამის მიუხედავად, ხორვატიის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებს აზრი არ შეუცვლიათ და ეროვნული გუნდის გაძღოლა სწორედ ბილიჩს მიანდეს. ამ უკანასკნელმა თავის სამწვრთნელო შტაბში ის ხალხი დაასაქმა, ვისთანაც წლების განმავლობაში ხორვატიის ეროვნულ ნაკრებში გვერდი-გვერდ ასპარეზობდა: **ალიოშა ასანოვიჩი, რობერტ პროსინეჩკი, ნიკოლა იურჩევიჩი, მარიან მრმიჩი.** მაღე 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი უნდა დაწყებულიყო და ბილიჩმა მაშინვე მიანიშნა ყველას, რომ ამიერიდან ხორვატიის ნაკრებში წარსული დამსახურების გამო აღარავის მიიწვევდა. სამაგიეროდ, პერსპექტიულ ფეხბურთელებს გზას გაუხსნიდა და ამის ნათელი დადასტურებაც იყო ახალგაზრდული ნაკრებიდან ეროვნულში სამი მოთამაშის დაწინაურებაც; არადა, 2006 წლის შემოდგომაზე ამ „ტრიოს" შესახებ ალბათ, მხოლოდ ხორვატიაში სმენოდათ, დღესდღეობით კი **ლუკა მოდრიჩი, ვედრან ჩორლუკა** (ორივე — „ტოტენჰემი") და **ივან რაკიტიჩი** („შალკედან" სულ ცოტა ხნის წინ რომ გადავიდა „სევილიაში") ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრების ლიდერები არიან. ეგ კი არა, 25 წლის მოდრიჩი პრემიერლიგის ერთ-ერთ გამორჩეულ ფეხბურთელადაც მიიჩნევა...

სამართლიანი თამაშის პრინციპი, თუ...

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი ხორვატებმა მართლაც რომ ბრწყინვალედ ჩაატარეს და ტურნირის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე გაინაღდეს ავსტრია-შვეიცარიის სტადიონებზე გასამართი ფინალური ეტაპის საგზური. არადა, სუსტ ჯგუფში ასპარეზობდნენო, ამას ვერავინ იტყოდა: ბილიჩის კრებულთან ერთად ინგლისის, რუსეთის, ისრაელის, მაკედონიისა და ესტონეთის ნაკრებები იყვნენ. თუმცა, ხორვატები მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოექცნენ: 2007 წლის 21 ნოემბერს სლავენ ბილიჩის გუნდი თავისთვის ყოვლად უმოტივაციო შეხვედრაში სტუმრად, ლეგენდარულ „უემბლიზე" ინგლისელებს ეთამაშებოდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხორვატიას ჯგუფში პირველი ადგილი განაღდებული ჰქონდა, აი, მასპინძლებს, ინგლისელებს კი შემდგომ ეტაპზე ბრძოლის გასაგრძელებლად ფრეც ჰყოფნიდათ (კონკურენტ რუსეთს ურთიერთშეხვედრებში ჯობდნენ). თუმცა, მატჩის საწყისი 15 წუთი „უემბლიზე" შეკრებილი 90 000 გულშემატკივრისათვის შოკისმომგვრელი გამოდგა: **ნიკო კრანჩარმა** და **ივიცა ოლიჩმა** ინგლისელთა მცველებისა და მეკარის შეცდომებით ჩინებულად ისარგებლეს და ხორვატიაც შესვენებაზე ორბურთიანი უპირატესობით გავიდა. მეორე ტაიმში ინგლისელები შტურმზე გადავიდნენ და **ფრენკ ლემპარდისა** და **პიტერ კრაუჩის** მონდომებით **სტივ მაკლარენის** გუნდმა

ივიცა ოლიჩი

ანგარიში გაათანაბრა. ერთი შეხედვით, სტუმრებს თავი რაღაზე უნდა გამოედოთ, მაგრამ მატჩის დასრულებამდე 13 წუთით ადრე შეცვლაზე შემოსულმა **მლადენ პეტრიჩმა** ინგლისელთა მეკარის **სკოტ კარსონის** მორიგი დოყლაპიობით მშვენივრად ისარგებლა და მასპინძელთათვის შოკისმომგვრელი საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა — 2:3! ამასობაში კი, რუსეთის ნაკრებმა რის ვაი-ვაგლახით ანდორის უსუსტეს ნაკრებს მინიმალური სხვაობით (1:0) მოუგო და II ადგილზეც **გუუს ჰიდინკის** დამოძღვრილი გუნდი გავიდა. აი, ასე დაეხმარა ხორვატიის ნაკრები რუსეთის ნაკრებს და სლავენ ბილიჩის გუნდზე მთელი საფეხბურთო სამყარო დიდი ხნის განმავლობაში აღმატებულ ხარისხში ლაპარაკობდა, — როგორც სამართლიანი თამაშის პრინციპების დამცველებზე. თუმცა, ინგლისურ პრესაში ისეთი სტატიებიც გაჩნდა, სადაც ავტორები ამტკიცებდნენ, რომ ხორვატიის ნაკრების ფეხბურთელთა ნაწილს... რუსი ბიზნესმენები სოლიდურ „ნამახალისევებელ" თანხას ჰპირდებოდნენ, რათა ინგლისელებთან ბოლომდე ებრძოლათ...

სხვათა შორის, ხორვატებმა ფეარ პლეის პრინციპი ევრო-2008-ის ფინალურ ტურნირზეც დაიცვეს: მას შემდეგ, რაც ავსტრიასა და გერმანიას მოუგეს, ბოლო შეხვედრა პოლონელებთან არაფერს წყვეტდა, მაგრამ ბილიჩის გუნდმა ეს მატჩიც მოიგო და მეოთხედფინალში უკვე ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტის ანგარიში გაათანაბრა. ერთი შეხედვით, სტუმრებს თავი რაღაზე უნდა გამოედოთ, მაგრამ მატჩის დასრულებამდე 13 წუთით ადრე შეცვლაზე შემოსულმა **მლადენ პეტრიჩმა** ინგლისელთა მეკარის **სკოტ კარსონის** მორიგი დოყლაპიობით მშვენივრად ისარგებლა და მასპინძელთათვის შოკისმომგვრელი საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა — 2:3! ამასობაში კი, რუსეთის ნაკრებმა რის ვაი-ვაგლახით ანდორის უსუსტეს ნაკრებს მინიმალური სხვაობით (1:0) მოუგო და II ადგილზეც **გუუს ჰიდინკის** დამოძღვრილი გუნდი გავიდა. აი, ასე დაეხმარა ხორვატიის ნაკრები რუსეთის ნაკრებს და სლავენ ბილიჩის გუნდზე მთელი საფეხბურთო სამყარო დიდი ხნის განმავლობაში აღმატებულ ხარისხში ლაპარაკობდა, — როგორც სამართლიანი თამაშის პრინციპების დამცველებზე. თუმცა, ინგლისურ პრესაში ისეთი სტატიებიც გაჩნდა, სადაც ავტორები ამტკიცებდნენ, რომ ხორვატიის ნაკრების ფეხბურთელთა ნაწილს... რუსი ბიზნესმენები სოლიდურ „ნამახალისევებელ" თანხას ჰპირდებოდნენ, რათა ინგლისელებთან ბოლომდე ებრძოლათ...

ამის მიუხედავად, ბილიჩის ნაკრების მწვრთნელობიდან გადაყენებაზე არც არავის უფიქრია და გუნდიც 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურის მოსაპოვებლად ემზადებოდა. ბილიჩს თავისი გუნდის შემადგენლობაში განსაკუთრებული ცვლილებები არ მოუხდენია: თუ არ ჩავთვლით ძირითად მეკარედ **ვედრან რუნიეს** დაყენებას (**სტიპე პლეტიკოშა** თავის კლუბში სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობას განიცდიდა) და რამდენიმე ახალი ფეხბურთელის (**ივიცა კრიჟანაცი, ოგნიენ ვუკოევიჩი, ნიკოლა პოკრივაცი**) გამოჩენას. ხორვატი ქომაგების სამწუხაროდ, ამ ჯერზე ბილიჩის გუნდმა ეს შესარჩევი ციკლი მესამე ადგილზე დაასრულა: ნამყვანი ფეხბურთელების (კრანჩარი, მოდრიჩი, პეტრიჩი) ტრავმებმა, ძმები კოვაჩების სანაკრებო კარიერის დასრულებამ და კიდევ სხვა მიზეზთა გამო შარშანდელმა მუნდიალმა ჩვენი დღევანდელი მეტოქის გარეშე ჩაიარა. სხვათა შორის, ხორვატია და ინგლისი კვლავაც ერთად მოხვდნენ შესარჩევ ეტაპზე, ოღონდ ამჯერად ალბინოელებმა მართლაც სასტიკი რევანში აიღეს ორი წლის წინანდელი მარცხისათვის. თუმცა, ნურც ის დაგვავიწყდება, რომ ინგლისელებს ამჯერად **ფაბიო კაპელო** წვრთნიდათ, ვისი ხელმძღვანელობითაც ბრიტანელებმა ხორვატებს ორივე მატჩში სასტიკი მარცხი აგემეს — 4:1, 5:1...

ხორვატიის დღევანდელ ნაკრებზე კი უკვე არაერთხელ ითქვა და დაიწერა, ამიტომაც დანვრილებით აღარ შევჩერდებით, ისე, გუშინაც აღვნიშნეთ, რომ საქართველოსა და ხორვატიის გუნდებს აქამდე არც საკლუბო და არც სანაკრებო დონეზე არც ერთი მატჩი არ ჰქონდათ ჩატარებული. ახლა კი, ეროვნულის გარდა, საქართველოსა და ხორვატიის გუნდები ახალგაზრდული ნაკრებების დონეზეც დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. თანაც, ხორვატიის 21-წლამდელებს ხომ ქართული ფეხბურთის მოყვარულთათვის კარგად ნაცნობი **ივო შუშაკი** ხელმძღვანელობს. ხორვატიისა და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებების მატჩი 3 ივნისს უნდა ჩატარდეს, მანამდე კი ჩვენს დიდ მეგობარსა და ქართველებისათვის მუდამ სასურველ სტუმარზე ივო შუშაკზე არაერთხელ მოგვიწევს საუბარი. თუმცა, მეგობრობაც კარგია, სტუმარმასპინძლობაც არასდროს შეგვშლია ქართველებს, მაგრამ დღეს ერთადერთი სურვილი გვაქვს ყველას: საქართველოს ნაკრების წარმატებული და სარეკორდო სერია კვლავაც რომ გაგრძელებულიყოს...

გია ტუხაშვილი

ინგლისის ნაკრები

გარეთ ბეილი და უცოდინარები

უელსელებმა „ტოტენჰემ ჰოთსპურს“ ბრალი დასდეს, **გარეთ ბეილი** ორთავა კუნთის ტკივილით გამოგვიგზავნეთ და ახლა ინგლისის ნაკრებთან ველარ ვათამაშებთო — მოგეხსენებათ, დღეს, კარდიფის „მილენიუმზე“, დიდ ბრიტანეთში შემავალი ორი ქვეყნის გუნდი ერთმანეთს ხვდება. ისინი ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის G შესარჩევ ჯგუფში არიან.

„სფურზის“ თავკაცმა **ჰარი რედნაპმა** ბრალდება უპასუხოდ არ დატოვა. მან თქვა, რომ 21 წლის გარემარბი შეკრებაზე სრულიად ჯანმრთელი გაუშვა, არადა, უელსელთა მწვრთნელი **გარი სპიდი** ამბობს, რომ ფეხბურთელმა კარდიფში ჩასვლისთანავე დაიჩივლა, ფეხი მტკივაო. მოდი, ახლა და გაიგე, ვინ იტყუება. სპიდი და მისი როყიო, პირდაპირი ლაპარაკით ცნობილი ჰოლანდიელი ასისტენტი **რაიმონდ ვერჰეიენი** ირწმუნებიან, რომ „უელსურმა სკანირებამ“ ნათლად აჩვენა — ბეილს ფეხი გასულ კვირაში აქვს ნატკენი.

„ის ტრავმირებული რომ ყოფილიყო, არსად გავუშვებდი — გაბრაზდა რედნაპი — გასულ შაბათს მე გარეთი „ვესტ ჰემთან“ თავიდან ბოლომდე ვათამაშე და იმ შეხვედრის ტაქტიკურ-ტექნიკური მონაცემების ანალიზი გვაჩვენებს, რომ მან იმაზე მეტი ირბინა, ვიდრე ჩვეულებრივ დარბის ხოლმე. ნატკენი ფეხით ამას, რასაკვირველია, ვერ გააკეთებდა. ორთავა კუნთის ტრავმის არანაირი ნიშნები არ ყოფილა. გარეთს არაფერი დაუჩივლია. კვირას, როდესაც ის ლონდონიდან გაემგზავრა სრულიად ჯანმრთელი იყო. მართალია, ადრე ზურგი აწუხებდა, შემდეგ ბარძაყის კუნთი ჰქონდა დაჭიმული და ამიტომ რაც შეიძლება ფრთხილად ვტვირთავდით, მის ყოველ ნაბიჯს ვაკონტროლებდით, მაგრამ ორთავა კუნთის ამმავი პირველად მესმის.

მინდა ხაზგასმით ვთქვა, რომ ჩვენ ბეილის ახალ ტრავმას უელსის ნაკრებს არ ვაბრალებთ. ეს მათი ბრალი არ არის, ეს არავის ბრალია. ოთხშაბათს, საღამოს ათ საათამდე ამის შესახებ არაფერი ვიცოდი. პირველად ჩვენმა ფიზიოთერაპევტმა დამირეკა და მითხრა, ასე და ასეაო. შევშინდი, თავიდან უფრო სერიოზული ტრავმა მეგონა, მაგრამ საბედნიეროდ, შემდეგ დღეებში ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ საქმე მხოლოდ კუნთის დაჭიმვასთან გვაქვს, ის განყვეტილი არ არის. ამის მიუხედავად, ბეილი უნდა დავასვენოთ, რადგან თუ დავტვირთავთ, კუნთი შეიძლება გაწყდეს“.

რედნაპი იმედოვნებს, რომ ბეილი ერთი კვირის შემდეგ, „უიგანთან“ შეხვედრაში უკვე შეძლებს მოედანზე გასვლას, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ ამის შემდეგ სამშაბათს უელსელი ჩემპიონთა ლიგაში მადრიდის „რეალის“ წინააღმდეგ ითამაშებს.

რაც შეეხება გარი სპიდს, ის ამბობს, რომ ფეხბურთელს ძალიან უნდოდა ინგლისელების წინააღმდეგ თამაში, მაგრამ უელსის ნაკრების შტაბმა აღარ გარისკა და ის ლონდონში დააბრუნა.

„თავად გარეთი ამბობდა, დავრჩები და ვნახოთ, საქმე როგორ წავა, იქნებ ტკივილი დამიამდეს და თამაში შევძლო, მაგრამ როგორც კი სკანირების შედეგები მივიღეთ, გადავწყვიტეთ ის შეკრებიდან გაგვეთავისუფლებინა. ერთი შეხედვით ბეილს რამდენიმედღიანი დასვენება უნდა ჰყოფნოდა, მაგრამ კუნთზე პატარა ჩაჭრილი ადგილი მაინც ჩანდა და გარისკვა აღარ შეიძლებოდა. ამ სურათის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მას ორთავა კუნთი დაახლოებით ერთი კვირის წინ დაუშავდა“.

ზემოხსენებული რაიმონდ ვერჰეიენი კი ფიზიკური მომზადების სპეციალისტია, რომელიც ცოტა ხნის წინ მინასთან ასწორებდა „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „სიტის“ წვრთნის მეთოდებს. ამჯერად მან „ტვიტერზე“ დაწერა:

„უცოდინარმა მოყვარულებმა ფეხბურთის მორიგი დარტყმა მიაყენეს“.

რასაკვირველია, მან „ტოტენჰემ ჰოთსპური“ იგულისხმა, თუმცა „უცოდინარ მოყვარულთა“ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ერთხელაც არ წამოსცდენიათ, ბეილი უელსელებმა დააშავესო.

ევროვნული საკითხი

არგენტინელი განელი არ არის

„სანდერლენდის“ მწვრთნელ **სტივ ბრუსს** კონფლიქტები არ აკლია. ამჯერად მას თავისი გუნდის ფეხბურთელი, არგენტინელი **მარკუს ანხელერი** უტევს — ინგლისელი რომ არ ვარ, არ მოვწონვარო. ამ ამბავს ორი თვით ადრე წინ სხვა კონფლიქტი უძღოდა — „ასტონ ვილას“ ფრანგმა თავკაცმა **ჟერარ ულიემ** ბრუსზე თქვა, რასისტიაო. მაშინ **დარენ ბენტის** „სანდერლენდიდან“ „ვილაში“ გადასვლის გამო დიდი ამბავი იყო ამტყდარი.

ანხელერი მარჯვენა მცველი გახლავთ. ის 27 წლის არის და „ესტუდიანტესიდან“ „სანდერლენდში“ გასულ ზაფხულს გადავიდა, მაგრამ თავი ვერაფრით გამოიჩინა და პრემიერლიგურ ორომტრიალში საერთოდ არ ჩანს. მასში „სანდერლენდმა“ 3,23 მილიონი დოლარი გადაიხადა. ანხელერიმ თქვა:

„ბოსი საერთოდ არ მელაპარაკება. მეტიც, რომ მხვდება, არც კი მესალმება. ალბათ, იმიტომ არ მოვწონვარ, რომ ინგლისელი არ ვარ. საერთოდაც, სტივ ბრუსი სასიამოვნო ადამიანი არ არის. ის მოარული უსიამოვნებაა, რომლის ხელშიც მე, „სანდერლენდში“ სულ რამდენიმე წუთი ვითამაშე.

არადა, მე ფეხბურთელი ვარ და ჩემი საქმე თამაშია. სწორედ ამიტომ ვგრძნობ აქ თავს ცუდად. არც კი მესმის, კერძოდ რატომ არ მათამაშებს ბრუსი. იგი დაცვაზე ზედმეტად გადაყოლილ მწვრთნელთა კატეგორიას განეკუთვნება“.

არგენტინელმა „სანდერლენდის“ მაისურით სულ ორჯერ ითამაშა და, თან, სასტარტო შემადგენლობაში ერთხელაც არ ყოფილა. მისდა სამწუხაროდ, ამ ორი თამაშიდან ერთი, იანვარში, ფეხბურთის ასოციაციის თასზე პირველი ლიგის „ნოთს ქაუნთისთან“ შინ 0:1 წაგებას დაემთხვა.

მარკოს ანხელერის ნათქვამმა: ბრუსს იმიტომ არ მოვწონვარ, ინგლისელი რომ არ ვარო, „სანდერლენდის“ ფანები გააკვირვა და გააბრაზა. 50 წლის მწვრთნელს ხომ უამრავი უცხოელი ფეხბურთელი ჰყავს ნაყიდი და მათ ეყრდნობა კიდეც. მაგალითად განელთა ტრიოს დასახელება შეიძლება: **ჯონ მენსა, სალი მუნტარი** და **ასამოა გიანი**. ერთი სიტყვით, რას-რას და, იმას, რომ ბრუსი რასისტია ან ფეხბურთელებს ეროვნული ნიშნით გამოარჩევს, „სთედიუმ ოფ ლაითზე“ არავინ დაიჯერებს. „სანდერლენდის“ პრესცენტრში ამ ამბავთან დაკავშირებით კომენტარისგან თავი შეიკავეს.

ასტონ ვილა

ჯანყი ბირმინგემში

ჯეიმს კოლინზი

„ასტონ ვილაში“ დიდი მღელვარებაა. როგორც „დეილი მეილისთვის“ გახდა ცნობილი, სულ მცირე, რვა ფეხბურთელი აპირებს სეზონის დამთავრების შემდეგ ბირმინგემული კლუბიდან გაქცევას. მიზეზი: ფრანგი მწვრთნელი **ჟერარ ულიე** ახალ კანონებსა და აკრძალვებს იღებს. გუშინ მოგახსენეთ, რომ მან გასახდელში მობილური ტელეფონით სარგებლობა აკრძალა, მაგრამ ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც შემდეგ გახდა ცნობილი. თურმე ულიეს მისი წესების დამრღვევ ფეხბურთელთათვის ფულის დაქვითვის მთელი სისტემა მოუფიქრებია, ხოლო მოთამაშეებს, რომლებიც თავზე გადაახტებიან და კლუბის მეპატრონე **რენდი ლერნერთან** იჩივლებენ, განსაკუთრებით დიდ ჯარიმას დაუწესებს. ფეხბურთელები, რომელთაც თვალი გაქცევისკენ უჭირავთ, გახლავან: **გაბრიელ აგბონლაჰორი, სტილიან პეტროვი, რიჩარდ დანი, ჯეიმს კოლინზი, ბრედ ფრიდელი, ეშლი** და **ლუკ იანგები** და **სტივენ უორნოკი**.

ულიეს სასჯელი დაუნდობელია ვარჯიშზე, თათბირებსა და სხვა შეკრებებზე დამგვიანებელთათვის. ასეთებს ჯერ კვირის ხელფასის 10 პროცენტი ჩამოეჭრებათ, შემდეგ 20, ხოლო თუ მესამედაც დაიგვიანებენ — 30. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ნებისმიერი ჩივილი პირადად ულიემ უნდა მოისმინოს — ასეთი წესის შემოღება ფრანგს იმიტომ დასჭირდა, რომ ხმა დაირხა, თითქოს მოთამაშეების ნაწილი უშუალოდ ლერნერთან აპირებდა შესვლას. ამიერიდან, ლერნერთან ლაპარაკისთვის ულიეს ნებართვა იქნება საჭირო. ასეთი ხერხებით აპირებს „ვილას“ მწვრთნელი გუნდში რკინის დისციპლინის დამყარებასა და საბრძოლო სულისკვეთების ამაღლებას, რაც, მისი აზრით, პრემიერლიგის ცხრილში პოზიციის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

როგორც ბირმინგემული წყაროები იტყობინებიან, კანონების გამკაცრებამ, ჯერჯერობით, გუნდში მდგომარეობა კი არ გააუმჯობესა, არამედ დაძაბა. ფაქტობრივად მთელი ძირითადი შემადგენლობა უკმაყოფილო დარჩა და, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, გუნდიდან წასვლას აპირებს. ამბობენ, რომ მოთამაშეები შეურაცხყოფილები დარჩნენ, თქვეს, სკოლის ბავშვებივით გვეპყრობიანო და ნაცვლად იმისა, რომ სეზონის მინურულს ძალ-ღონე პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის ბრძოლას შეალიონ, „დრაკონული კანონების“ წინააღმდეგ ერთიანდებიან.

და რას ფიქრობს თავად ლერნერი? რამდენადაც ცნობილია, თავმჯდომარე ულიეს ემხრობა, თუმცა მოვლენებს მაინც შიშით ადევნებს თვალს. „ასტონ ვილას“ მიმდინარე სეზონში რვა თამაში დარჩა და ამ შეხვედრებში რაც შეიძლება მეტი ქულა უნდა მოიპოვოს. თან, მნიშვნელოვანია, რომ ბოლო ორი მატჩი ბირმინგემელებს განსაკუთრებით რთული ელით: სტუმრად „არსენალთან“ და შინ „ლივერპულთან“...

შეგახსენებთ, რომ ჟერარ ულიე „ასტონ ვილაში“ რომ მივიდა, სეზონი უკვე დაწყებული იყო, თუმცა ფრანგს მაინცდამაინც არ გაუმართლა. მისი ხელმძღვანელობით „ვილამ“ 25 შეხვედრა ჩაატარა და მხოლოდ 6 მოიგო, რაც ძალიან ცუდი შედეგია და ის ცხრილზე ასე აისახება: ბირმინგემელებს გასავარდნ სამ გუნდზე მხოლოდ ერთი ქულით მეტი აქვთ.

ცნობილია, რომ გუნდის ლიდერმა **ეშლი იანგმა** ჩემპიონთა ლიგაში „ვილასთან“ ერთად მოხვედრაზე ოცნებას თავი დაანება და სეზონის შემდეგ ტოპ-ოთხეულიდან ერთ-ერთში აპირებს გადასვლას.

გაბრიელ აგბონლაჰორი

ეშლი იანგმა

რიჩარდ დანი

სტილიან პეტროვი

არსენალი

ვან პერსი: ბარსელონა წუწუნით მაღიზიანებს

რობინ ვან პერსი აღიარებს, რომ „არსენალი“ საკმარისად ძლიერი გუნდი არ არის. ჰოლანდიელი ფორვარდი გუნდის ზედიზედ სამი შეჯიბრებიდან გამოვარდნამ დათრგუნა და გააღიზიანა. შეგახსენებთ: „ქარლინგის თასის“ ფინალში დამარცხებას ჩემპიონთა ლიგიდან გამოთიშვა მოჰყვა, რასაც ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასზე დამარცხებამ დაუსვა წერტილი. ვან პერსიმ თქვა:

„ჩვენ ყოველთვის ბოლომდე ვიხარჯებით და გამარჯვებისთვის ვიბრძვით, ხშირად მიზანთან ძალიან ახლოსაც ვართ, მაგრამ ბოლოწამს რაღაც გვაკლდება, რაღაცას ისე ვერ ვაკეთებთ. როგორც ჩანს, საკმარისად ძლიერები არ ვართ - ასეთია რეალობა. დამარცხება ყოველთვის მწარეა, განსაკუთრებით ჩვენნაირი გუნდისთვის, რომელიც ასე კარგად თამაშობს და თითქოს გამარჯვებამდე აღარაფერი აკლია, მაგრამ ახლა ვეღარაფერს შევცვლით და სჯობს მომავალზე ვიფიქროთ. რაიმე უნდა ვიღონოთ, რომ არსებული მდგომარეობა შეიცვალოს. „არსენალის“ რწმენა წუთითაც არ დამიკარგავს. დარწმუნებული ვარ, რომ გამარჯვებები წინ გველის“.

ნაკრებში გამოძახებულ ვან პერსის საკლუბო ამბებზე ჰოლანდიელი ჟურნალისტები ელაპარაკებოდნენ. მათ ფეხბურთელს ჰკითხეს, ხომ არ აჯობებდა მისთვის „არსენალის“ მიტოვება და ისეთ გუნდში გადასვლა, რომელსაც ტიტულების მოგება ასე ძალიან არ უჭირს. ფორვარდმა უპასუხა:

„ასეთ რამეს არც კი ვფიქრობ. „არსენალში“ თავს ბედნიერად ვგრძნობ. კლუბთან ხელშეკრულება მაკავშირებს და მის ბოლომდე დაცვას ვაპირებ“.

შემდეგ ვან პერსიმ პრემიერლიგის ერთ-ერთ ლიდერ „ჩელსისა“ და ჩემპიონთა ლიგის ფავორიტ „ბარსელონაზე“ ილაპარაკა. შეგახსენებთ, რომ „არსენალმა“ „ბარსელონასთან“ ორი შეხვედრის ჯამში 4:3 ნააგო და მეორე შეხვედრაში ვან პერსი მოედნიდან გააძევეს.

„ერთი რამ არ მომწონს „ბარსელონასი“ — მისი ფეხბურთელები ყოველთვის რაღაცას ჩივიან და წუწუნებენ. მათ, რასაკვირველია, დიდებული გუნდი ჰყავთ, მაგრამ ამ ჭიჭყინით ისე ამლაშებენ, რომ თამაშის მსვლელობისას ძალიან გამაღიზიანებლები ხდებიან. ინგლისში ასე „ჩელსი“ იქცევა“.

რაც შეეხება „არსენალის“ დანიელ თავდამსხმელ **ნიკლას ბენდტნერს**, მას კოჭი ეტკინა, თუმცა ექიმებს მისი ტრავმა თავიდან უფრო სერიოზული ეგონათ. ერთი სიტყვით, სულაც არ არის გამორიცხული, რომ 23 წლის ფეხბურთელმა დღეს ნორვეგიასთან ითამაშოს, რაც „მეთოფეთა“ თავკაც **არსენ ვენგერისთვის** სასიამოვნო ინფორმაციაა. ვენგერს ასევე გაუხარდებოდა **ალექს სონგის** გამოჯანმრთელება. სონგი ვარჯიშს დაუბრუნდა. მართალია, მას, ჯერჯერობით, ძალიან არ ტვირთავენ, მაგრამ ორ კვირაში, სავარაუდოდ, მოედანზე ვიხილავთ. შეგახსენებთ, რომ 23 წლის კამერუნელი ნახევარმცველი „ქარლინგის თასის“ ფინალში, „ბირმინგემთან“ თამაშის დროს დაშავდა. ჩრდილოლონდონელები ასევე იმედოვნებენ, რომ დღეის სწორს მათ ძირითად შემადგენლობას **სესკ ფაბრეგასი** და **თეო უოლკოტი** დაუბრუნდებიან. ამ დღეს „არსენალს“ „ბლეკბერნთან“ უწევს თამაში.



რობინ ვან პერსი

გუნდის ლეგენადრულმა მეკარემ, შოტლანდიელმა სერ **ბობ უილსონმა** კი დაადასტურა, რომ ლონდონელები „ლივერპულიდან“ **პეპე რეინას** გადაბირებას ცდილობდნენ. ინგლისურმა ტაბლოიდებმა შეიტყვეს, რომ გასულ ზაფხულს ვენგერი მერსისაიდელებს 23 მილიონ ფუნტს სთავაზობდა, რაც მეკარისთვის დიდი თანხაა. მოგეხსენებათ, ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა და დღეს, ორი გოლკიპერის, **ვოიცეხ შჩესნისა** და **ლუკაშ ფაბიანსკის** ტრავმის გამო „მეთოფეები“ იძულებულნი გახდნენ გერმანიიდან 41 წლის ვეტერანი **იენს ლემანი** გამოეძახათ და სათადარიგოთა სკამზე დაესვათ.

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

უცხოური ფეხბურთი

● ფიორენტინა



დელა ვალეები

დელა ვალე როსის უმიზნებს

მუტუს ტრანსფერზე დააყენებენ

„ფიორენტინაში“ მიმდინარე პროცესებს იტალიური სპორტული პრესა აქტიურად აშუქებს. მიუხედავად იმისა, რომ ფლორენციული გუნდი ევროტურნირებს მიღმა რჩება, კლუბის მესვეურები ზაფხულში აქტიურ სატრანსფერო პოლიტიკას გეგმავენ. სანამ იმაზე ვიტყოდეთ, თუ ვის ყიდვას აპირებენ ტოსკანელები, შესაძლო დანაკარგზე გავამახვილოთ ყურადღება. „ვიოლას“ სპორტული დირექტორის თქმით, ამ ზაფხულს **ადრიან მუტუსთან** აპირებენ განშორებას:

„რუმინელს სავარაუდოდ ტრანსფერზე დავაყენებთ და ვეცდებით, სარფიანად გავყიდოთ. გავითვალისწინებთ ფეხბურთელის ინტერესებს და ისე ვიმოქმედებთ, რადგან ადრიანს გუნდისთვის ბევრი აქვს გაკეთებული. რაც შეეხება მის სატრანსფერო ღირებულებას, ამაზე ჯერ არ ვართ ჩამიყალიბებულნი. კიდევ ორი ფეხბურთელის ბედია გადასაწყვეტი, ალესიო ჩერჩი და მარკო დონადელი მყავს მხედველობაში. იშვიათად უნევთ მოედანზე გასვლა და გარემოს გამოცვლა სურთ, რისი წინააღმდეგი არც ჩვენ ვართ. რამდენიმე კლუბისგან ველოდებით შემოთავაზებას, რადგან დაინტერესების შესახებ უკვე გვაცნობეს - ვნახოთ, სეზონის ბოლომდე არცთუ ისე დიდი დროა დარჩენილი“.

რაც შეეხება შესაძლო შევსებას, მეტად საინტერესო ინფორმაცია უნდა მოგაწოდოთ. თურმე, „ფიორენტინას“ მესვეურები აქტიურ მოლაპარაკებას აწარმოებენ **ჯუზეპე როსისთან** და დიდია შანსი, ახალგაზრდა ფორვარდი სამშობლოში დააბრუნონ. თავად როსის არაერთხელ აქვს ნათქვამი, რომ მისი სურვილი კარიერის სერია A-ში გაგრძელებაა. „გაძეტას“ ცნობით, ფლორენციელები „ვილიარეალის“ ფორვარდში 13 მილიონი ევროს გადახდას აპირებენ, თუმცა ჯერჯერობით უცნობია, რამდენად დააკმაყოფილებთ ეს თანხა ესპანელებს. გასულ ზაფხულს, „იუვენტუსის“ მესვეურებს სურდათ როსის გადაბირება და მაშინ, ფეხბურთელი 25 მილიონ ევროდ დააფასეს. საეჭვოა, რომ პირენეელები პრაქტიკულად განახევრებულ თანხას დათანხმდნენ. სწორედ ამიტომ, **დიეგო დელა ვალეს** ალტერნატიული ვარიანტი აქვს მოფიქრებული - ზემოხსენებული მუტუ „ვილიარეალში“ და შესაბამისად, როსი „ფიორენტინაში“. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

დიეგო დელა ვალემ **სინიშა მიხაილოვიჩის** მომავალთან დაკავშირებითაც გააკეთა კომენტარი: *„მწვრთნელის საკითხზე ჯერ ბოლომდე არ ვართ ჩამოყალიბებული, მაგრამ სავარაუდოდ, სინიშა მომდევნო სეზონშიც „ფიორენტინას“ მთავარი მწვრთნელი იქნება. თუ ევროტურნირის საგზური ვერ მოვიპოვეთ, სეზონი წარუმატებლად ჩაითვლება, მაგრამ მიხაილოვიჩის შესაძლებლობები კარგად მოგვეხსენება და გვინდა მას კიდევ ერთი შანსი მივცეთ. თუმცა, იქამდე ეს სეზონია ჩასამთავრებელი და დიდი იმედი მაქვს, რომ დარჩენილ თამაშებს მაღალ დონეზე ჩავატარებთ“.*

ლაშა წიკლაური

● უდინეზე

დი ნატალე: არსად არ მივდივარ

ანტონიო დი ნატალე

იტალიურ პრესაში არაერთხელ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ **ანტონიო დი ნატალე** „უდინეზედან“ სხვა გუნდში გადაბარგებას აპირებს. მისი მომავალი არაერთხელ დაუკავშირეს „ნაპოლის“, იყო „ჯენოას“ და „იუვენტუსის“ ვარიანტებიც, გასულ ზაფხულს კი სულაც „მანჩესტერ სიტიზე“ ჩამოვარდა სიტყვა. პრინციპში, ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან მეორე სეზონია სერია A-ს ბომბარდირთა დავას უდგას სათავეში და ბრწყინვალე შთაბეჭდილებას ტოვებს. მიუხედავად იმისა, რომ ტოტოზე დიდი მოთხოვნაა, უდინეს დატოვების არავითარი სურვილი არ აქვს:

„ძალიან მიხარია ის, რომ ჩემით არაერთი ევროპული გუნდია დაინტერესებული. ეს იმის მანიშნებელია, რომ კარგად ვაკეთებ ჩემ საქმეს და ამას ბევრი აფასებს. სიმართლე გითხრათ, საკუთარი თამაშით არ ვარ უკმაყოფილო, გოლებიც გამაქვს, რაც გუნდს წარმატებით ასპარეზობაში ეხმარება. შედეგად, ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ვიბრძვით, რასაც სეზონის დასაწყებამდე ვერავინ წარმოიდგენდა. რაც შეეხება ჩემს სამომავლო გეგმებს, მინდა აღვნიშნო, რომ არსად წასვლის სურვილი არ მაქვს. უდინეში თავს ძალიან კომფორტულად ვგრძნობ და იმ ასაკშიც აღარ ვარ, რომ ახალი თავგადასავლები ვეძებო. თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, კარიერას სწორედ „უდინეზეში“ დავასრულებ“.

ლაშა წიკლაური

● ნაპოლი

მაძარი: ხელშეუხებელი არავინაა

სერია A-ში "ნაპოლის" შესანიშნავი ასპარეზობის შესახებ იტალიურ სპორტულ პრესაში ძალიან ბევრი იწერება. ჩემპიონატი ფინიშის სწორზეა გასული, სამხრეთელები კი მესამე ადგილზე არიან და საკუდეტოსთვის იბრძვიან. სეზონის დაწყებამდე ამას ნამდვილად ვერავინ წარმოიდგენდა, რადგან თვით კლუბის პრეზიდენტმა მაქსიმუმ ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება დაისახა მიზნად. მეტიც, ისიც კი თქვა, ევროპის ლიგაზე გასვლა წარმატებად შეფასდებაო. მოკლედ, ნეაპოლელებმა მთელი იტალია გააოცეს, რაც დიდწილად გუნდის მთავარი დამრტყმელი ძალის, **ედინსონ კავანის** დამსახურებაა. როგორც ჩანს, ურუგვაელს გონება დაებინდა ასეთი წარმატებისგან და პრეზიდენტ ლიგის საგზურის მოპოვებამდე ეუბნებოდა ჟურნალისტებს, რომ ნაპოლი ჩემპიონატის ბოლო ეტაპზე ბევრ ქულას დაკარგავს. ალბათ, ეს ასეთ ფორმაში ყოფილ ბანაკში სრული იდილია სუფევდა, ასეთ მნიშვნელოვან მომენტში კი შეიძლება ვითარება დაიძაბოს. სიტუაციის განმუხტვას ხსენებული ესეკილ ლავეცი შეეცადა და შემდეგი განაცხადა:

„ყველაფერი ჟურნალისტების ბრალია, რომლებმაც კავანის სიტყვებს არასწორი ინტერპრეტაცია მისცეს. ედისონმა თქვა, რომ მიუხედავად მოკლე სათადარიგოთა სკამისა, „ნაპოლი“ სკუდეტოსთვის იბრძვის, რაც გმირობის ტოლფასია. მოკლე სათადარიგოთა სკამის თემის გასამტკიცებლად კი აღნიშნა, რომ მისი შემცვლელი გუნდს, უბრალოდ, არ ჰყავს. სათადარიგოთა სკამზე შემტევებიდან ჯუზეპე მასკარა გვყავს, მაგრამ ის უფრო ფლანგის მოთამაშეა, ვიდრე სუფთა ფორვარდი - ამიტომ, კავანის სიტყვები სრულიად ბუნებრივი გახლდათ. ჩემი თხოვნა იქნება რომ არაფრისგან ნუ შექმნით სკანდალს“.

ლაშა წიკლაური

● იუვენტუსი

ბუფონი და დელ პიერო რჩებიან

ჯუზეპე მაროტა

იტალიელ ჟურნალისტებს **ჯუზეპე მაროტასთან** რომ უამრავი კითხვა აქვთ, არახალია. "იუვენტუსის" სპორტული დირექტორისგან გულშემატკივრები ძირეულ ცვლილებებს ითხოვენ, რაც მიმდინარე სეზონში გუნდის ნარუმატებელი ასპარეზობით გახლავთ განპირობებული. პირველ რიგში, ლუიჯი დელ ნერის მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გათავისუფლებაზეა ლაპარაკი, მაგრამ კლუბის მესვეურები ჯერჯერობით დუმილს ამჯობინებენ. სამაგიეროდ, ხშირად ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ **ჯანლუიჯი ბუფონი** გადაბარგდება ევროპული ფეხბურთის გრანდში, **ალესანდრო დელ პიერო** კი კარიერის დასასრულებლად ან ამერიკაში გაემგზავრება, ან არაბეთის რომელიმე ქვეყანაში. ამ ყველაფერთან დაკავშირებით, მაროტას შემდეგი პოზიცია აქვს:

"გუნდში ნამდვილად მოხდება გარკვეული ცვლილებები, მაგრამ არა ისეთი რევოლუციური, როგორც ამაზე ხშირად საუბრობენ. ამას წინათ დაიწერა, "იუვედან" ალესანდრო დელ პიეროს და ჯანლუიჯი ბუფონს უშვებენო, რაც სრული აბსურდია. ალექსი და ჯიჯი გუნდის სიმბოლოები არიან და მათი შენარჩუნება ძალიან მნიშვნელოვანია. მათით არაერთი გუნდი იჩენს ინტერესს და შემოთავაზებებიც გვაქვს, მაგრამ ჩვენი პოზიცია ურყევია: ჯიჯი და ალე არ იყიდებიან. რაც შეეხება სხვა ფეხბურთელებს, უმჯობესია, ამაზე სეზონის დასრულების შემდეგ ვისაუბროთ, რადგან დღეს რაიმე საინტერესოს თქმა გამიჭირდება".

მიუხედავად მაროტას სიტყვებისა, რევოლუციურ ცვლილებებს არ უნდა ელოდოთო, აშკარაა, რომ ტურინიდან არაერთ ფეხბურთელს მოუწევს აბარგება. მან მხოლოდ დელ პიეროს და ბუფონს მისცა გუნდში დარჩენის გარანტიები, დანარჩენი კი კითხვის ნიშნის ქვეშ დატოვა... *თუმცა, როდესაც გარანტიებზე ვსაუბრობთ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ შესაძლოა თავად ბუფონს გაუჭნდეს სხვაგან წასვლის სურვილი და გადადგას კიდეც ეს ნაბიჯი. მთავარი წამსვლელი კი მაინც ლუიჯი დელ ნერი გახლავთ, რომელიც სავარაუდოდ სეზონის დასრულებისთანავე დატოვებს თანამდებობას და ეს მიუხედავად იმისა, რომ „იუვეს“ მესვეურებს ჯერჯერობით მსგავსი არაფერი უთქვამთ.*

ლაშა წიკლაური

● აიაქსის გაჭიანურებული კრიზისი

კრუიფი თავის სჯიქიაში

დიდი ხანი არ არის გასული მას შემდეგ, რაც ფეხბურთის ლეგენდა **იოჰან კრუიფი** "აიაქსში" კონსულტანტის თანამდებობას დათანხმდა. და აი, ხელმძღვანელობასთან პირველი უსიამოვნება უკვე მოუვიდა. მან "აიაქსის" ბოსები ბოლო წლებში კლუბის წარუმატებლობებში დაადანაშაულა. კრუიფმა განაცხადა, რომ ამსტერდამელებს დიდების დაბრუნების შანსი მაშინ მიეცემათ, როცა ახლანდელი უფროსობა კლუბს გაეცლება. ამსტერდამში სწორედ რამდენიმე დღის წინ გაიმართა შეკრება, სადაც დირექტორატის წევრები "აიაქსის" ყოფილ ფეხბურთელებს იოჰან კრუიფს, **ვიმ იონკსა** და **დენის ბერგკამპს** შეხვდნენ. კრებაზე უნდა განხილულიყო ის სტრუქტურული ცვლილებები, რაც "აიაქსის" მუშაობას უფრო ეფექტურს გახდიდა. თუმცა მხარეებმა კონსენსუსს ვერ მიაღწიეს. გთავაზობთ შეხვედრის მონაწილეთა კომენტარებს.

იოჰან კრუიფი

"აიაქსის" გენერალური დირექტორი **პიტერ ვან დენ ბოონგი**: *"ვცდილობთ, ისეთ ჭკვიან ადამიანებს, იონკი და ბერგკამპი რომ არიან, ყური ვუგდოთ და რჩევები გავითვალისწინოთ, მაგრამ ნამდვილად არ შეგვიძლია მათ ბრმა მიმდევრებად ვიქცეთ, რადგან საბოლოო პასუხისმგებლობის ტვირთი სწორედ ჩვენზეა".*

იოჰან კრუიფი: *"აიაქსის" ხელმძღვანელობას ძალაუფლებით ტკბობის გარდა არაფერი სჭირდება. მათ ფეხბურთზე წარმოდგენა არ აქვთ და რასაც უნდათ იმას აკეთებენ. დირექტორთა საბჭოს დათხოვნა საკმაოდ ძნელი ამოცანა იქნება, თუმცა შექმნილ ვითარებაში ეს ერთადერთი გამოსავალია".*

დენის ბერგკამპი: *"დიდი სურვილი მაქვს, "აიაქსის" საკეთილდღეოდ ვიშრომო, თუმცა ამჟამად კლუბში ამის საშუალებას არ მაძლევენ და მე ეს ცუდ ხასიათზე მაყენებს".*

აქვე მოკლედ მოგახსენებთ იმ ცვლილებებზე, რომელთა დანერგვას კრუიფი მშობლიურ კლუბში აპირებს. "მფრინავი ჰოლანდიელის" მთავარი დასაყრდენი ძალა ამსტერდამში **ფრანკ დე ბური**, ვიმ იონკი და დენის ბერგკამპი უნდა გახდნენ. სწორედ მისი იდეა გახლდათ ახალგაზრდულ საქმეთა კურატორის თანამდებობის გაუქმება და **დანი ბლინდის** მთავარი მწვრთნელის თანამშემწედ გადაყვანა. ამას მოჰყვა ახალი ტექნიკური სტრატეგიის შემუშავება. კრუიფის აზრით, სწორედ ზემოთ დასახელებულმა ვეტერანებმა უნდა იმუშაონ ცალკეული ხაზის მოთამაშეებთან და აუხსნან მათი პროფესიის ყოველი დეტალი. მას ფეხბურთელთა ტექნიკური არსენალის გამდიდრება სურს და საამისოდ სპეციალური ვარჯიშების შემოღების მომხრეა.

ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს სკაუტთა სისტემა. აუცილებელია მეტი ყურადღების დათმობა არა უცხოელი, არამედ საკუთრივ ჰოლანდიელი მოზარდებისადმი. ამაზე პასუხისმგებლობას იონკი და ბერგკამპი აიღებენ საკუთარ თავზე. ამას გარდა, დიდი იოჰანი დაჟინებით მოითხოვს, რომ კლუბმა ბავშვთა სკოლის მოსწავლეებისთვის სპეციალური ავტობუსი გამოყოს, რომელიც უზრუნველყოფს პატარების უსაფრთხო და დროულ გადაადგილებას. ამის ხარჯზე კი მას ვარჯიშების დროის გაზრდა სურს. კრუიფი მოითხოვს იმასაც, რომ პირველი გუნდის მთავარი მწვრთნელი შეიზღუდოს ახალი ფეხბურთელების უცხოეთში შეძენისას, რათა ასაკობრივი გუნდების ფეხბურთელებს მეტი მოტივაცია გაუჩნდეთ ძირითად გუნდში მოსახვედრად. სწორედ ამ პოლიტიკის გამტარებელია "აიაქსის" ახლანდელი თავკაცი ფრანკ დე ბური, რის გამოიც ის კრუიფის განსაკუთრებული სიმპათიებით სარგებლობს.

ლევან ბიბილაშვილი

ეს საინტერესოა

მოღალატე პატრიოტები

როცა განაში დაიბადები, გაიზრდები, მერე გერმანიაში გადასახლდები, საფეხბურთო კარიერას აიწყობ, თავს გერმანელად იგრძნობ და გადაწყვეტ, რომ გერმანიის ეროვნულ ნაკრებში ითამაშო, ეს აბსოლუტურად ჩვეულებრივი მოვლენაა. ალბათ მიხვდით, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში **ჯერალდ ასამოას** ვგულისხმობთ. იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა ბრაზილიელებმა გადაწყვიტეს გერმანიის ნაკრებში თამაში, მაგრამ მათ სხვა მოტივი ჰქონდათ და კერძოდ ის, რომ ბრაზილიის ნაკრებში მოხვედრის შანსი არ გააჩნდათ (**რობერტო პაულო რინკი, კაკაუ**...). მაგრამ პირიქითაც ხდებოდა, კერძოდ, გერმანიაში იბადებოდნენ, იზრდებოდნენ და მერე ფესვებს უბრუნდებოდნენ. დღეს სწორედ ასეთ ფეხბურთელებზე უნდა მოგითხროთ და ამ სტატიაში ბევრ სიურპრიზს აღმოაჩენთ, რადგან გერმანიაში არაერთი ცნობილი არაგერმანელი ფეხბურთელი დაბადებულა და გაზრდილა.

ერთი გერმანელ-ჰოლანდიელი თავს ყველგან უცხოელად გრძნობდა, ერთმა გერმანიაში, კერძოდ კი დორტმუნდში დაბადებულმა ფეხბურთელმა, ავსტრიის ნაკრებში თამაში გადაწყვიტა და მერე გოლი მაინც გერმანიის სასარგებლოდ გაიტანა, ერთი საშუალო დონის თავდამსხმელი კი შვებულების გასატარებელ კუნძულზე ნამდვილი გმირი გახდა. მოკლედ, გერმანელები, რომლებიც სხვა ქვეყნების დროშის ქვეშ თამაშობდნენ ან თამაშობენ.

2005 წლის 8 ოქტომბერს გერმანიის პირველმა გუნდმა თურქეთში ამხანაგური თამაში 1:4 წააგო და იმ შეხვედრაში ბუნდესგუნდის წინააღმდეგ ოთხმა გერმანელმა ფეხბურთელმა ითამაშა. ესენი იყვნენ ძმები **ალთინთოფები**, რომლებიც გელზენკირხენში არიან დაბადებულები, ჰერნეში დაბადებული **ილდირაი ბაშთურქი** და **ნური შაჰინი**, რომელმაც დღის სინათლე პირველად პატარა გერმანულ დაბა ლიუდენშაიდში იხილა.

შაჰინი 16 წლის იყო, როცა დიდ ფეხბურთში გამოჩნდა და არაერთი რეკორდის ავტორია. მას გერმანიის ნაკრებში თამაში სურდა, რადგან თავს გერმანელად მიიჩნევდა, მაგრამ მშობლებმა უმძიმესი წნეხის ქვეშ მოაქციეს და რაკი თურქეთიც საკმაოდ უყვარდა, ფესვებს დაუბრუნდა და ახლა თურქეთის ნაკრებში თამაშობს. გაცილებით რთული იყო **ადილ ჩიჰის** შემთხვევა. ეს უკანასკნელი დიუსელდორფში დაბადებული და გაზრდილი ფეხბურთელია. 17 წლის ასაკში მან მსოფლიოს 20-წლამდელთა ჩემპიონატზე მაროკოს ნაკრებში ითამაშა, 2006 წლის შემოდგომაზე კი განაცხადა, მომავალში გერმანიის ნაკრების ღირსება უნდა დავიცვაო. ამის თქმა და მამამისის ჭკუიდან შეშლა ერთი იყო! როგორც ჩიჰი ამბობს, მაროკოელი პოლიტიკოსებიც კი ურეკავდნენ და ემუქრებოდნენ. მიუხედავად ყველაფრისა, დღემდე ჩიჰის არც გერმანიის ეროვნულ ნაკრებში უთამაშია და არც მაროკოს პირველ გუნდში.

გერმანიაში დაბადებული ფეხბურთელები, რომლებმაც სხვა ქვეყნების ნაკრებ გუნდებში ითამაშეს ან თამაშობენ

ფეხბურთელი	დაბადების ადგ.	დაბადების თარ	ნაკრები
ნური შაჰინი	ლიუდენშაიდი	5.09.1988	თურქეთი
ადილ ჩიჰი	დიუსელდორფი	21.02.1988	მაროკო
ჩეიუნ გიულზელამი	მიუნხენი	25.12.1987	თურქეთი
მარტინ ჰარნიკი	ჰამბურგი	10.06.1987	ავსტრია
სამი ალაგუი	დიუსელდორფი	28.05.1986	ტუნისი
მარკ გუიფუ	ბიტერფელდი	12.04.1984	კამერუნი
ჰაძან გალთა	ბერლინი	23.03.1983	თურქეთი
ჯალილ ალთინთოფი	გელზენკირხენი	8.12.1982	თურქეთი
ჰამით ალთინთოფი	გელზენკირხენი	8.12.1982	თურქეთი
ზვიეზდან მიშიმოვიჩი	მიუნხენი	5.06.1982	ბოსნია
შტეფან ლობუე	ჰეორცჰაიმი	23.08.1981	კოტ დივუარი
მიკაელ ფორსელი	შტაინფურტი	15.03.1981	ფინეთი
ბაკარი დიაკიტე	ფრანკფურტი	9.11.1980	მალი
დუ-რი ჩა	ფრანკფურტი	25.07.1980	სამხრეთ კორეა
ივან კლასნიჩი	ჰამბურგი	29.01.1980	ხორვატია
ზლატან ბაირამოვიჩი	ჰამბურგი	12.08.1979	ბოსნია
ერსტენ მარტინი	მარკტრედვიტცი	23.05.1979	თურქეთი
ფერიდოონ ზანდი	ემდენი	26.04.1979	ირანი
ილდირაი ბაშთურქი	ჰერნე	24.12.1978	თურქეთი
ალი გიუნეში	დონაუეშინგენი	23.11.1978	თურქეთი
აბდელაზიზ აპანფუფი	ფლიორსჰაიმი	14.01.1978	მაროკო
უმით ძარანი	ბერლინი	1.10.1976	თურქეთი
ილჰან მანშიზი	კემპტენი	10.08.1975	თურქეთი
ივიცა გრლიჩი	მიუნხენი	6.08.1975	ბოსნია
ოტო ადო	ჰამბურგი	9.06.1975	განა
ტიმო უსტერი	ბერლინი	22.10.1974	გამბია
ოკა ნიკოლოვი	ერბახი	25.05.1974	მაკედონია
რობერტ კოვაჩი	ბერლინი	6.04.1974	ხორვატია
ტაიფუნი	შტუტგარტი	2.04.1974	თურქეთი
უმით დავალა	მანჰაიმი	30.07.1973	თურქეთი
ნიკო კოვაჩი	ბერლინი	15.10.1971	ხორვატია
ტაიფური	ჰანაუ	23.04.1970	თურქეთი
რობერტ პროსინეჩკი	შვეინფურტი	12.01.1969	იუგ/ხორვატია
რაინერ რაუფმანი	კლევე	26.02.1967	კვიპროსი
ანტონი ბაფუი	ბონი	25.05.1965	განა
ტომ დოოლი	ბეხუმენი	12.05.1961	აშშ
ბერნდ კრაუსი	დორტმუნდი	8.05.1957	ავსტრია
ვილი ლიპენსი	გელდერგ-ჰაუ	10.11.1945	ჰოლანდია

ვილი ენტე ლიპენსის კარიერაშიც მამამ ითამაშა უდიდესი როლი. ამ ფეხბურთელმაც გერმანიის ნაკრებში თამაში ისურვა, მაგრამ მამა გაუგიჟდა. *„მამაჩემმა მითხრა, თუ გერმანიის ნაკრებში ითამაშებ, თვალით აღარ დამენახო!“* - თქვა 1945 წელს გრეცლანდში დაბადებულმა ლიპენსმა და მერე ისიც დასძინა, ვერც გერმანიაში ვგრძნობდი თავს გერმანელად და ვერც ჰოლანდიაში ჰოლანდიელადო. ჰოლანდიის ნაკრებში მან ერთადერთი მატჩი ჩაატარა (1971 წელს, 6:0 ლუქსემბურგთან) და მატჩის შემდეგ დაღონებულმა თქვა: *„მთელი თამაშის განმავლობაში წინ და უკან დავრბოდი, მაგრამ თანაგუნდელები სრულ იგნორირებას მიკეთებდნენ!“*

ასეა თუ ისე, ფეხბურთელი კი დაიჩაგრა, მაგრამ მამამისსაც უნდა გავუგოთ - ის ჰოლანდიელი იყო, მისი ცოლი კი გერმანელი, ფეხბურთში კი ჰოლანდიელები და გერმანელები ერთმანეთს დასანახად ვერ იტანენ. ჰოლანდიელი კაცისთვის უბრალოდ მიუღებელია ის, რომ მისმა შვილმა გერმანიის ნაკრებში ითამაშოს. გერმანელებისა და ჰოლანდიელების საფეხბურთო მტრობაზე ანეკდოტებიც კია შექმნილი და აი, ერთ-ერთი მათგანიც:

მიხაელ ბალაკის, რუუდ ვან ნისტელროისა და **ლილიან ტიურამის** ცოლებმა იმშობიარეს. გამოდის ექიმი, მოჰყავს სამი ბავშვი და დამწუხრებული ამბობს, ცუდი ამბავი გვაქვს, თქვენი შვილები ერთმანეთში აგვერიაო. ბალაკი ნამოხტება, შავკანიან ბავშვს ხელს დაავლებს და გარბის! გაოგნებული ტიურამი ხელებს შლის და ბალაკს უყვირის: *„რას აკეთებ მიხაელ, ეგ ხომ ნაღდად ჩემი ბავშვია?!“* ბალაკი: *„მთავარია, ჰოლანდიელი არ არის!“*

■ ■ ■

გერმანელი ფეხბურთელების დიდმა ნაწილმა გადაწყვეტილება თავისი სურვილით მიიღო. ასეთები თავიანთ ფესვებს დაუბრუნდნენ და იმ ქვეყნის ნაკრებში თამაშობდნენ ან თამაშობენ, საიდანაც მათი გვარი მოდის. მაგალითად, ბოსნიელ ფეხბურთელთა ტრიო: **ზვიეზდან მიშიმოვიჩი, ივიცა გრლიჩი** (ორივე მიუნხენში დაიბადა) და **ზლატან ბაირამოვიჩი**, ან ბერლინში დაბადებული ხორვატი ძმები **რობერტ** და **ნიკო კოვაჩები**. ამ ფეხბურთელებმა თავიდანვე თავიანთი ნამდვილი სამშობლოს ნაკრებში თამაშის სურვილი გამოთქვეს.

იყვნენ ისეთებიც, ვინც მხოლოდ მას შემდეგ გადაწყვიტა, ფესვებს დაბრუნებოდა, როცა მიხვდა, რომ გერმანიის ნაკრებში მოხვედრის შანსი არ ექნებოდა. მაგალითად, პფალცის ქალაქ ბეხჰოფენში დაბადებული, ამერიკელი ჯარისკაცის შვილი **ტომ დოოლი**, რომელიც 1998 წლის მუნდიალზე აშშ-ის ნაკრების კაპიტანი იყო. ზოგიერთმა ფეხბურთელმა კი გერმანიიდან ნასვლა და სხვა ქვეყნის ნაკრებში თამაში მას მერე გადაწყვიტა, რაც იმ ქვეყანაში რამდენიმე წელი გაატარა. მაგალითად, **ბერნდ კრაუსი**, რომელიც დორტმუნდში დაიბადა და ექვსი წლის მანძილზე ვენის „რაპიდში“ თამაშობდა. კრაუსმა ავსტრიის მოქალაქეობა მიიღო და რაკი მიხვდა, რომ ბუნდესგუნდში არასდროს ათამაშებდნენ, ავსტრიის ნაკრებში თამაში დაიწყო. სხვათა შორის, კრაუსს ავსტრიის ნაკრებში გერმანიის წინააღმდეგ ჰქონდა დებიუტი და იმ შეხვედრაში ავტოგოლი გაიტანა.

რაინერ რაუფმანი ერთი ჩვეულებრივი, საშუალო დონის თავდამსხმელი იყო. ფრანკფურტის „აინტრახტისა“ და ბილეფელდის „არმინიას“ რიგებში ბუნდესლიგის ეგიდით სულ რაღაც 30 მატჩი ჰქონდა ჩატარებული. მერე კი კვიპროსში წავიდა, სადაც „ომონიას“ რიგებში 152 მატჩში 181 (!!!) გოლი გაიტანა. 2002 წელს მან კვიპროსელი ქალი შეირთო და მოქალაქეობაც მიიღო, რის შემდეგაც კვიპროსის ნაკრებში დაიწყო თამაში. ადგილობრივი ფანებისთვის ის გმირი გახდა!

საინტერესოა ისიც, რომ ზოგიერთი ფეხბურთელის შემთხვევაში გერმანიაში დაბადება შემთხვევითობა იყო. ნახევრად ფინელი და ნახევრად შვედი **მიკაელ ფორსელი** მიუნსტერლანდში, კერძოდ შტაინფურტშია დაბადებული. რატომ? იმიტომ, რომ იმ დროს მამამისი იქ ფინური ფირმის მუშაკი გახლდათ. სამხრეთკორეელი **დუ-რი ჩა** კი ფრანკფურტში მოევლინა ქვეყნიერებას, რადგან მამამისი **ბუმ-კუნ ჩა** იმხანად ფრანკფურტში თამაშობდა.

გერმანიაში, კერძოდ კი ნეკარის შვინინგენშია დაბადებული ლეგენდარული ხორვატი ფეხბურთელი **რობერტ პროსინეჩკი**, მაგრამ ხორვატი მამისა და სერბი დედის შვილს არასდროს გასჩენია იმის ამბიცია ან სურვილი, რომ გერმანიის ნაკრებში ეთამაშა. და პროსინეჩკის ისტორია შექმნა: ის იყო პირველი ფეხბურთელი, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატებზე ორი ქვეყნისთვის შეძლო გოლების გატანა: 1990 წლის მუნდიალზე იუგოსლავიის ნაკრების მაისურით გაიტანა, 1998 წლის მუნდიალზე კი ხორვატიის ნაკრების მაისურით. რობერტ პროსინეჩკი **დავორ შუკერთან, ზვონიმირ ბობანთან, ალიოშა ასანოვიჩთან** და სხვებთან ერთად, ხორვატიის ისტორიაში ოქროს ასოებითაა შესული!

ბაიერნი ერთიანი ბიგლიოთეკა



იუპ ჰაინკესი ამ სეზონს ლევერკუზენში ჩაამთავრებს, ზაფხულიდან კი ბაიერნს გაწვრთნის

დონ იუპის მესამე ბავარიული

ახლა უკვე ოფიციალურად: ვან გაალს ჰაინკესი შეცვლის!

რამდენიმე დღის წინ გადაწყვეტილი ამბავი გუშინ ოფიციალურად დადასტურდა: მომავალ სეზონში „ბაიერნს“ **იუპ ჰაინკესი** უთავკაცებს. მოგეხსენებათ, „დონ იუპი“ „ლევერკუზენის“ დამრიგებელია, მაგრამ „ბაიერთან“ ახალ კონტრაქტს არ აფორმებს - სწორედ იმიტომ, რომ მიუნხენში დაუძახეს. რეკორდმაისტერის მენეჯერ **ული ჰოინესის** თქმით, ჰაინკესი „ბაიერნთან“ ორწლიან კონტრაქტს აფორმებს - 2013 წლის 30 ივნისამდე. შეგახსენებთ, რომ ჰაინკესი „ბაიერნს“ სათავეში მესამედ ჩაუდგება. იუპი მიუნხენურ კლუბს პირველად 1987-დან 1991 წლამდე წვრთნიდა, მეორედ კი 2009 წლის აპრილიდან ივნისამდე.

„ბაიერნის“ მთავარი მწვრთნელობა ჩემთვის უდიდესი პატივია. რეკორდმაისტერს უკვე ორჯერ ვწვრთნიდი და მიუნხენურ კლუბში მუშაობით ორივეჯერ უდიდესი სიამოვნება მივიღე. მას მერე, „ბაიერნის“ ხელმძღვანელებთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს და სწორედ ამიტომ, მესამედ მუშაობასაც უდიდესი სიამოვნებით დავთანხმდი, - აცხადებს ჰაინკესი, - *ცხადია, ვიცი, რომ ვალდებული ვარ, ამ ორი წლის განმავლობაში ტიტულები მოვიგო და ჩემთვის ეს უდიდესი გამოწვევაა.“*

„როცა გაირკვა, რომ ლუის ვან გაალი ზაფხულში დაგვტოვებდა, ჰაინკესი იყო პირველი მწვრთნელი, ვისი გვარიც თავში მომივიდა. მიხარია, რომ თანამშრომლობა ზე ამჯერადაც დაგვთანხმდა. დარწმუნებული ვარ, რომ „ბაიერნი“ ჰაინკესთან ერთად არაერთ ტიტულს მოიგებს,“ - ეს კი ვიცე-პრეზიდენტ **კარლ-ჰაინც რუმენიგეს** სიტყვებია.

ამბები

კიაერი დაიმგვრა

„ვოლფსბურგის“ მცველმა **სიმონ კიაერმა** დანიის ნაკრების ვარჯიშისას საკმაოდ მძიმე ტრავმა მიიღო და სავარაუდოდ, ამ სეზონში მოედანზე გასვლას ვეღარ შეძლებს. „მგლების“ მთავარი მწვრთნელი **ფელიქს მაგათი** აცხადებს, რომ დანიელი უკანახაზელის დაშავება მისთვის სერიოზული პრობლემაა, მაგრამ იმედოვნებს, რომ სათადარიგო უკანახაზელი **ალექსანდერ მადლუნგი** კიაერს სრულფასოვნად შეცვლის.

ფარფანი იუვეში?

„შალკეს“ პერუელ ნახევარმცველ **ჯეფერსონ ფარფანს** გელზენკირხენულ კლუბთან კონტრაქტი 2012 წლამდე აკავშირებს, მაგრამ რაც უფრო ახლოვდება ზაფხული, მით უფრო მეტი ინფორმაცია ვრცელდება იმის შესახებ, რომ ფარფანი „შალკეს“ დატოვებს. გარემარბის მრჩეველმა იტალიური „გაძეტა დელო სპორტს“ დაუდასტურა, რომ ფარფანის გადაბირება ტურინის „იუვენტუსს“ უნდა და რომ „ბებერი ქალბატონის“ ხელმძღვანელები უკვე ძალიან აქტიურობენ.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

უცხოური ფეხბურთი

ვალენსია

ტრანსფერები, ანალიტიკა და სტატისტიკა

ღამურების გადაფრენა... გადმოფრენა

უნაი ემერის სასწაული

ევროპაში სანაკრებო პაუზით ვსარგებლობთ და ვაგრძელებთ ესპანური კლუბების სატრანსფერო პოლიტიკის ნაყოფიერების განხილვას. რუბრიკის პირველი გუნდი „რეალი“ იყო, დღეს ჯერი „ვალენსიაზეა“ - გუნდზე, რომელმაც 29-ე ტურში დაკარგა აქამდე, თითქოსდა, განაღდებული მე-3 ადგილი. თუმცა, შეგახსენებთ, რომ სეზონი ჯერ არ დასრულებულა - წინ 9 ტურია.

„ვალენსიამ“ 2009/10 წლების სეზონი გაორებული გრძნობით დაასრულა - ერთი მხრივ, გუნდმა მე-3 ადგილი და ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიგო, მაგრამ, მეორე მხრივ, „ღამურების“ გულშემატკივრებს ჰქონდათ იმის შეგრძნება, რომ ეს გამოსათხოვარი სეზონი იყო ესპანურ ელიტაში. მიზეზი? **დავიდ ვილია** „ბარსელონამ“ წაიყვანა, **დავიდ სილვამ** იბერია „ნისლიან ალბიონზე“ გაცვალა. ამ ორი ლიდერის სანაცვლოდ, „ლოს ჩემ“ 60 მილიონ ევროზე მეტი კი მიიღო, მაგრამ გუნდის შეტევების სული და გული ხომ ვილია და სილვა იყვნენ. გულშემატკივრებს, ამ ორის გარეშე დარჩენილი გუნდის პერსპექტივა აშინებდათ. მით უფრო, რომ შემოსული თანხის დიდი ნაწილი ვალების დაფარვას დასჭირდა და არა ახალი ფეხბურთელების შეძენას. თუმცა უნაი ემერის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ „ვალენსიამ“ შეძლო რენომეს შენარჩუნება, გუნდს სახე არ დაუკარგავს, ხოლო ბასკმა სპეციალისტებმა ახალი ფეხბურთელების დახმარებით, რომლებიც ძალიან იაფად შეიძინეს, ახალი ტაქტიკური სქემები მოარგო გუნდს. „ვალენსია“ ისევ ინარჩუნებს პრეტენზიას, იყოს მესამე ორი სუპერგრანდის შემდეგ. ამას კი სეზონის წინ ძალიან ბევრი ვერც კი წარმოიდგენდა.

მოდი ვნახოთ, ვინ გაამართლა და ვინ არა „ვალენსიას“ ახალწვეულთაგან. მაშ ასე, 2010 წლის ზაფხულში „ვალენსიაში“ მივიდნენ: **რიკარდო კოშტა** (თავისუფალი აგენტი), **სოფიან ფეგული** (თავისუფალი აგენტი), **ტინო კოსტა** (მონპელიე), **მეჰმეთ ტოპალი** (გალათასარაი), **არიც ადურისი** (მალიორკა), **ჟონასი** (გრემიო), **რობერტო სოლდადო** (ხეტაფე), **მარიუს სტანკევიჩიუსი** (სამპდორია), **ვისენტე გუაიტა** (უელვა, იჯარა დაუსრულდა), **სანი** (ბეტისი, იჯარა დაუსრულდა). წასულთა სია უფრო შთამბეჭდავია: დავიდ ვილია (ბარსელონა), დავიდ სილვა (მანჩესტერ სიტი), **უგო ვიანა** (ბრაგა), **ნიკოლა ჟიგიჩი** (ბირმინგემი), **ალექსისი** (სევილია), **კარლოს მარჩენა** (ვილიარეალი), **რუბენ ბარახა** (ფეხბურთს თავი დაანება), **მიჩელი** (დეპორტივო), **მანუელ ფერნანდეში** (ბეშიქთაში), **რენანი** (ინტერნასიონალი), სანი (ნუმანსია), სოფიან ფეგული (ალმერია).

მოკლედ, „ვალენსიამ“ მთლიანად დაკარგა შეტევის ხაზი (ვილია, ჟიგიჩი, სილვა), გამოცდილი მცველი, რომელსაც საყრდენადაც შეუძლია თამაში (მარჩენა) და სოლიდური ცენტრალური მცველი (ალექსისი).

კლასი A

ტინო კოსტა
(არგენტინა)
26 წლის
6,5 მილიონი ევრო
მთელ სეზონში:
27 თამაში, 6 გოლი

არგენტინელს **ალბერტო კოსტა** ჰქვია, თუმცა ყველა ტინოდ მოიხსენიებს. ასე ვიზამთ ჩვენც. ამ სეზონში ტინოს თამაშს მხოლოდ დადებითი კუთხით ვერ შევაფასებთ, მართალია A კლასი მივანიჭეთ, მაგრამ მის გაბრწყინებებთან ერად არც ის გვავიწყდება, რომ ზოგჯერ არგენტინელი ვერ ამართლებს და სუსტად თამაშობს. მოკლედ, 26 წლის ნახევარმცველს სტაბილურობა აკლია. რაც ბუნებამ მოამადლა, ეს შორეული დარტყმების ნიჭია. მისთვის დისტანციასა და კუთხეს ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ტინოს დარტყმულს ესპანურ პრიმერაში ნებისმიერი მეკარე უფრთხის. კოსტა კარგია მეტოქის შეტევების ჩაშლაში, სწრაფი კონტრშეტევების წამოწყებაში. მოკლედ, ერთნაირად კარგად უმკლავდება დაცვით და შეტევით ფუნქციებს.

კლასი B+

რობერტო სოლდადო
(ესპანეთი)
25 წლის
10 მილიონი
33 თამაში, 13 გოლი

სოლდადოს სტატისტიკას, რომ გადავხედოთ, ვერ ვიტყვით, რომ ეს ის ცენტრფორვარდია, ვისზეც „ვალენსია“ ოცნებობდა: სულ 6 გოლი ლა ლიგაში (თუმცა ამდენივე ჩემპიონთა ლიგაში, რაც ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია) ბევრი ნამდვილად არ არის, მაგრამ, სანამ 25 წლის ფორვარდს გავაკრიტიკებთ, გავიხსენოთ, რომ სეზონის დასაწყისი „მეომარმა“ ლაზარეთში გაატარა.

სოლდადო და ადურისი ვილიას შემცვლელებად იყიდეს, რომ არა, ტრავმა, ის ალბათ მეტსაც შეძლებდა და კიდევ - სოლდადოს შეტევაში ფეთქებადი სტილი აკლია, თუმცა „ხეტაფეს“ შემდეგ ეგრევე „ვალენსიაში“ გაბწყინება ცოტა ძნელია.

კლასი B+

არიც ადურისი
(ესპანეთი)
30 წლის
4 მილიონი
33 თამაში,
13 გოლი

გასულ სეზონში ადურისი „მალიორკას“ შეტევების ლიდერი იყო და ის ბალეარულ გუნდს მე-5 ადგილის მოპოვებაში დაეხმარა. წლეულს ის „ვალენსიას“ ბომბარდირია ლა ლიგაში, 9 გოლით და 2 საგოლე პასით. ადურისზე უფრო ტექნიკური და უფრო „ჭკვიანი“ ფეხბურთელი ბევრია „ღამურებში“, მაგრამ ვეტერანი ფორვარდი ამ ნაკლს უდიდესი მონდომებით და ბრძოლის ჟინით აბათილებს. საქვეყნოდ ცნობილია, მისი კარგი თამაში „მეორე სართულზე“. მოკლედ, სოლდადომ და ადურისმა რაღაც დონეზე (ოღონდ, ორივემ ერთად) შეძლეს ვილიას შეცვლა და „ვალენსიას“ მესვეურთა მიზანიც სეზონის წინ ეს იყო.

კლასი B

რიკარდო კოშტა
(პორტუგალია)
29 წლის
თავისუფალი აგენტი
29 თამაში, 1 გოლი

„ლილის“ ყოფილი მცველი „ვალენსიას“ ევროკ არ დასჯდომია. ამიტომ, ამ ტრანსფერის ავკარგიანობაზე ლაპარაკი, როცა მოთამაშემ შეძლო გუნდის შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრება, უადგილოა. „ვალენსიამ“ პორტუგალიელი მსოფლიოს ჩემპიონ **კარლოს მარჩენას** შემცვლელად მიიყვანა. დაცვის ცენტრში მას ადგილი ლამის დაბევებული აქვს. მართალია, ხანდახან სერიოზულ შეცდომებსაც უშვებს, მაგრამ ფაქტია - ყოფილმა ლილელმა დაამტკიცა, რომ პრიმერადივიზიონში თამაში შეუძლია. ჩემპიონთა ლიგის მატჩში, გერმანიაში სწორედ **რიკარდო კოშტამ** გაიტანა და „ვალენსიას“ „შალკესთან“ წყვილში გამარჯვების შანსი მისცა (რომელიც ესპანურმა კლუბმა ვერ გამოიყენა).

კლასი B

მეჰმეთ ტოპალი
(თურქეთი)
25 წლის
5 მილიონი
20 თამაში, 1 გოლი

სეზონის დასაწყისში თურქეთის ნაკრების ნახევარმცველი ისე თამაშობდა, ყველას ეგონა, რომ ის სულ მალე გუნდის ლიდერი გახდებოდა. ტოპალი იყო გუნდის შეტევისა და დაცვის შემადულებელი რგოლი, კლდესავით იდგა საჯარიმოს წინ და მეტოქის შემტევ ნახევარმცველებს გასაქანს არ აძლევდა. სეზონის მეორე ნახევარში კი... თურქმა სასტარტოში ადგილი დაკარგა. ამის მიუხედავად, მეჰმეთ ტოპალი კარგი შენაძენია გრძელვადიანი პერსპექტივის გათვალისწინებით.

კლასი B–

ჟონასი
(ბრაზილია)
26 წლის
1,25 მილიონი
7 თამაში, 1 გოლი

ჟონასი „ღამურებმა“ ზამთარში იყიდეს „გრემიოსგან“, თუმცა თანხა, რაც მათ გადაიხადეს, უბრალოდ, სასაცილოა ევროპული მასშტაბით. ბიჭი ჯერ ახალწვეულია და მისი შეფასება ვერ იქნება სრული. ფაქტია, რომ წინა ხაზში მისმა გამოჩენამ „ვალენსიას“ შეტევები გაამრავალფეროვნა. ერთადერთი გოლი კი, რომელიც მან „ვალენსიას“ მაისურით გაიტანა, გამარჯვებისა გამოდგა, თანაც ეს მან „საფეხბურთო კათედრალზე“ ბილბაოში შეძლო. მხოლოდ დრო გვიჩვენებს, რამდენად წარმატებული იქნება ბრაზილიელის მესტალიური კარიერა.

კლასი D

მარიუს სტანკევიჩიუსი
(ლიტვა)
29 წლის
იჯარა
16 თამაში, 1 გოლი

ბალტიელი „სამპდორიას“ ეკუთვნის და ვალენსიაში იჯარით თამაშობს. მისდა სამწუხაროდ, **სტანკევიჩიუსმა** ვერ გაამართლა იმედები. უამრავი შეცდომა დაუშვა და არა გვგონია, სეზონის ბოლოს კლუბმა მისი დატოვება მოინდომოს. არადა, გასულ სეზონში „სევილიაში“ ლიტველი დიდებულად თამაშობდა.

კლასი D

სოფიან ფეგული
(საფრანგეთი)
21 წლის
თავისუფალი აგენტი
5 თამაში

21 წლის ნახევარმცველს, რომ გაუჭირდებოდა, ცხადი იყო. მან სულ რამდენიმე მატჩში მიიღო მონანილეობა სეზონის პირველ ნახევარში (ყოველთვის შეცვლაზე). ასე რომ, იანვარში მისი იჯარით გაშვება „ალმერიაში“ სწორი გადანყვეტილება იყო. **ფეგულიმაც** სათამაშო პრაქტიკა მიიღო ანდალუსიაში, გოლებიც გაიტანა.

ვისენტე გუაიტას თამაშს არ ვაფასებთ, რადგან ეს გოლკიპერი „ვალენსიას“ წევრი იყო, უბრალოდ, იჯარით თამაშობდა „უელვაში“, სადაც სეგუნდა-დივიზიონის საუკეთესო მეკარედ დაასახელეს. ფაქტია, რომ მისი დაბრუნება დროული გადაწყვეტილება იყო უნაი ემერის მხრიდან.

დაბოლოს, კლასი A მივანიჭეთ **უნაი ემერის.** სწორედ იმიტომ, რომ მიუხედავად ამდენი დანაკარგისა, „ვალენსია“ ისევ იქაა, სადაც შარშან - ესპანური ფეხბურთის ელიტაში...

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

ვალენსია 2010/11. მიმდინარე სტატისტიკა

ფეხბურთელი	ას.		წთ.	თ.	სტ.	გვ.	შვ.	გან.	გ.	ყვ.	2 ყვ.	წ.
13. გუაიტა	24	1432	17	15	2	0	8	0	1	0	0	
1. სესარი	39	818	10	10	0	2	6	0	3	0	0	
25. მოია	26	360	4	4	0	0	6	0	0	0	0	
39. საული	21	0	0	0	0	0	9	0	0	0	0	
20. რ. კოშტა	29	1925	22	22	0	1	3	0	6	1	0	
22. მატიო	27	1540	21	19	2	9	6	1	2	0	0	
17. სტანკევიჩ.	29	1343	16	15	1	1	5	1	5	2	0	
3. მადურო	26	1316	15	15	0	2	6	1	5	0	0	
23. მიგელი	31	1280	17	14	3	2	5	0	1	0	0	
2. ბრუნო	30	1280	16	14	2	2	10	0	6	0	0	
4. ნავარო	30	1148	15	14	1	3	4	1	8	2	0	
15. დეალბერტი	28	483	8	5	3	1	11	0	1	0	0	
7. ხოაკინი	29	1603	23	19	4	7	4	4	5	0	0	
24. კოსტა	26	1457	20	15	5	3	9	4	11	0	0	
19. პ. ერნანდ.	25	1416	21	16	5	6	13	5	2	0	0	
5. ტოპალი	25	1251	15	14	1	1	7	1	5	0	1	
28. ალბა	22	1241	21	13	8	2	12	0	6	0	0	
21. ბანეგა	22	1126	20	12	8	9	10	1	6	0	0	
6. ალბელდა	33	725	10	8	2	1	5	0	7	1	0	
14. ვისენტე	29	544	13	5	8	4	14	1	1	0	0	
26. ისკო	18	61	4	0	4	0	6	0	0	0	0	
45. მონტორო	22	0	0	0	0	0	1	0	0	0	0	
10. მატა	22	1808	24	22	2	12	3	5	2	0	0	
9. სოლდადო	25	1732	25	18	7	6	9	6	7	0	0	
11. ადურისი	30	1731	24	19	5	6	7	9	5	0	1	
8. დომინგესი	29	323	9	3	6	4	13	0	1	0	0	
18. ჟონასი	26	258	6	3	3	3	3	1	0	0	0	
33. ალკასერი	17	0	0	0	0	0	1	0	0	0	0	

შენიშვნა: წთ - წუთი სეზონში; თ - თამაში; სტ - სასტარტოში; გვ - გავიდა; შვ - შევიდა; გან - განაცხადში იყო; გ - გოლი; ყვ - ყვითელი ბარათი; 2 ყვ - 2 ყვითელი ბარათი; წ - წითელი ბარათი.

საგოლე პასი

საგოლე პასები	სულ	ვის (რამდენი)
მატა	7	3 სოლდადო, 2 პ. ერნანდესი, 1 მადურო, კოსტა
პ. ერნანდესი	4	2 მატა, 1 სოლდადო, ხოაკინი
ხოაკინი	4	3 ადურისი, 1 მატა
სოლდადო	3	3 ადურისი
ბანეგა	3	1 ხოაკინი, კოსტა, ადურისი
ადურისი	2	1 პ. ერნანდესი, ხოაკინი
დომინგესი	1	1 ვისენტე
სალტორი	1	1 სოლდადო
რ. კოშტა	1	1 მატა
ალბელდა	1	1 ადურისი
მატიო	1	1 პ. ერნანდესი
კოსტა	1	1 მატიო
ფერნანდეში	1	1 ტოპალი
ჟონასი	1	1 პ. ერნანდესი

● ინგლისის ნაკრები

ჩაანაცვლებს თუ არა ჯეკ უილშირი (მარცხნივ) ფრენკ ლემპარდს

ლემპარდის დრო წავიდა?

უილშირი და კეროლი ახალგაზრდულში

"ტელეგრაფის" საფეხბურთო მიმომხილველის ვარაუდით, **ფაბიო კაპელომ** 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის განაცხადში **ფრენკ ლემპარდს** 23-კაციან განაცხადში შეიძლება ადგილი ვერ მოუძებნოს. გამოცემის ანალიტიკოსის მტკიცებით, იტალიელი მწვრთნელი ძალიან უკმაყოფილოა წელს ფეხბურთელის ასპარეზობით. ამას თავისი ობიექტური მიზეზები აქვს, ჩელსელს რამდენჯერმე მიკროტრავმა აწუხებდა, მაგრამ როცა ჯანმრთელი იყო, მაშინაც ვერ ბრწყინავდა. ამას გარდა, ლონდონელი ვარსკვლავი მომდევნო სეზონის მიწურულს უკვე 33 წლის იქნება და ეს კიდევ ერთი მიზეზია იმისა, რომ განაცხადს მიღმა დარჩეს. უმთავრესი მიზეზი კი ალბათ "არსენალის" ამომავალი ვარსკვლავი **ჯეკ უილშირია,** რომელიც თამაშიდან თამაშამდე იზრდება და საკარაუდოა, რომ ერთ წელწადში უკვე მზად იქნება ნაკრების ძირითადში სათამაშოდ. ბუნებრივია, ლემპარდს არავინ უკარგავს დამსახურებებს ნაკრების წინაშე, ბოლოს და ბოლოს, მას 84 მატჩში 20 გოლი აქვს გატანილი, მაგრამ მიუხედავად დიდი სურვილისა, მას არასოდეს უთამაშია ნაკრებში ისე მაგრად, ტრადიციულად რა დონეზეც ასპარეზობდა "ჩელსიში". თუმცა იქამდე ინგლისელებს ჯერ... ევროპის ჩემპიონატის საგზური აქვთ მოსაპოვებელი და ლაპარაკი 23-კაციან განაცხადზე ჯერ მაინც ნაადრევი გვგონია.

ამასობაში ინტერნეტის წყალობით საინტერესო ინფორმაცია გახდა ცნობილი, დღეს უელსში გასამართი მატჩისთვის ინგლისის ნაკრების ფანებს ათასობით გასაბერი ცხვარი მიაქვთ. აღნიშნული აქცია, ბუნებრივია, მასპინძლებისთვის პროვოკაციულია, თუმცა არაკანონიერი არაფერი არ არის და შესაბამისად, მის წინააღმდეგ ვერავინ ვერაფერს იღონებს. დაპირისპირება გულშემატკივრებსა თუ ფეხბურთელებს შორის ინტერნეტსივრცეში თამაშამდე კარგა ხნით ადრე დაიწყო. მაგალითად, უელსელმა **რობი სევეჯმა** თავის ბლოგზე დაწერა, რომ ვალიელთა თავდამსხმელი **კრეიგ ბელამი** "ზურგის მიმართულებით" უფრო სწრაფად დარბის, ვიდრე **ჯონ ტერი** ნორმალურ ვითარებაში. ამან "მანჩესტერ სიტის" შუახაზელი **ჯეიმს მილნერი** აღაშფოთა და საპასუხოდ დაწერა, უელსელებს დიდი გული მხოლოდ ვირტუალურ სივრცეში აქვთ და მინდორზე არაფერი ესაქმებათო. სწორედ ამის შემდეგ გაუჩნდათ იდეა ინგლისის ფანებს, რათა გასაბერი ცხვრები შეეძინათ და "მოგების შემდეგ" მეზობლებისთვის დაეცინათ. მოგეხსენებათ, უელსში სოფლად მეცხვარეობა საკმაოდ განვითარებულია და ის მოსახლეობის შემოსავლის სოლიდურ წყაროს შეადგენს. სტატისტიკურად ამ ქვეყანაში თითო სულ მოსახლეზე 4 ცხვარი მოდის. კარდიფის "მილენიუმზე" 7-8 ათას ინგლისელს და დიდ ამბებს ელიან.

ამასობაში ფაბიო კაპელომ "ბირმინგემის" ტრავმირებული მეკარის **ბენ ფოსტერის** ნაცვლად ნაკრების შეკრებაზე "ვესტ ბრომვიჩის" კარის დარაჯ **სკოტ კარსონს** უხმო. როგორც უკვე იცით, პირველმა შეკრება მწვავე ანგინის გამო მიატოვა და სამკურნალოდ შინ გაემგზავრა. მართალია წინასწარ უკვე ცნობილია, რომ კაპელო ძირითადში **ჯო ჰარტს** დააყენებს, მაგრამ პრობლემა ის იყო, რომ იტალიელს სათადარიგოთა სკამზე მეკარე აღარ რჩებოდა.

გუშინწინ ჰარტმა ინტერვიუ მისცა ერთ-ერთ ინგლისურ სატელევიზიო არხს, სადაც განაცხადა, რომ **გარეთ ბეილის** არყოფნა ვალიელებზე უარყოფითად აისახება, რაც შესაბამისად, ინგლისელთა წისქვილზე დაასხამს წყალს: *"ბეილი ინგლისის პრემიერლიგის ერთ-ერთი უძლიერესი ფეხბურთელია. ასე რომ, მისი არყოფნა ჩვენს ინტერესებში შედიოდა. პირადად მე ეს ფაქტი სულაც არ მიხარია და მალე გამოჯანმრთელებასაც ვუსურვებ, მაგრამ უბრალოდ ფაქტს აღვნიშნავ. თუმცა უელსის ნაკრებთან შეხვედრა მაინც ყოველთვის პრინციპული ხასიათისაა და სხვა შესარჩევი მატჩებისგან დიდად განსხვავდება. ტრიბუნებიდან ჩვენზე არანორმალური ზეწოლა იქნება,"* — განაცხადა ფეხბურთელმა.

პრემიერლიგის უნიჭიერესი ახალგაზრდა ფეხბურთელები ჯეკ უილშირი და **ენდი კეროლი** ამ ზაფხულზე **სტიუარტ პირსს** ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე დაეხმარებიან. პირსის გადაწყვეტილებით წამოუდგენლად უკმაყოფილონი დარჩებიან "არსენალისა" და "ლივერპულის" ხელმძღვანელები, მაგრამ მათ სხვა გზა მაინც არ აქვთ. შეგახსენებთ, რომ **არსენ ვენგერს** ახალგაზრდული ნაკრების დამრიგებელთან პირველად სერიოზული კონფლიქტი სწორედ აღნიშნული მიზეზით მოუვიდა, მაშინ ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე **თეო უოლკოტი** გამოიძახა. 2 წლის წინ ალბიონელთა ლიდერად სწორედ უოლკოტი მოგვევლინა. არსენალელმა ნაკრები ფინალში გაიყვანა, სადაც, მართალია, საშვილიშვილოდ შერცხვა და გერმანიასთან 0:4 წააგო. ამჯერადაც მსგავსი მწვავე რეაქცია ექნება თუ არა ფრანგს, ამას მოგვიანებით შევიტყობთ.

ლევან ბიბილაშვილი

● ევრო 2012 შესარჩევი მატჩები

ვილიას ისტორიული ცვლაფრ

ჰოლანდია, ესპანეთი უდანაკარგოდ, იტალია თითქმის

ელია) - ვან პერსი.

გოლები: 0:1 ვან დერ ვაარტი (8), 0:2 აფელაი (45), 0:3 კიუიტი (54), 0:4 ვან პერსი (62)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ჰოლანდია	5	5	0	0	16-2	15
2. უნგრეთი	5	3	0	2	12-8	9
3. შვედეთი	3	2	0	1	9-4	6
4. მოლდოვა	4	2	0	2	5-3	6
5. ფინეთი	4	1	0	3	10-6	3
6. სან მარინო	5	0	0	5	0-29	0

I ჯგუფი

ესპანეთი–ჩეხეთი 2:1

ესპანეთი (4-3-3): კასილიასი - არბელოა, პიკე, სერხიო რამოსი, კაპდევილა (58. კასორლა) - ჩაბი ალონსო (46. ტორესი), ბუსკეტსი, ჩავი - ნავასი (86. მარჩენა), ვილია, ინიესტა.

ჩეხეთი (4-2-3-1): ჩეხი - პოსპეხი, შივოკი, ჰუბნიკი, მ. კადლეცი - პლაშილი, ჰუბშმანი - რეჟეკი (84. ნეციდი), როსიცკი, პუდილი (78. ჰლუშეკი) - ბაროში.

გოლები: 0:1 პლაშილი (29), 1:1 ვილია (69), 2:1 ვილია (72-პენ)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ესპანეთი	4	4	0	0	12-4	12
2. ჩეხეთი	4	2	0	2	4-3	6
3. შოტლანდია	4	1	1	2	4-5	4
4. ლიტვა	3	1	1	1	2-3	4
5. ლიხტენშტაინი	3	0	0	3	1-8	0

ნიკოლოზ ნეფარიძე

A ჯგუფი

ავსტრია–ბელგია 0:2

ავსტრია (4-5-1): მახო - დაგი, დრაგოვიჩი, პოგატეცი, ფუხსი - ჰარნიკი, ალაბა (54. პეჭლივანი), იუნუზოვიჩი (69. კორკმაზი), არნაუტოვიჩი, ბაუმგარტლინგერი, - იანკო (54. მაიერჰოფერი).

ბელგია (4-1-4-1): მინოლე - სიმანი, ვან ბუიტენი, კომპანი, ვერტონგენი - სიმონსი - დემბელე, ჩადლი, დეფუ, ვიტსელი - ოგუნჯიმი (80. მირალიაში).

გოლები: 0:1 ვიტსელი (6), 0:2 ვიტსელი (50)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. გერმანია	4	4	0	0	13-1	12
2. ავსტრია	4	2	1	1	9-6	7
3. ბელგია	5	2	1	2	10-8	7
4. თურქეთი	4	2	0	2	6-6	6
5. აზერბაიჯანი	3	1	0	2	2-9	3
6. ყაზახეთი	4	0	0	4	0-10	0

C ჯგუფი

სერბეთი–ჩრდ. ირლანდია 2:1

სერბეთი (4-2-3-1): ბრკიჩი - ივანოვიჩი, სუბოტიჩი, ბიზევაცი, კოლაროვი - სტანკოვიჩი, ლიაიჩი (47. იოვანოვიჩი) - ტოშიჩი, მილიაში (47. ნინკოვიჩი), კრასიჩი - პანტელიჩი.

ჩრდ. ირლანდია (4-1-4-1): კამპი - კეზკარტი, მაკოული, ჰიუზი, ჯ. ევანსი - ბერდი - კ. ევანსი, კლინგენი, გორმენი (78. ფინეი), ბრანტი - ლაფერტი (46. ჰილი).

გოლები: 0:1 მაკოული (40), 1:1 პანტელიჩი (65), 2:1 ტოშიჩი (74)

სლოვენია–იტალია 0:1

სლოვენია (4-4-2): ჰანდანოვიჩი - ბრეჩკო (69. ანჯიელკოვიჩი), ბოსტიანი, შულერი, იოკიჩი - კორენი, რადოსავლიევიჩი, კირმი, ბირსა (74. ილიჩიჩი) - დედიჩი (56. ლუბიანკიჩი), ნოვაკოვიჩი.

იტალია (4-4-2): ბუფონი - ბონუჩი, ბალძარეტი, მაჯო, კიელინი - მოტა, მაური (63. ნოჩერინო), აკვილანი, მონტოლივო (87. მარკიზიო) - კასანო (74. როსი), პაკინი.

გოლი: 0:1 მოტა (73)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. იტალია	5	4	1	0	11-1	13
2. სლოვენია	5	2	1	2	7-4	7
3. სერბეთი	5	2	1	2	7-8	7
4. ესტონეთი	4	2	0	2	6-5	6
5. ჩრდ. ირლანდია	4	1	2	1	3-3	5
6. ფარერები	5	0	1	4	3-16	1

D ჯგუფი

ლუქსემბურგი–საფრანგეთი 0:2

ლუქსემბურგი (4-5-1): ჟუბერი - შნელი, ბლაიზი, ჰოფმანი, მუტში - ლატერზა (54. მარტინო), პაიალი, ჟერსონი (71. და მოტა), ბეტმერი, ლევეკი (90. პლაინი) - ჟოაკიმი.

საფრანგეთი (4-2-3-1): ლორისი - სანია, რამი, მექსე, ევრა - მვილა, გურკუფი - რიბერი, ნასრი, მალუდა - ბენზემა.

გოლები: 0:1 მექსე (28), 0:2 გურკუფი (72)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. საფრანგეთი	5	4	0	1	8-1	12
2. ბელარუსი	4	2	2	0	3-0	8
3. ალბანეთი	4	1	2	1	3-4	5
4. ბოსნია	3	1	1	1	4-3	4
5. რუმინეთი	3	0	2	1	1-3	2
6. ლუქსემბურგი	5	0	1	4	0-8	1

E ჯგუფი

უნგრეთი–პოლანდია 0:4

უნგრეთი (4-2-3-1): კირაი - ლიპტაკი, ვანჩაკი, იუჰაცი, ლაჩკო - ვარგა (46. ვადოცი), ელეკი (79. პრისკინი) - კომანი (46. ცვიტკოვიჩსი), გერა, ჯუჯაკი - რუდოლფი.

ჰოლანდია (4-2-3-1): ვორმი - ვან დერ ვილი, ჰეიტინგა, მატისენი, პიეტერსი - დე იონგი, ვან დერ ვაარტი (82. სტრუტმანი) - კიუიტი (81. ვან ნისტერლოი), სნეიდერი, აფელაი (63.

● ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ნაკრები

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო (www.msy.gov.ge)

ბერძენ-რომაელთა გუნდიც გაირკვა

ტრავმებმა ამჯერადაც დაგვაზარალა

ევროპის ჩემპიონატზე წასაყვანი შემადგენლობა გუშინ ბერძნულ-რომაული ნაკრების თავკაცმა **ბეგი დარჩიამაც** დაასახელა. სამწუხაროდ, ტრავმებმა მას არც ამჯერად მისცა ოპტიმალური შემადგენლობის შეკრების საშუალება, ევროპაზე კი **ლაშა გოგიტაძე** (55), **რევაზ ლაშხი** (60), **ანტონ მამაგეიშვილი** (66), **მანუჩარ კვირკველია** (74), **მათე სოფაძე** (84), **სოსო ჯაბიძე** (96) და **დიმიტრი ჯავახიშვილი** (120) იჭიდავებენ. კონტინენტის პირველობა 29 მარტიდან 3 აპრილის ჩათვლით გერმანულ დორტმუნდში გაიმართება.

ჩვენი ნაკრები დასკვნით შეკრებას დუშეთში გადის და საკონტროლო ორთაბრძოლებიც იქ გაიმართა. საევროპო გუნდის ძირითადი ბირთვი აქამდეც ცნობილი იყო, მაგრამ ტრავმების გამო ზოგიერთ წონაში საკადრო ცვლილებები იყო მოსალოდნელი და ამ შეხვედრების ჩატარებამდე მწვრთნელები შემადგენლობის დასახელებას არ ჩქარობდნენ. დარჩიასთვის ბოლო დანაკლისი და სერიოზული საკადრო დარტყმაც ახალგაზრდებში ევროპისა და მსოფლიოს შარშანწინდელი პრიზიორი (ოლონდ მაშინ 60-ში გამოდიოდა) **არჩილ თურმანიძე** (66) აღმოჩნდა. ის საქართველოს მოქმედი ჩემპიონია და მერე საერთაშორისო ტურნირებშიც კარგად გამოვიდა, მაგრამ წინა შეკრებაზე, მინსკში წასვლისას გაცივდა და ბელარუსში, პრაქტიკულად, ვერ ივარჯიშა. საქართველოში დაბრუნების შემდეგ გუნდში ქვეყნის მესამე პრიზიორმა მამაგეიშვილმა შეცვალა. მოსამზადებელი ეტაპი ურიგოდ თითქოს არც მას გაუვლია - ბულგარეთში მანაც და თურმანიძემაც საერთაშორისო ტურნირში იჭიდავეს და ორივე მესამეზე გავიდა. უბრალოდ, თურმანიძემ მანამდე საქართველოს პირველობაზეც აჯობა შედეგით და თურქეთშიც (სადაც მამაგეიშვილი არ გამოსულა) ნორმალურად იასპარეზა - მეხუთეზე გავიდა, რაც მთელ გუნდში საუკეთესო მაჩვენებელი იყო. ცუდია, თურმანიძე ასეთ საჭირო მომენტში რომ გახდა ავად. ამით ოფიციალურ შეჯიბრებებზე დებიუტიც სასექტემბეროდ გადაედო, როცა მსოფლიოს ჩემპიონატი უნდა გაიმართოს (ცხადია, თუ მოიპოვებს იქ წასვლის უფლებას).

თურმანიძე დარჩიას ბოლო დანაკლისია. დეკემბერში კი საქართველოს ჩემპიონატზე ტვინის შერყევა მიიღო და დღემდე ვერ გამომჯობინდა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, ევროპის პრიზიორი **მანუჩარ ცხადაია** (66); მძიმეწონასან ჩემპიონ **გურამ ფერსელიძეს** ექიმებმა გულის გამო დატვირთვები აუკრძალეს; მოგვიანებით ფეხი იტკინა ლაშხმა, მინსკში კი ასევე სამედიცინო გამოკვლევამ წითელი შუქი საქართველოს ჩემპიონ **ვლადიმერ გეგეშიძესაც** (84) აუნთო... აქ ყურადღება იმათზე შევაჩერეთ, რომლებიც ევროპის ჩემპიონატზე წასვლის უმთავრესი კანდიდატები იყვნენ და უშუალოდ ამ ჩემპიონატისთვის მზადების პროცესში დაშავდნენ, თორემ ლაზარეთში უკვე იყვნენ ფეხმტკივანი ჯაბიძე, კვირკველია, **რამაზ ნოზაძე** (96) და კიდევ რამდენიმე ანგარიშგასაანევი ფალავანი, რომლებიც მთლად პირველ ნომრებად თუ არ განიხილებოდნენ, კონკურენციის შესაქმნელად და ლიდერთა სასპარინგოდ მნიშვნელოვანი ფონის შექმნა შეეძლოთ.

ჯაბიძემ მაინც მოახერხა გამოჯანმრთელება და ნაკრებში კუთვნილი ადგილი დაიკავა. ლაშხმაც მოირჩინა ფეხი და რაკი საქართველოს ჩემპიონია, გუნდშიც დადგა. ფერსელიძე ჯავახიშვილმა შეცვალა, რომელსაც ეროვნულ გუნდში დებიუტი შარშან ჰქონდა, ევროპის ჩემპიონატზე (IX ადგილი). ერთი შეხედვით, ყველაზე უცნაური გადაწყვეტილება მწვრთნელმა 84-ში მიიღო, სადაც ქვეყნის მესამე პრიზიორი სოფაძე მიჰყავს და არა ვიცე-ჩემპიონი, ქუთაისელი **დავით ჩაკვეტაძე**. საქმე ისაა, რომ ჩაკვეტაძე ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად ემზადება, თუმცა ამ წონაში ქვეყნის პირველობის მედალოსნები სულ ახალგაზრდები გახდნენ. ამდენად, სოფაძე დარჩიას გუნდის ერთადერთი დებიუტანტია, ნაკრებში კი ბაღდათელთა მეორე ფალავანია ჯაბიძის შემდეგ. მისასალმებელია ამ, ერთი შეხედვით, არც ისე ძლიერი საჭიდაო ცენტრის ასეთი წარმატება, როცა 7 კაციდან 2 იქაურია. არადა, ჯაბიძის გამოჩენამდე ამჟამად ინდოეთის ნაკრების თავკაც **ემზარ მახარაძის** შემდეგ იქაურებს ეროვნულ გუნდში წარმომადგენელი არ ჰყოლიათ.

დარჩიამ ქვეყნის ვიცე-ჩემპიონებს გვერდი მხოლოდ 84-ში როდი აუარა - ასე მოიქცა მძიმესა და 66-შიც. ეტყობა, აქცენტს ახალგაზრდებზე აკეთებს და შანსს აძლევს მათ, თორემ ორივეგან ქვეყნის ვიცე-ჩემპიონები ძველი ლიდერები **ირაკლი ჭოჭუა** (66) და **რევაზ ჭელიძე** (120) გახდნენ.

გუნდში ცოტა მოულოდნელი იყო კვირკველიას გამოჩენა - მან საქართველოს პირველობაც გამოტოვა და მერე საფრანგეთშიც ნააგო საერთაშორისო ტურნირზე. თუმცა სერიოზულად მოეკიდა სამუშაოს და მწვრთნელთა მოწონება ჯერ კიდევ მინსკის შეკრებაზე დაიმსახურა. დორტმუნდში წარმატებით ჭიდაობის შემთხვევაში მას შანსი ეძლევა, ერთბაშად ჩამოირეცხოს პოსტპეკინური პერიოდის ყველა მარცხი.

ვფიქრობთ, გულშემატკივარს ნოზაძის ამბავიც აინტერესებს - ის ვარჯიშობს, ტრავმებიც მოირჩინა და ზაფხულში გასამართი გივი კარტოზიას სახელობის ტურნირისთვის ემზადება.

ბერძენ-რომაელები დუშეთში 30 მარტამდე დარჩებიან, 31-ში კი გერმანიაში გაფრინდებიან. 26-ში დუშეთშივე დაამთავრებენ შეკრებას თავისუფალი სტილით მოჭიდავეები. ისინი გერმანიაში 28-ში გაემგზავრებიან. გუშინ მოჭიდავეები სპორტის მინისტრმა **ვლადიმერ ვარძელაშვილმაც** მოინახულა მოადგილეებთან ერთად და ფალავნები მნიშვნელოვანი სტარტის წინ გაამხნევა.

ევროპის ჩემპიონატში ჯერ „თავისუფლები" ჩაებმებიან - 29-30 მარტს იჭიდავებენ. შემადგენლობა ასეთია: **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55), **მალხაზ ზარქუა** (60), **კობა კაკალაძე** (66), **დავით ხუციშვილი** (74), **დავით მარსაგიშვილი** (84), **ბელდუხ გავაშელიშვილი** (96), **დავით მოძმანაშვილი** (120). ბერძენ-რომაელთა შეჯიბრება 2-3 აპრილს გაიმართება.

ირაკლი თავაძე

● მშვილდოსნობა.

მშვილდოსნებმა ევროპის ფინალს დაუმიზნეს

ზედიზედ მეორედ - მოგება რუსებთან

ქართველ მშვილდოსან ქალთა ნაკრებმა **ხათუნა ნარიმანიძის, ქრისტინე ესებუასა** და **ასმათ დიასამიძის** შემადგენლობით კიდევ ერთხელ მოუგო რუსეთის გუნდს და ევროპის ზამთრის ჩემპიონატის ფინალში გავიდა. ჩვენებმა ჩრდილოელებთან მორიგ წარმატებას ამჯერად ესპანურ კამბრილსში, გუნდური პირველობის ნახევარფინალში მიაღწიეს, შარშან კი ამავე რანგის შეჯიბრებაზე პლეი ოფის პირველ წრეში დაამარცხეს.

კამბრილსში გუშინ გუნდური ტურნირი გაიმართა. როგორც ადრე გაცნობეთ, პლეი ოფში მეოთხე შედეგით შესული ჩვენები პირველ წრეში მეხუთეადგილსან პოლონელებს ხვდებოდნენ და შესუსტებული შემადგენლობით მოასპარეზე მეტოქეს დიდი უპირატესობით აჯობეს - 227:219. აი, სწორედ ამის შემდეგ გადაიკვეთა მათი და რუსების გზები, რომლებიც პირველ წრეში ისვენებდნენ. შეხვედრა ფრიად დაძაბული გამოდგა და ფრედ დასრულდა - 226:226. საბედნიეროდ, დამატებით სერიაში უფრო მტკიცე ნერვები ჩვენებს აღმოაჩნდათ, მათ უკეთ შეძლეს მობილიზება და ეს გადამწყვეტი ეტაპი მცირე უპირატესობით მოიგეს - 29,29:29,25. როგორც ვხედავთ, დამატებითი სროლებიც დაძაბულად მიდიოდა, ქულა-ქულაში.

ფინალური შეხვედრა დღეს გაიმართება, მეტოქედ კი უკრაინა გვეყოლება, რომელმაც ტურნირიდან მოლდოვა და იტალია გააგდო. უკრაინელები თითქმის ოპტიმალური შემადგენლობით გამოდიან (თუმცა **იულია ლობჟანიძე** ამჯერად არ ასპარეზობს), მაგრამ იტალიელთა გუნდთან მათი შედარება მაინც ძნელია - აპენინელებს ხომ თვით მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **ნატალია ვალეევა** წინამძღოლობს. ამის მიუხედავად, უკრაინელებმა სამხრეთელებს 225:223 მოუგეს. ვალეევა პირად პირველობის ფინალშია გასული, მაგრამ ის ყოვლისშემძლე რომ არაა, ბრინჯაოსთვის გამართულ შეხვედრაშიც დადასტურდა, რომელიც იტალიელებმა რუსებთან წააგეს. სხვათა შორის, აქაც გადასროლა დაინიშნა - ძირითადი სერია 231:231 დასრულდა, დამატებითში კი რუსებმა 30:28 იმარჯვეს.

ჩემპიონატი დღეს მთავრდება ფინალური შეხვედრებით. ქალთა ინდივიდუალურ პირველობაზე ოქროსთვის ვალეევა რუს **ტატიანა ბოროდაის** გაეჯიბრება, ბრინჯაო კი ჰოლანდიელმა **კობი ჰურკმანსმა** მოიპოვა. ნარიმანიძე მეექვსეა, ესებუა - მე-14, დიასამიძე კი - 22-ე.

დასასრულს შეგახსენებთ, რომ ჩვენები ერთხელ უკვე იყვნენ ევროპის ვიცე-ჩემპიონები, შარშან კი ბრინჯაო მოიპოვეს.

ირაკლი თავაძე

● ● ჩოგბურთი

დიასთან ვერას გახდა

ჩინეთის ქალაქ კუნმინში (25 ათასი დოლარი) მეოთხედფინალურ ეტაპზე დამარცხდა **ოქსანა კალაშნიკოვა** (196) ვისაც მე-3 ნომრად განთესილმა ყაზახმა **ზარინა დიასმა** (153) აჯობა - 7:6 (2), 4:6, 6:0. 20 წლის კალაშნიკოვამ 14 სარეიტინგო ქულა იკმარა. ფრანგულ გონესში გრძელდება 10-ათასიანი ტურნირი, რომლის მეოთხედფინალში **სოფიო შაფათავაა** (184) გასული. ქართველი მე-2 ნომრად არის განთესილი, ხოლო მისი მორიგი მეტოქე იტალიელი **ნასტასია ბურნეტია** (661), სწორედ ის, ვისთანაც ერთი კვირის წინათ დამარცხდა სოფიო.

მეორე ეტაპი აკმარეს

ანა ტატიშვილის (125) მაიამური ყოჩაღობა „სონი ერიქსონ ოუფენის" (4,5 მილიონი დოლარი) მეორე ეტაპზე დასრულდა. ჩვენებური, რომელმაც აქამდე საკვალიფიკაციო ბადიდან მოაღწია, 27-ე ნომრად განთესილ ესპანელ **მარია ხოსე მარტინეს სანჩესთან** (33) დამარცხდა - 1:6, 4:6. თამაში საათსა და 17 წუთს გაგრძელდა. პირველი მონოდების სიზუსტეს თუ არ ჩავთვლით, ესპანელმა ჩვენებური ყველა პარამეტრით დაჩაგრა. მოკლედ, ანაუშანსოდ იყო. ქართველმა 11,5 ათასი დოლარი და 80 სარეიტინგო ქულა დაიბევა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

● საჭადრაკო ეტიუდი

ეგლეების ენდშპილი

ი. კრიხელი, 1995



1.მფc6 ეb6+ 2.მფc5 ეb7
3.b6 axb6+ 4.მფc6 1:0.

● ● ● ჭადრაკი

ევროპის ჩემპიონს ექსჩემპიონს დაუზავდა

ფრანგულ ექს-ლე-ბენში მოჭადრაკე ვაჟთა ევროპის ჩემპიონატზე კვლავ შემართებით ითამაშა ქართველმა დიდოსტატმა **ლელა ჯავახიშვილმა** (2437), რომელიც თეთრი ფიგურებით კონტინენტის 2002 წლის ჩემპიონს, პოლონელ ბართლომეი მაჩეიას (2619, მან ეს ტიტული 2002 წელს ბათუმში დაიმსახურა) ეთამაშებოდა. მეტოქეები 24-ე სვლაზე დაზავდნენ. ამდენად, ჯავახიშვილმა ვაჟებთან პაექრობაში ოთხი შესაძლებლიდან 3 ქულას მოუყარა თავი, რაც ამგვარ ტურნირზე მართლაც კარგი შედეგია.

ქართველ მოჭადრაკეთა დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ალექსეი დრეევი (2697, რუსეთი)-**თორნიკე სანიკიძე** (2542) 0.5:0.5, **დავით ლობჟანიძე** (2488)-არმან პაშიკიანი (2642, სომხეთი) 0.5:0.5, **ლუკა პაიჭაძე** (2487)-ივან ლოპეს სალგადო (2630, ესპანეთი)0.5:0.5, **ლევან ფანცულაია** (2595)-იოვანკა ჰოუსკა (2419, ინგლისი) 1:0, ეკატერინი პავლიდუ (2204, საბერძნეთი)-**ბაადურ ჯობავა** (2707) 0:1, ეიონ ნაკარი (2256, ისრაელი)-**სალომე მელია** (2462)0.5:0.5, **დავით ზარქუა** (2397)-ნიკოლას ბაკონი (2177, საფრანგეთი) 1:0.

- დღევანდელ მეტოქეს იოლად ვძლიე, - მითხრა 2011 წლის საქართველოს ჩემპიონმა დავით ზარქუამ, რომელსაც გუშინ საფრანგეთში შევეხმიანე, - ისე, მე-2 ტურშიც უნდა ამეღო ქულა – ფინელ ტომი ნიბაკთან აშკარად უკეთესი პოზიცია მქონდა ორი კუს უპირატესობით, მაგრამ ერთ მომენტში უხეში შეცდომა დავუშვი და დავმარცხდი. ვეცდები, მომდევნო ტურებში დანაკარგი ავინაზღაურო. ძალიან ძლიერი ტურნირია, ნახევარი ქულისთვისაც კი ურთულესი ორთაბრძოლებია. ჯავახიშვილის გარდა, ქართველებს ისეთი სტარტი არ გამოგვივიდა, როგორიც გვინდოდა, მაგრამ ჯერ მთავარი პაექრობები წინ არის...

ვაჟა დანელია

ლიდერებს ნახევარი ქულით ჩამორჩება

ტაშკენტში დღეს დამთავრდება გიორგი აგზამოვის მე-5 საერთაშორისო მემორიალი, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის 106 მოჭადრაკე მონაწილეობს. გუშინ ლიდერთა ჯგუფში მყოფი ქართველი დიდოსტატი **მიხეილ მჭედლიშვილი** შავი ფიგურებით **მაქსიმ ტუროვს** (რუსეთი) შეუთანხმდა ყაიმზე, რითაც ისარგებლეს უმთავრესმა კონკურენტებმა — **ტიგრან პეტროსიანმა** (სომხეთი) და **ანტონ ფილიპოვმა** (უზბეკეთი), რომლებმაც, შესაბამისად, **ევგენი მიროშნიჩენკოს** და **იური კუზუბოვს** (ორივე-უკრაინა) სძლიეს და 6,5-6,5 ქულით დაწინაურდნენ. მჭედლიშვილს, ისევე როგორც **მარატ ჯუმაევს, ალექსეი ბარსოვს** (ორივე-უზბეკეთი), **მიხაელ როისს** (ისრაელი) და **რინატ ჯუმაბაიევს** (ყაზახეთი), 6 ქულა აქვს.

დღეს ბოლო ტურში ინტერესს ინვევს მენინავეთა პაექრობები: ფილიპოვი-პეტროსიანი, ბარსოვი-ტუროვი, მჭედლიშვილი-როისი, ჯუმაევი-ჯუმაბაიევი.

ვაჟა დანელია

FM 107,9

ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის" (FM 107,9) პირდაპირ ეთერში - ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ" დონ ედოსთან ერთად.

გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერი - გაზეთი „ლელო".

საქართველო და ევრობასკეტი

გავშიფროთ და ვითამაშოთ საქართველო-ბელგია 81:79

ევროპის ჩემპიონატის ნილისყრა 30 იანვარს გაიმართა. საქართველოს ნაკრები D ჯგუფში სლოვენიასთან, რუსეთთან, ბელგიასთან, ბულგარეთთან და უკრაინასთან მოხვდა. ზამთარში ნილისყრასთან დაკავშირებით არაერთი კომენტარი მოვისმინეთ; ზაფხულში ჩვენი ნაკრები საკონტროლო მატჩებს გამართავს; ხოლო 31 აგვისტოდან ევროპის პირველობაში ჩაებმება.

...და გაზაფხულმა უქმად რომ არ ჩაიაროს, გადავწყვიტეთ ჩვენი ჯგუფის მეტოქეები ერთმანეთთან ვირტუალურად ვათამაშოთ. არც კომპიუტერულ თამაშს ვგულისხმობ და არც „ფანტაზიას“ (Fantasy), საგაზეთო თამაშს გთავაზობთ: კვირაში ერთხელ ერთმანეთს ჩვენი ჯგუფის წარმომადგენლები შეეახვედროთ, მათი შესაძლებლობები, შემადგენლობები შევადაროთ, სხვადასხვა კომპონენტებში უპირატესობა ქულებით აღვრიცხოთ, ბოლოს მიღებული შედეგები ანგარიშის სახით დავწეროთ და გავიგებთ ვინ ვის აჯობებს. კალათბურთი არაპროგნოზირებადი სპორტია და შეიძლება ერთი მატჩი სუსტი შემადგენლობის გუნდმაც მოიგოს, მაგრამ ჩვენი „საგაზეთო თამაში“ ზოგად სურათს მაინც დაგვიხატავს და რაც მთავარია - მეტოქეთა უკეთ გაცნობაში დაგვეხმარება.

სხვათა შორის, ასეთი შედარება შარშანაც გავაკეთე და მოგება-ნაგებათა შეფარდების მიხედვით საქართველოს ნაკრები შესარჩევ ტურნირში მეორე ადგილზე აღმოჩნდა. სინამდვილეშიც ასე მოხდა: 2010 წლის შესარჩევზე ქართველები მართლაც მეორეები იყვნენ - რვიდან ხუთი მატჩი მოიგეს და მხოლოდ ბელგიას ჩამორჩნენ.

ახლა „საგაზეთო თამაშისთვის“ თარიღები შევარჩიოთ. საკალათბურთო ჩემპიონატები ძირითადად უქმეებზე იმართება. ჩვენი გაზეთი კვირას არ გამოდის, ამიტომ დავგრჩა შაბათი: დღეიდან ყოველ შაბათს საქართველოს ნაკრები თითო მატჩს გამართავს. დღეს ბელგიას დაუპირისპირდება, 2 აპრილს - რუსეთს, 9 აპრილს - სლოვენიას, 16 აპრილს - უკრაინას, 23 აპრილს - ბულგარეთს.

პირველ რიგში უნდა გავარკვიოთ, რაზეა დამოკიდებული ნებისმიერი მატჩის შედეგი. რადგან შეხვედრები ლიტვაში იმართება, გულშემატკივრის ფაქტორი უნდა გამოვრიცხოთ. ასევე გავლენას ვერ მოახდენს კალენდარი, რადგან ყველა თანაბარ პირობებშია და შარშანდელი შესარჩევისგან განსხვავებით, ერთი დასვენებული, ხოლო მეორე დაღლილი არ იქნება. სწორედ საქართველოს ნაკრებთან დაპირისპირების წინ მოუწია ბელგიას ორმა დასვენებამ და, ჩემი აზრით, ჩვენი ნაკრების ორივე შემთხვევაში დამარცხების მთავარი მიზეზი დაღლილობა იყო.

აი, რა განაპირობებს შედეგს: შიდა ჩემპიონატი, ევროთასებზე თამაშის გამოცდილება, ნაკრების უკანა ხაზი, ფორვარდები, წინა ხაზი და მწვრთნელი. ეს შვიდი კომპონენტი მეოთხედებად დავყოთ. თითო ათწუთეული 40-ბალიანი სისტემით შევაჯამოთ...

I პერიოდი

ჩემპიონატი და ევროთასები

2010 წლის 5 აგვისტოს **ზაზა ფაჩულიას** წინააღმდეგ შესანიშნავად ითამაშა **კრისტოფ ბეგინმა**, ხოლო **ტაბუ-ებომამ** სამქულიანებით გაგვტეხა. ორივე კალათბურთელი მაშინ ბელგიის ჩემპიონატის წარმომადგენელი იყო. თუნდაც ეს ფაქტი გვიჩვენებს, რა მნიშვნელობა აქვს ძლიერ შიდა ჩემპიონატს. არ გაგიკვირდეთ, მაგრამ სადღეისოდ ბელგიის ჩემპიონატში 52(!) ამერიკელი კალათბურთელი თამაშობს. ამას დავუმატოთ ევროპელები (მათ შორისაა **თორნიკე შენგელია**) და აფრიკელები და იოლი მისახვედრია, რა დონის გუნდები ასპარეზობენ ბელგიურ პირველობაზე. თითო კლუბიდან ერთი კარგი ბელგიელიც რომ გამოჩნდეს, მათი ნაკრებისთვის ესეც საკმარისია.

საქართველოს ჩემპიონატში კი შვიდ ლეგიონერია, რომლებიც ზოგიერთ ქართველს ნამდვილად არ აღემატება. ასე რომ, საქართველო-ბელგიის მატჩის საწყის ხუთ წუთში (ჩემპიონატების შედარება) ბელგიელთა უპირატესობა აშკარაა 5:15.

საწყისი მეოთხედის მეორე ხუთწუთეულში კლუბების ევროტურნირებზე გამოსვლა უნდა შევადაროთ. უფრო სწორად, ბელგიელთა ევრომონაგარზე ვთქვათ, თორემ საქართველოდან ამ სეზონში ევროპაში არც ერთი კლუბი არ გამოჩენილა. ბელგიის უმაღლესი ლიგის ცხრა გუნდიდან ევროპაში ექვსმა ითამაშა: ხუთმა - ევჩოჩელენჯზე, ხოლო „შარლერუამ“ - ევროლიგაზე. იოლი წარმოსადგენია, რა გამოცდილებას მიიღებდა რიგითი ბელგიელი ევროლიგის მატჩებისას.

ამ ხუთწუთეულში (ევროთასები) ბელგიის ნაკრებმა უშანსოდ დაგვტოვა - 20:0.

ასე რომ, ქართველებმა I პერიოდი 5:35 დათმეს. საინტერესოა, თუ გვყავს ბელგიელებზე ერთიორად უკეთესი კალათბურთელები, რათა მომდევნო სამ მეოთხედში 30-ქულიანი ჰანდიკაპი აღმოვფხვრათ.

როგორც ხედავთ, ამ სეზონში ბელგიის ნაკრების არც ერთ უკანახაზელს 10-ზე მეტი ქულა არ აქვს. თუმცა, ზაფხულის მატჩებისასაც დავრწმუნდით, რომ პერიმეტრიდან ყველა კარგად ისვრის.

ახლა საქართველოს ნაკრების უკანახაზელებს გავეცნოთ.

გიორგი ცინცაძე („როკი“, ბალტიის ლიგა): 23 მატჩი, 21.1 წუთი, 9.5 ქულა, 2.9 პასი.

ტორინ გრინი („გარნ კანარია“, ესპანეთი): 26 მატჩი, 23.6 წუთი, 9.2 ქულა, 3.7 პასი.

მანუჩარ მარკოიშვილი („კანტუ“, იტალია): 15 მატჩი, 19.8 წუთი, 10.4 ქულა, 1.2 პასი.

ლაშა გამყრელიძე („გისენი“, გერმანია): 21 მატჩი, 23.6 წუთი, 6.0 ქულა, 4.1 პასი.

კოტე ტულუში („არმია“, საქართველო): 16 მატჩი, 32.6 წუთი, 15.7 ქულა, 5.7 პასი, 9.0 მოსნა.

ანატოლი ბოისა („არმია“, საქართველო): 16 მატჩი, 27.7 წუთი, 11.3 ქულა, 2.6 პასი, 5.8 მოხსნა.

მანუჩარ მარკოიშვილი და ტაბუ-ებომა „კანტუში“ ერთად თამაშობენ. მანუ თუ მწყობრშია, გუნდის უპირობო ლიდერია. ტაბუ კი რიგითი მოთამაშეა. იტალიაშივე თამაშობს **დიმიტრი ლაუერსი**, რომელიც ძირითადად სამქულიანებით გამოირჩევა და ვერ ვიტყვით, რომ მასზე ნაკლებად სარგებლიანი **გიორგი ცინცაძეა** (როცა სათანადო ფორმაშია). ესპანეთის ჩემპიონატში ბელგიელებს **ვან როსომი** ჰყავთ, ხოლო ქართველებს - **ტორინ გრინი**, რომლის გუნდიც უკეთეს პოზიციაშია (მერვეზე) და სტატისტიკით თავად გრინიც სჯობს ვან როსომს.

შეიძლება ვინმე არ დამეთანხმოს, მაგრამ, ჩემი აზრით, უკანა ხაზში ბელგიელებთან შედარებით მცირე უპირატესობა გვაქვს. შესაბამისად, მეორე პერიოდში „ბელგიელ ლომებს“ 16 ბალი მივანიჭოთ, „ჯვაროსნებს“ - 24.

შევაჯამოთ ორი მეოთხედის ანგარიში (5:35, 24:16) და პირველი ტაიმის შედეგს მივიღებთ: 29:51 - ბელგიის სასარგებლოდ.

III პერიოდი

ფორვარდები

ისევ ბელგიელი თავდამსხმელებით დავიწყოთ.

მარკუს ფეისონი („ოოსტენდე“, ბელგია): 20 მატჩი, 23.8 წუთი, 8.0 ქულა, 1.7 პასი, 3.4 მოხსნა.

აქსელ ერველე („ბისკაია“, ესპანეთი): 22 მატჩი, 19.3 წუთი, 5.4 ქულა, 4.2 მოხსნა, 1.5 პასი.

რენდი ოვენეკე („ანტვერპენი“, ბელგია): 7 მატჩი, 19.4 წუთი, 7 ქულა, 2.4 მოხსნა, 0.6 პასი.

ჯეფ ვან დერ იონკჰეიდი („ანტვერპენი“, ბელგია): 11 მატჩი, 13.5 წუთი, 3.5 ქულა, 1.6 მოხსნა, 0.4 პასი.

კრისტოფ ონგენაეტი („მონტეგრანარო“, იტალია): 7 მატჩი, 3.9 წუთი, 1.3 ქულა, 1.0 მოხსნა, 0.1 პასი.

მოკლედ, როგორც შარშან, ევროპის ჩემპიონატზეც ბელგიელები მესამე ნომრის პოზიციაზე **მარკუს ფეისონის** იმედად იქნებიან, მეოთხე ნომრად - **აქსელ ერველესი**... მათ ღირსეული შემცვლელები არ ჰყავთ, თუმცა, შარშან მწვრთნელი ფეისონს უკანახაზელით ცვლიდა და სამი ტანდაბალი ბელგიელი ბუზებივით ირეოდა პერიმეტრზე...

საქართველოს ნაკრებს კი მესამე-მეოთხე ნომრების პოზიციებზე საქმე ასარჩევად აქვს:

ვლადიმერ ბოისა („ოლიმპია“, სლოვენია): ტრავმის შემდეგ ფორმას იბრუნებს.

ვიქტორ სანიკიძე („ვირტუსი“, იტალია): 18 მატჩი, 20.2 წუთი, 8.2 ქულა, 6.6 მოხსნა, 0.5 პასი.

ნიკა ცქიტიშვილი („ლაგუნ არო“, ესპანეთი): 23 მატჩი, 14.3 წუთი, 5.3 ქულა, 2.7 მოხსნა, 0.3 პასი.

თორნიკე შენგელია („პეპინსტერი“, ბელგია): 21 მატჩი, 16.1 წუთი, 6.1 ქულა, 4.1 მოხსნა, 0.4 პასი).

ახალგაზრდა თორნიკე ნლეულს ძლიერ ჩემპიონატში ირჯება და ევრობასკეტზე გაცილებით თამამად ითამაშებს. ვლადიმერ ბოისა, ნიკა ცქიტიშვილი და ვიქტორ სანიკიძე არათუ ბელგიელ, არამედ ევროპის არაერთი ნამყვანი ნაკრების ფორვარდებს სჯობიან.

40-ქულიანი შკალიდან ქართველ ფორვარდებს 27 ბალი მივაკუთვნოთ, ბელგიელებს კი ერველეს და ფეისონის "ხათრით" - 13. "საგაზეთო თამაშში" მესამე პერიოდიც ქართველთა სასარგებლოდ დასრულდა: 27:13. გადამწყვეტი მეოთხედის წინ ჩვენმა ნაკრებმა სხვაობა 8 ქულამდე შეამცირა - 56:64.

IV პერიოდი

ცენტრები და მწვრთნელები

პირდაპირ ვიტყვით, საქართველოს ნაკრებს ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო წინა ხაზი ჰყავს: **ზაზა ფაჩულია** NBA-ში საშუალო დონის ცენტრია, ნორმალურ სეზონს ატარებს, ხოლო ნაკრებში ყოველთვის გაორმაგებული ენერგიით თამაშობს. აკი ათქმევინა შარშან პოლონელ **მარცინ გორტატს** - ზაზამ გამანადგურაო. **გიორგი შერმადინმა** წლეულს არც მეტი, არც ნაკლები, ევროლიგის ჩემპიონი "ბარსელონას" ცენტრები "ოლიმპიას" ფარქვეშ არ "გააჭაჭანა". აქამდე **იგორ კოკოშკოვს** არ უცდია, მაგრამ იმედია ევროპის ჩემპიონატზე, ეპიზოდებში მაინც ათამაშებს შერმადინსა და ფაჩულიას ერთდროულად. ოღონდ, ეს, ალბათ, სწრაფ ბელგიასთან არ მოხდება.

ზაზა ფაჩულია („ატლანტა“, NBA): 69 მატჩი, 14.4 წუთი, 4.2 ქულა, 4.0 მოხსნა, 0.7 პასი.

გიორგი შერმადინი („ოლიმპია“, ევროლიგა): 16 მატჩი, 15.1 წუთი, 7.4 ქულა, 3.4 მოხსნა, 0.3 პასი, 1.1 დაფარება.

შარშანდელი მატჩებისას ბელგიის ნაკრები ფარქვეშ კრისტოფ ბეგინის (207 სმ) იმედად იყო. მან მწვრთნელის მოლოდინი გაამართლა, ქართველ წინახაზელებს ფარქვეშ თევზივით უსხლტოდა და სამქულიანებსაც არ ერიდებოდა. ბეგინს ჩვენი წინახაზელები უკვე კარგად იცნობენ, ეცოდინებათ რა დაუპირისპირონ და თუ კრისტოფი შებოჭეს, ბელგიელები 215 სმ სიმაღლის **დრიესენის** იმედად დარჩებიან, რომელიც ესპანურ "ესტუდიანტესში" კი ირიცხება, მაგრამ არ თამაშობს. შარშანაც დაგვარწმუნა, რომ წამყვან ევროპულ კლუბებში მხოლოდ სიმაღლის ნყალობით მოგზაურობს.

ბელგიური გაზეთები ბოლო დროს "ნიუ ორლეანის" ცენტრის **დიდიე მბენგას** ნაკრებში დაბრუნებაზე ალაპარაკდნენ. ამის სურვილს თავად კონგოელი ცენტრიც გამოთქვამს, რომელმაც ბელგიის მოქალაქეობა 2004 წელს მიიღო და სურს ნაკრებში არა ნატურალიზებულის, არამედ ბელგიელის სტატუსით მოხვდეს (ნატურალიზებული ფეისონია). მბენგას საკითხს ფიბა-ევროპა მაისში განიხილავს.

გამოგიტყდებით, ძალიან მინდა ბელგიის ნაკრებში მბენგამ ითამაშოს, რადგან მისი მოედანზე გამოჩენით "ლომებს" ხუთეულიდან ერთი კარგი მსროლელი მოაკლდებათ - მბენგა დაცვაზე ორიენტირებული ცენტრია და სროლის სიზუსტით დიდად არ გამოირჩევა. თავად ფაჩულიასაც სურს მბენგას წინააღმდეგ თამაში და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, აჯობებს კიდეც...

დიდიე მბენგა ("ნიუ ორლეანი", NBA): 38 მატჩი, 7.7 წუთი, 1.4 ქულა, 2.1 მოხსნა.

კრისტოფ ბეგინი ("შარლერუა", ბელგია): 15 მატჩი, 23.1 წუთი, 10.3 ქულა, 4.8 მოხსნა, 1.1 პასი.

ბევრს არ გავაგრძელებთ, ფაჩულიასა და შერმადინის სასარგებლოდ 16:4 მეოთხე პერიოდის საწყის ხუთწუთეულში.

ამბობენ, ბოლო წუთებს მწვრთნელები იგებენო. ჰოდა, ბელგია-საქართველოს ვირტუალური მატჩის ბოლო ხუთი წუთიც მწვრთნელების შედარებას დავუთმოთ. მეტოქეს **ედი კასტელსი** წვრთნის, ჭკვიანი, ეშმაკი მწვრთნელი, რომელმაც 2010 წლის 5 აგვისტოს მატჩის წინ თქვა: საქართველოს ნაკრები ჩვენთან შედარებით დიდი მთაა, მაგრამ ჩემი ბიჭები მთებთან შესაჭიდებლად მზად არიანო. მართალიც აღმოჩნდა - მას საქართველოს ნაკრები შესანიშნავად ჰყავდა შესწავლილი და ორივე მატჩი გონივრული თამაშით მოუგო.

არც საქართველოს ნაკრების მწვრთნელია ურიგო სპეციალისტი. იგორ კოკოშკოვის ხელმძღვანელობით ხომ ქართველებმა შესარჩევ ტურნირში ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავეს, უკან მოიტოვეს პოლონეთი, ბულგარეთი, პორტუგალია...

მწვრთნელთა დაპირისპირებაში შარშანდელი გამოცდილების გათვალისწინებით მცირე უპირატესობას მაინც ედი კასტელსს მივანიჭებთ - 11:9. ცენტრებისა და მწვრთნელების შეფასების შემდეგ მეოთხე პერიოდის ანგარიში მივიღეთ: 25:15, ქართველთა სასარგებლოდ.

პერიოდების ანგარიშები ასეთია: 5:35, 24:16, 27:13, 25:15. ასე და ამგვარად: საქართველო-ბელგია 81:79.

მომდევნო შაბათს, 2 აპრილს რუსეთს დავუპირისპირდებით.

ვაჟა სიმონიშვილი

ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეკითხვა „ლელოს“

შეკითხვა: ძალიან მაინტერესებს, ალბათ ბევრ სხვასაც, ფიფას თასის ისტორია, რომელიც ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატში თამაშდება. ეჭვიც არ მეპარება, რომ მიპასუხებთ.

გიგა ნასყიდაშვილი, *12 წლის, გორი*

პასუხი: ფიფას მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის უმაღლესი ჯილდოა ფიფას ოქროს თასი. პირველი მსოფლიო თასი შექმნა ფრანგმა იუველირმა **აბელ ლეფლერმა**. ოქროს თასი გამოხატავდა გამარჯვების ქალღმერთ **ნიკეს**, თასის სიმაღლე 30 სმ, წონა კი 1 კგ და 800 გრ იყო. ეს თასი ორჯერ მოიპარეს, პირველად ლონდონიდან 1966 წელს და ერთ კვირაშივე იპოვეს. ბრაზილია 1970 წელს მესამედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი და წესების თანახმად, თასი გადაეცა სამუდამოდ. 1983 წელს თასი მეორედ მოიპარეს, მაგრამ პოვნა ვეღარ შეძლეს. მისი ბედი დღესაც უცნობია. 1974 წლიდან მსოფლიოს ჩემპიონატებზე თამაშდება ახალი თასი, რომელიც იტალიელმა იუველირმა **სილვიო გაზანიგომ** შექნა. ეს თასი სუფთა ოქროსგანაა დამზადებული, მისი წონაა 4 კგ და 970 გრ, სიმაღლე კი 36 სმ-ია.

ძველი და ახალი თასები

იყო ასეთი შემთხვევა...

საკმაოდ კურიოზული მომენტი მოხდა 11 მარტის საღამოს პრემიერლიგის გამოტოვებულ შეხვედრაში, სადაც „ევერტონმა“ ლივერპულში „ბირმინგემს“ 1:1 ეთამაშა. კერძოდ, მატჩის მსვლელობისას, როდესაც ბირმინგემელთა მოთამაშე **ჯორდან მატჩმა ლუი საას** წინააღმდეგ იუხეშა, მსაჯმა **პიტერ უოლტონმა** გადაწყვიტა იგი ყვითელი ბარათით დაესაჯა, მაგრამ... იქექა მსაჯმა, იქექა და აღმოჩნდა, რომ მას ყვითელ-წითელი ბარათების წამოღება დავიწყებია. შემდეგ კი ფეხბურთელს წარმოსახვითი ყვითელი აუფრიალა...

მოამზადა
გიორგი ფულარიანმა

ვინ რა თქვა...

ბოლო წლებში ევროპულმა ფეხბურთმა დაკარგა უწინდელი უძლეველობა. თანამედროვე ფეხბურთში არაჯანსაღი ტენდენციები ინერგება. მნვრთნელები გაცილებით მეტ ყურადღებას უთმობენ დაცვითი სტილის ჩამშლელებს, ვიდრე შემოქმედ ფეხბურთელებს, რის გამოც ფეხბურთის საერთო დონე დღითი დღე ეცემა.

...სადღა არიან ახლა დიდი ათი ნომრები, აი, ჩვენს დროს...“

მიშელ პლატინი



ATHENS 2004

2004 წელი. ათენი (საბერძნეთი) XXVIII ოლიმპიური თამაშების აფიშა და მედალი

საინტერესო ამბები

ბრიტანელმა მოგზაურმა **ჯეიმს კუკმა** 1764 წელს ახალ ზელანდიას მიაღწია. მან აღწერა მაორის ტომში გავრცელებული შეჯიბრებები რბენაში, ხტომაში, ჭიდაობაში, მუშტი-კრივში, ბურთაობაში, ცურვასა და კანოებით რბოლაში.

■ ■ ■

1791 წელს ლონდონში გამოვიდა სპორტული ჟურნალი „The sporting Magazine“, რითაც საფუძველი ჩაეყარა სპორტულ ჟურნალისტიკას.

■ ■ ■

ცნობილმა ინგლისელმა პოეტმა, ლორდმა **ჯორჯ ბაირონმა** 1809 წელს გადაცურა მდინარე ტაჟუ ლისაბონთან.

■ ■ ■

1824 წელს უინჩესტერში (ბრიტანეთი) **თომას უინტერსა** („ტომი სპრინგი“) და ირლანდიის ჩემპიონ **ლენგენს** შორის მოეწყო შეხვედრაიპოდრომზე სპეციალურად მოწყობილ რინგზე. გაკეთდა ტრიბუნებიც. მიუხედავად იმისა, რომ ტრიბუნები ჩაინგრა, რასაც მსხვერპლი მოჰყვა, ორთაბრძოლა არ შეწყვეტილა. 77 რაუნდის შემდეგ უინტერმა გაიმარჯვა.

თარიღი. 26 მარტი - 1 აპრილი

26. 03. 1941 წ. დაიბადა **ლუის კუბილა**-ფეხბურთი (ურუგვაი)

26. 03. 1988 წ. ბუდაპეშტში **კატარინა ვიტი** (გდრ) კიდევ ერთხელ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი ფიგურულ ციგურაობაში და სპორტულ კარიერას გამოეთხოვა.

26. 03. 1992 წ. ინდიანოპოლისში მსოფლიოს ექსჩემპიონს კრივში **მაიკ ტაისონს** 6 წლით პატიმრობა მიუსაჯეს გაუპატიურების ბრალდებით.

27. 03. 1959 წ. დაიბადა **სერგეი გოცმანოვი**-ფეხბურთი (ბელარუსი)

28. 03. 1989 წ. ნჰლ-ში გადასვლის უფლება პირველად მისცეს საბჭოთა ჰოკეისტს — „კრილია სოვეტოვის“ კაპიტანმა, 25 წლის **სერგეი პრიახინმა** კონტრაქტი გააფორმა „კალგარი ფლემზთან“ და 31 მარტს პირველი მატჩიც ითამაშა.

29. 03. 1952 წ. დაიბადა **რაინერ ბონჰოფი**-ფეხბურთი (გერმანია)

30. 03. 1933 წ. დაიბადა **ჰარალდ გრეგი**-ფეხბურთი (ჩრდ. ირლანდია)

31. 03. 1939 წ. დაიბადა **კარლ ჰაინც შნელინგერი**-ფეხბურთი (გერმანია)

01. 04. 1903 წ. შეიქმნა საფეხბურთო კლუბი „ატლეტიკო“ (მადრიდი)

ვიქტორინა. თქვენთვის, ერუდიტებო

1. რომელ წელს დაკანონდა ფეხბურთში კუთხურის ჩაწოდება?

ა – 1868 წელს
ბ – 1872 წელს
გ – 1894 წელს

2. ვინ გაიტანა „მარაკანაზე“ პირველი გოლი?

ა – პელემ
ბ – გარინჩამ
გ – დიდიმ

3. ვინ იყო ფეხბურთში 1970 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ბომბარდირი?

ა – მიულერი
ბ – ეუსებიო
გ – ლიატო

4. ერთ მსოფლიო ჩემპიონატში შვიდმა ფეხბურთელმა შეასრულა ჰეთთრიკი. რომელ წელს?

ა – 1934 წელს
ბ – 1954 წელს
გ – 1982 წელს

5. ჯერჯერობით ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატში ბომბარდირის რეკორდი 13 გოლია. ვინ და რომელ წელს მიაღწია ამ შედეგს?

ა – ლეონიდასმა 1938 წელს
ბ – მენდეზმა 1959 წელს
გ – ფონტენმა 1958 წელს

პასუხები: 1-ბ, 2-ბ, 3-ა, 4-ბ, 5-ბ

ლევონისავარ ანთაძის კუთხე

ფეხბურთი ახლო ხედით

სახიფათო თავდასხმა

თუ ფეხბურთელმა მეტოქეს უბიძგა, — ეს თამაშის წესებით აკრძალულია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იგი წინასწარგანზრახვითაა ჩადენილი. მსაჯი ამ შემთხვევაში მატჩს შეაჩერებს, ფეხბურთელს შესაბამისად დასჯის და დანიშნავს შესაბამის დარტყმას მისი გუნდის წინააღმდეგ.

დანაშაულად ითვლება ქმედება, თუკი ფეხბურთელი ბურთისათვის ბრძოლის დროს მეტოქეს განზრახ მოარტყამს ფეხებში.

მოცელვა ნიშნავს მეტოქის წაქცევას ან ცდას ფეხის ან მუხლის ზედდებით, ზოგჯერ კი მთელი ტანის ზემოქმედებით, რაც თამაშის აკრძალული ხერხია.

ფეხის ძირით დაფარება გულისხმობს ბურთის დარტყმის დროს მოწინააღმდეგის მიერ ფეხის ტერფის დახვედრებას.

თუკი მცველი თავის საჯარიმო მოედანზე თამაშგარე მდგომარეობაში მყოფ მოწინააღმდეგეს განზრახ წააქცევს, მსაჯი მაინც დასჯის მას და დანიშნავს 11-მეტრიან დარტყმას, რადგან მოთამაშის წაქცევა უფრო უხეში დანაშაულია, ვიდრე თამაშგარე მდგომარეობაში ყოფნა.

დანაშაულად ითვლება მოთამაშისათვის განზრახ ფეხის დადება. მოთამაშეს შეუძლია მეტოქეს უკნიდან აართვას ბურთი, მაგრამ არ უნდა შეეხოს მოწინააღმდეგის ფეხს. აკრძალულ ხერხად არ ჩაითვლება ფეხებში ჩავარდნით ბურთის ართმევა, თუკი მოთამაშე მიზნად ისახავს უშუალოდ ბურთზე თამაშს.

კროსვორდი



შვეულად: 2. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი, 3. ვ. სანეევის მეტოქე ბრაზილიელი სამმხტომელი, 4. საფრანგეთის სარაგბო კლუბი, 5. ზამთრის 1992 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი, 6. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია (შემოკლებით), 7. ცნობილი ამერიკელი ვეტერანი სიგრძეზე მხტომელი, კარლ ... 8. ზაფხულის ბოლო ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი, 10. ქართველი მოფარიკავე, ოლიმპიური ჩემპიონი, 14. ციმბირელი გოლიათი ფალავანი, 15. ლეგენდარული ჩოგბურთელი, გაბრიელა... 16. სენაკის ისტორიული სახელნოდების ყოფილი საფეხბურთო გუნდი, 19. ცნობილი საფეხბურთო მნვრთნელი... კაპელო, 20. ჩოგბურთის სარბიელი, 22. არიგო ... 23. გამოჩენილი იტალიელი ფეხბურთელი, ფრანჩესკო... 25. თანაბარი შედეგი.

თარაზულად: 1. ზამთრის ოლიმპიური თამაშების (1972 წ) მასპინძელი ქალაქი, 6. ქართული სპორტული ფილმი ი. ხვიჩიას მონაწილეობით, 9-10. გერმანიის საფეხბურთო კლუბები, 11. ზაფხულის II ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი, 12. ავტორიტეტული საჭადრაკო ჯილდო, 13. მაღალი რანგის საჩოგბურთო ტურნირის თასი, 17. მყვინთავის აპარატი, 18. ფეხბურთში ინგლისის მსოფლიოს ჩემპიონატის თილისმა, 20. ცნობილი გერმანელი ფეხბურთელი-მეკარე, 21. ფულისა და ნივთების გათამაშება, 22. კალათბურთელ ცქიტიშვილის მეტსახელი, 24. თბილისის „დინამოს“ ვეტერანი ფეხბურთელი, მეტსახელად სიომა... 26. ნორვეგიის საფეხბურთო კლუბი, 27. ლატვიის საფეხბურთო კლუბი.

პასუხები მომდევნო ნომერში

შეადგინა თენგიზ თომაშვილმა

თავსატეხი „ანთა“

„ანთა“ ინტელექტუალურ-გასართობი თავსატეხია საფეხბურთო ცხრილის შესახებ, თუმცა მის ამოსახსნელად სპორტის ამ სახეობის განსაკუთრებული ცოდნა საჭირო არ არის. თავსატეხის არსი კი შემდგომში მდგომარეობს: ჩვენ შემოგთავაზებთ პირობით ქვეჯგუფს ოთხი გუნდის შემადგენლობით, თუმცა, ყველა გრაფა, გარდა ბურთების ბალანსის, ქულისა და დაკავებული ადგილისა, იქნება ცარიელი. თქვენ უნდა დააკვირდეთ თითოეულ მონაცემს და ლოგიკურად შეავსოთ ცარიელი ისე, რომ არ დაირღვეს არსებული მონაცემები. დაადგინეთ ურთიერთშეხვედრების ანგარიშები და ასევე ის, რამდენი მოგება, ფრე და წაგება აქვთ პირობითად A, B, C და D გუნდებს.

შენიშვნა: თ-თამაში; მ-მოგება, ფ-ფრე; წ-წაგება; ბ-ბურთების ბალანსი; ქ-ქულა; ა-ადგილი.

ანთა					თ	მ	ფ	წ	ბ	ქ	ა
A									4-3	6	I
B									3-1	4	II
C									2-2	4	III
D									1-4	2ь	IV

წინა ამოცანის პასუხი

ანთა					თ	მ	ფ	წ	ბ	ქ	ა
A		2:1	2:1	1:1	3	2	1	0	5-3	7	I
B	1:1		1:0	0:0	3	1	1	1	2-2	4	II
C	1:2	0:1		6:0	3	1	0	2	7-3	3	III
D	1:1	0:0	0:6		3	0	1	2	1-7	2	IV

გვერდი მოამზადეგულია **თენგიზ თომაშვილის პროექტით**

ქართული სპორტი

თავგადასავალი

დამსახურებული მწვრთნელი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში დათო დავითაია

საქართველოს ნაკრებში მოღვაწეობისას **დათო დავითაიას** ხელმძღვანელობით არაერთმა ქართველმა ფალავანმა დაიპყრო კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური. მათ შორისაა მოსკოვის ოლიმპიური თამაშების გამარჯვებული, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი **ვახტანგ ბლაგიძე,** ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი **თეიმურაზ აფხაზავა.** მსოფლიოს ჩემპიონები **მიხეილ სალაძე, თემურ ყაზრიშვილი, გურამ გედეხაური** და უამრავი სხვა, რომელთა ჩამოთვლა ძალიან შორს ნაგვიყვანს.

დათო დავითაია დღეს მომავალ ფალავნებს ავარჯიშებს, — ასე ვთქვათ, „ჯოჯოხეთურ პირობებში". დღეს იგი „ლელოს" სტუმარია.

რა შუაშია სიმაღლე?

მისაღებში მხოლოდ მდივანი ქალი იჯდა სანერ მაგიდასთან. შესვლისთანავე სალამზე სალმით მიპასუხა და უხმოდ მანიშნა — შედი, უფროსი გელოდებაო.

მორიდებით შევაღე კაბინეტის კარი.

მაგიდის თავში მჯდომ, მამაკაცმა, რომელიც რაღაც ნაწერებს ჩაჰკირკიტებდა, მბრძანებლური კილოთი მომმართა:

— ახლა თქვენთვის არ მცალია...

— მე ხომ თქვ...

— ახლა არ მცალია! — გადაწყვეტილად ამოიღაპარაკა დამხვდურმა.

გულგატეხილი გამოვლასლასდი კაბინეტიდან.

მდივანს გაეღიმა და თავად შევიდა სპორტკომიტეტის თავმჯდომარესთან.

— ხომ გითხარით, გელოდებათ-თქო — ამიხსნა ქალბატონმა, როცა კაბინეტიდან გამოვიდა.

ისევ შევიხედე კაბინეტში მოკრძალებით.

— ერთხელ გითხარით, არ მცალია! — გამიბრაზდა ფილიპე მახარაძე.

„დედა, რა დღეში ვარ! — გავიფიქრე და შემეცოდა ჩემი თავი. რა ვქნა ახლა?! რა წყალში ჩავვარდე!

— მოიცა, — შეარბილა ტონი ბატონმა ფილიპემ, — არ ნახვიდე, იქ ნაკრების უფროსი მწვრთნელი დათო დავითაია მელოდება, სთხოვეთ, შემოვიდეს.

გავშრი... ნერწყვი ძლივს გადავყლაპე — დავითაია მელოდებაო — ჩემზე თქვა, აბა, მე ვინ ვარ?

— ნუ გამიბრაზდებით და... დათო დავითაია მე გახლავართ.

თავმჯდომარე ელვის სისწრაფით წამოხტა სკამიდან, სათვალის ზემოდან (ასე იციან უფროსებმა) გადმოხედა შემოსულს და ყურმილს დასწვდა:

— სთხოვეთ ვახტანგს, თუ შეიძლება.

გვერდითი ოთახის კარი გაიღო და ლეგენდარული ვახტანგ ბალავაძე შემოიმართა მთელი ბრწყინვალებით, იგი მაშინ სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობდა.

— ვახტანგ — მძიმედ დაინყო ბატონმა ფილიპემ. — ესაა თქვენი კანდიდატურა?

— დიახ, ბატონო.

თავმჯდომარემ შემფასებლურად ამათვალ-ჩამათვალიერა.

— ეს... ესაა სულ?

— დიახ, ბატონო ფილიპე.

— მოიცა, კაცო (ეტყობა, რაღაც დამიწუნა) — კი მაგრამ, იმ ლომებთან ამას გზავნით სამუშაოდ? — სხვა, უკეთესი ვერავინ შეარჩიეთ?

აშკარად მივხვდი, თვალში ვეპატარავე. მივხვდი, რომ ჩემი ხმის ამოღების ჯერი დადგა.

— ბატონო, ასე გეპატარავებით?

პასუხი არაა... უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. მე უკვე „დავიქოქე".

— ასე გეპატარავებით თვალში, ბატონო? ნაპოლეონი ჩემ...

— რა შუაშია ნაპოლეონი, აქ? ვინაა ნაპოლეონი?

— ბონაპარტე ბატონო, ნაპოლეონ ბონაპარტე, მსოფლიოს რომ აზანზარებდა.

— მერე?

— მე, ბატონო, ნაპოლეონ ბონაპარტეზე მთელი... მთელი... ორი სანტიმეტრით მაღალი ვარ!

ფილიპესა და ვახტანგს სიცილი წასკდათ.

— კარგი, კარგი — დამილოცა გზა — აბა შენ იცი, არ შეგვარცხვინო.

მოვინათლე!!!

დილის საარი...

ყოველმხრივ გამორჩეულს, სწავლის ნიჭიც არაჩვეულებრივი დამყვა. დედამ — არიქა ჩემი „ნიე" ინჟინერი უნდა გამოვიდესო და ფოთის ჰიდრომელიორაციულ ტექნიკუმში არ წამიყვანა?!

სასწავლებლის წარჩინებული მოსწავლე სპორტშიც აქტიურად ჩავები. სასწაულად კარგი პირობები გვქონდა. ნაირგვარი ინვენტარი და, რაც მთავარია, გვყავდა საუკეთესო ფიზალზრდის მასწავლებელი — გივი თალაკვაძე.

ტექნიკუმში მრავლად იყვენ ჭიდაობის მოყვარული ქართლელები და კახელები.

ერთ-ერთი ვარჯიშის დროს დარბაზში შემოვიდა ყოფილი სამხედრო კაცი, მათე მასწავლებელი. შემადგენლობაში მე ვიყავი ყველაზე პატარა. გამოგვიცხადა, საგარეჯოში უნდა წაგიყვანოთ, აბა, თქვენ იცითო და მორჩა.

თბილისამდე მატარებლით ვიმგზავრეთ. მერე — საგარეჯომდე — ავტობუსით. თუ რა კურიოზები მოხდა მხოლოდ და მარტო ამ ერთ მგზავრობაში, ძალიან დიდი თემა გამოვა, თუმცა ეს მომავლისთვის შემოვინახოთ, ვიცინებთ კიდევ.

მოკლედ, ჩავედით „ამ" საგარეჯოში. ჩვენთვის იყო „ამ" თორემ მაშინაც და ახლაც საგარეჯოა. მაშინ სასტუმროს ნომრებს ვინ მოგვცემდა (კახურად რომ ვთქვათ — ვინ მოგვაოხრებდა) და დავბინავდით კერძო დაქირავებულ ბინებში.

კარგად მახსოვს, ჩვენ გზირიშვილების ოჯახში მოვხვედით. დილით უემური ხმა მაღვიძებს — ااااااا!!! ااااا!!! ااااا!!!

— მიწისძვრაა! — იყვირა ერთმა ჩემმა თანაგუნდელმა და ისკუპა ფანჯრიდან.

— ااا! — ისმის ისევ.

— თავს უშველეეთ! — იყვირა მეორემ.

გავრბივართ, ახლადგამოღვიძებულები და თავრეტდასხმულები.

ეს კახური „ნათლობა" ყოფილა.

ვირი... ვირი ყროყინებდა „დილის საარს" — „კახური ბუდილნიკ-გუდოკი".

თვალს ჩაგიკრავ...

ვინ არ გამიზრდია, კაცო! ვინ არ დამიყენებია გზაზე, სნორ გზაზე. ვინ მსოფლიო ჩემპიონად მიქცევია, ვინ — ოლიმპიურ ჩემპიონად. არავის ვაკნინებ. ყველა ქართველ მოჭიდავეს შემოევლოს ჩემი თავი.

ერთხელ „ცკ"-ში მიბარებს ჩვენი კურატორი (გვარს და სახელს არ ვასახელებ)

შევედი... „რაშია საქმე"?

— მობრძანდით, მეუბნება დამხვდური კურატორი.

მგონია შემაქებს (ვიცი, რომ სულ წარმატებით დავდივარ ჩემი ცხოვრება).

მივბრძანდი.

— რა ხდება? — მეკითხება კურატორი.

— რა ხდება? — გავიმეორე ინსტინქტურად.

— კაცო... გიჩივიან... საყვედურებია შენზე.

— რა დავაშავე, ბატონო?

— რა და... რა და... ამბობენ, რომ მიკერძოებისკენ გქონია მიდრეკილება.

გადავირიე.

— დაკონკრეტებით მითხარით, ბატონო.

— რა და — მეუბნება კურატორი — შენ ხომ მეგრელი ხარ?

— მერედა ეს დანაშაულია, ბატონო?

— არა, ახლა მთლად მასეც არაა საქმე, მაგრამ რაშია საქმე?

— რაშია საქმე? — გავიმეორე თუთიყუშივით მეც.

— რაშია და, ვიძახოთ ახლა, რაშია, რაშია...

— მითხარით, ბატონო.

— ბიჭო, — დაიწყო „ცკ"-ს კურატორმა. ათი კაცი რომ გყავს (სიტყვაზე) შვიდი მეგრელი რატომაა?

საქართველოში ასეა — შურია, რომ აჩანაგებს და ასავათებს ჩვენს მიწაწყალს უდაბნოსავით, თორემ ისე რა გვიჭირს.

— გითხრათ? — გავბედე.

— თქვი...

— ბატონო კურატორო, მე მთავარი მწვრთნელი ვარ.

— ეგ ვიცი... მეგრელები რატომ გეჭარბება, კაცო, მეგრელები? საჩივარია შემოსული.

ხმა ჩავიწმინდე და გავუბედე:

— იმიტომ, ბატონო, რომ მეგრელს მე რომ ჭიდაობის დროს თვალს ჩავუკრავ, ანუ — თვალით ვანიშნებ — წამოიღეეე! — მოაქვს კისრით. რა ვქნა, ბატონო, სხვებს კი არ ვაკნინებ, მაგრამ სხვებმა მეგრული თვალის ჩაკვრა (მეგრელები რომ არ არიან — იმიტომ!) არ იციან და რა ვქნა — ეს ერთადერთი საყვარელი ჯოხი დავამტვრიო თავზე?! მაინც ვერ ვაგებინებ-მეთქი.

მდგომარეობა ელვისებურად დასტაბილურდა. მეგრელი კურატორი კმაყოფილი დარჩა.

კინალამ ინდოელების სიძე...

ცოლის შერთვა ოცდაათი წლისამ გადავწყვიტე.

დატრიალდა მთელი სამეგრელო, მთელი ოდიში.

— ვინ მოგყავს მაინც წიე? — მეკითხებიან ბაღის და სკოლის ბავშვობაში მივიწყებული „ნაშები".

— ეთერი.

— სადაურია მაგ? — ვერ იკავებენ ცნობის და ჭორისმოყვარეობას.

— ნიგოეთიდან, ნიგოეთიდან — დავფრინავ ზეცაში მომავალი სიძე ბატონი.

ერთი ქალი ზაფრანებს აცვამს უზარმაზარ დაგრეხილ კაპრონის ძაფზე.

— რას შვრებით? — დავინტერესდი მომავალი სიძე.

— დედოფლისთვის ვამზადებთ ზაფრანის გვირგვინს.

ელდა მეცა... რა ხდება?

— რად გინდათ ეს ზაფრანა? — ვეკითხები ქალებს.

— ინდოელებს უყვართ ზაფრანის გვირგვინი.

— რა ინდოეთი კაცო, გაგიუდით თქვენ?!

— აპა, არ თქვი ინდოეთიდანააო? — გაუკვირდათ.

— ინდოეთიდან კი არ ა ნიგოეთიდან, ნიგოეთიდაااااან!

ახლაც ბევრს ვიცინით ამის გახსენებაზე.

მურმან მერკვილიშვილი

უცხოური სპორტი

● ჭადრაკი

ერთიანი ბიგლიოთეკა

თაღლითობა ფრანგულად

ფრანგმა მოჭადრაკემ **სებასტიან ფეიერმა** ხუთწლიანი დისკვალიფიკაცია მიიღო კომპიუტერის კარნახის გამო. 20 წლის ფეიერი არასამართლიან თამაშში 2010 წელს საჭადრაკო ოლიმპიადის დროს ამხილეს, რომელიც სექტემბერში ხანტი-მანტიისკში გაიმართა. ფრანგს ორი დამხმარე ჰყავდა - წერს ბრიტანული გამოცემა „დეილი ტელეგრაფი".

ფეიერის მატჩების დროს მეორე ფრანგი მოჭადრაკე **სირილ მარზოლო** (ის ამ დროს საფრანგეთში იმყოფებოდა) კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით აანალიზებდა პარტიის მსვლელობას. კომპიუტერის ვარიანტს ის SMS-ის მეშვეობით უგზავნიდა ხანტი-მანსიისკში საფრანგეთის ნაკრების კაპიტან **არნო ოშარს.**

მარზოლო სპეციალურ შიფრს იყენებდა. მაგალითად, ციფრები 63 68 ნიშნავდა იმას, რომ ფეიერს უნდა გაეკეთებინა სვლა: F3-F8. ასე შეიძლება დადიოდეს ეტლი ან ლაზიერი.

ოშარი ინფორმაციას ფეიერს გადასცემდა - ისინი სიგნალზე ნაადრევად იყენენ მოლაპარაკებულები.

ფეიერის, ოშარისა და მარზოლოს თაღლითობა საფრანგეთის ჭადრაკის ვიცე-პრეზიდენტმა **იოან პომიანმა** ამხილა. ეს ჯერ კიდევ გასული წლის ოქტომბერში მოხდა, მაგრამ ამ ისტორიის შესახებ ფართო საზოგადოებისთვის მხოლოდ ახლა გახდა ცნობილი. მარზოლომ და ფეიერმა ხუთწლიანი დისკვალიფიკაცია მიიღეს, ოშარი კი სამუდამოდ ჩამოაშორეს სამწვრთნელო სამუშაოს.

საჭადრაკო ოლიმპიადაზე ფეიერმა ცხრა პარტიაში მიიღო მონანილეობა. ტურნირის ოფიციალური ვებგვერდიდან ვიგებთ, რომ მან ხუთ გამარჯვებას მიაღწია, ორჯერ დამარცხდა და ორი პარტია ყაიმით დაასრულა. საფრანგეთის მამაკაცთა ნაკრებმა ოლიმპიადაზე მეათე ადგილი დაიკავა. როგორც „დეილი ტელეგრაფი" აღნიშნავს, ფეიერმა ამ ტურნირზე ხუთი ათასი ევრო გამოიმუშავა.

გია თვალაბეიშვილი

● ფორმულა 1

ნიუ იორკში რბოლა არ იქნება

ერთ-ერთ წინა ნომერში ვწერდით იმის შესახებ, ფორმულა 1-ის მთავარი პრომოუტერი **ბერნი ექსლტოუნი** არ დაესწრება ავსტრალიის გრანპრის. მიზეზი ნიუ იორკში ვიზიტი იყო, რომლის დროსაც ბრიტანელ მილიარდერს იქაურ მერთან ერთად უნდა განეხილა ამ ქალაქში ფორმულა 1-ის ეტაპის ჩატარების პერსპექტივა.

თუმცა რამდენიმე დღეში ექსლტოუნმა უარყო ეს ინფორმაცია: *„ლონდონში საკუთარ ოფისში ვიმყოფები და არ ვაპირებ ნიუ იორკში გამგზავრებას. ასი პროცენტით შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ სტეიტენ აილენდში რბოლა არ გაიმართება".*

მიუხედავად ამისა, ბერნი ექსლტოუნი მაინც არ აპირებს ავსტრალიაში პირველ რბოლაზე დასწრებას.

გია თვალაბეიშვილი

● მძლეოსნობა

ძველი ცოდვები გაუხსენეს

გასული საუკუნის 90-იანი წლების ერთ-ერთი საუკეთესო სპრინტერი **ჟანა პინტუსევიჩი,** შესაძლოა, კარიერაში მოპოვებული მთავარი პრიზების გარეშე დარჩეს. თუ დამტკიცდა, რომ უკრაინელი მორბენალი სტეროიდებს იყენებდა, მას მსოფლიოს ჩემპიონატებზე მოპოვებულ სამ ოქროს მედალს ჩამოართმევენ.

პინტუსევიჩის მიმართ გამოძიება მას შემდეგ დაიწყო, რაც მისი ქმარი, მწვრთნელი და აგენტი **მარკ ბლოკი** 10-წლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს აკრძალული პრეპარატების გავრცელებისთვის. ამ პრეპარატებს სკანდალურად ცნობილი ლაბორატორია BALCO აწარმოებდა. გამოძიებას ეჭვი აქვს, რომ ბლოკი თავის მეუღლესაც ამარაგებდა დოპინგით.

ახლა სპრინტერის დანაშაულის ხარისხს მძლეოსნობის საერთაშორისო ასოციაცია და უკრაინის მძლეოსნობის ფედერაცია გამოიკვლევენ. თავად მარკ ბლოკი თავისი დისკვალიფიკაციის გასაჩივრებას აპირებს სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოში.

გია თვალაბეიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირის ბოლოს

პრემიალური

ალექსანდრე ტოგონიძის კოლაჟი

ჩოგბურთი. მიმოხილვა

ფავორიტების ცუდი დღე

წარმატებით დაიწყო მაიამის ტურნირზე გამოსვლა მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **კაროლინ ვოზნიაცკიმ**. დანიელს მეტოქედ რეიტინგის 43-ე ნომერი, ამერიკელი **ბეტანი მატეკი** ჰყავდა, რომელიც **სერენა** და **ვენუს უილიამსების** არყოფნაში მაიამიზე მასპინძელთა პირველი ნომერი იყო. მაგრამ მას წილისყრის მხრივ არ გაუმართლა და თავიდანვე ტურის საუკეთესო მოთამაშეს გადაეყარა.

აქამდე ეს ჩოგბურთელები მხოლოდ ერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს და 2009 წელს რომის ტურნირზე დანიელმა ორ სეტში მოიგო - 6:1, 7:5. რა თქმა უნდა, ფავორიტი ახლაც კაროლინი იყო, რომელმაც სულ რამდენიმე დღის წინ მოიგო ინდიან უელსი.

პირველმა სეტმა მთლიანად ვოზნიაცკის კარნახით ჩაიარა. დანიელი ერთი თავით მაღლა იდგა თავის მეტოქეზე და მატეკს მხოლოდ ორი გეიმი დაუთმო. ვოზნიაცკიმ პირველ პარტიაში სამი ბრეიკ-პოინტი გამოიყენა ხუთიდან, თავად კი ერთხელ დათმო საკუთარი მოწოდება.

მეორე სეტიც ვოზნიაცკისთვის ისევე იოლად დაიწყო, როგორც პირველი. მაგრამ ბოლოსკენ ამერიკელმა შესამჩნევად მოუმატა და აანერვიულა პირველი ჩოგანი, რომელსაც დიდი ძალისხმევა დასჭირდა იმისთვის, რომ თამაში მესამე პარტიაში არ გადასულიყო. მატეკმა დაკარგული ბრეიკი დაიბრუნა, მაგრამ 5:5-ზე კაროლინმა იძალა და ზედიზედ ორი გეიმის მოგებით სეტი და მატჩი თავის სასარგებლოდ დაასრულა.

მესამე წრეში ვოზნიაცკის სლოვაკი **დანიელა ჰანტუხოვა** შეხვდება, რომელმაც ტურნირის მიღმა დატოვა კიდევ ერთი ამერიკელი **მელანი ოუდინი**. საერთოდ ამერიკელებს იმ დღეს სერიოზული დანაკლისი ჰქონდათ. იუდინისა და მატეკის გარდა, ბრძოლას ჩამოშორდა **ჯეიმი ჰემპტონი**.

მარია შარაპოვა სამწლიანი შესვენების შემდეგ დაბრუნდა მაიამიში და პირველივე მატჩში უპრობლემოდ გაიარა **პეტრა მარტიჩის** ბარიერი. 66 წუთის განმავლობაში რუსმა ექვსი ბრეიკ-პოინტი მოიპოვა, რომელთაგანაც ოთხი გამოიყენა.

ყველაზე დაძაბული ბრძოლა იყო **იოჰანა ლარსონისა** და **ნა ლის** შორის. შვედი კარიერაში პირველად ხვდებოდა ტოპ-25-ის წარმომადგენელს - იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ შორეულ ეტაპებზე ვერასდროს გადიოდა და როგორც წესი, თავისნაირ განუთესავ მოთამაშეებთან მარცხდებოდა.

ამჯერად სკანდინაველი საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურებოდა და თავისუფლად შეეძლო ორ პარტიაში გადაეწყვიტა მატჩის ბედი. პირველი სეტის 7:5 მოგების შემდეგ, ლარსონმა მეორეში 4:0 წაიყვანა ანგარიში და თითქოს აღარ უნდა გასჭირვებოდა შემდეგ ეტაპზე გასვლა, მაგრამ ავსტრალიის ღიას ფინალისტმა ტაი-ბრეიკამდე მისვლა და სეტებს შორის ანგარიშის გათანაბრება შეძლო. დაინიშნა მესამე სეტი და ახლა უკვე ნა ლი იყო ვალდებული გამარჯვებამდე მიეყვანა მატჩი. გადამწყვეტ პარტიაში 4:0-ს იგებდა, 5:4-ზე სამმაგი მატჩბოლი ჰქონდა, ხოლო გადამწყვეტ ტაი-ბრეიკზე 4:0 მიჰყავდა ანგარიში. მაგრამ შვედი სამივე მომენტიდან დაუძვრა წაგებას და სამსაათიან ბრძოლაში დღის მთავარი სენსაცია დააფიქსირა.

კიდევ ერთი ჩინელი - **ჟიე ჟენგი** გამოეთიშა ბრძოლას, თუმცა მას ისედაც არ ჰქონდა შანსი ტურნირის მეოთხე ნომრის - **სამანტა სტოსურის** წინააღმდეგ. ავსტრალიელმა 58 წუთში ყველა კომპონენტში დაჯაბნა აზიელი. სამაგიეროდ, გაგვაკვირვა **შუაი პენგმა**, რომელმაც განთესილი **არავან რეზაი** დაამარცხა, თანაც პირველი სეტი ნულზე მოიგო.

იმ დღეს კიდევ ოთხი განთესილი ჩოგბურთელი გამოეთიშა ბრძოლას. **ფლავია პენეტამ** ძალიან სუსტი თამაში აჩვენა **ივეტა ბენეშოვას** წინააღმდეგ - ერთ-ერთი სეტი იტალიელმა „მშრალი" ანგარიშით დათმო. ტურნირის მეათე ნომერმა **შაარ პეერმა** ასევე უშანსოდ წააგო ესპანელ **ანაბელ მედინა გარიგესთან**. ისრაელელს 63 წუთის განმავლობაში ერთი ბრეიკ-პოინტიც არ ჰქონია! ასევე ალვნიშნავთ **იანინა ვიკმაიერისა** და **ნადეჟდა პეტროვას** წაგებებს შესაბამისად **ელენა ვესნინასთან** და **საბინ ლისიცკისთან**. თუმცა პეტროვამ წაადრევად შეწყვიტა მატჩი ლისიცკის წინააღმდეგ. რუსმა თავბრუსხვევა იგრძნო და მესამე სეტში დამარცხება აღიარა.

იოჰანა ლარსონი

WTA

Sony Ericsson Open

მაიამი (აშშ). ჰარდი

საპრიზო ფონდი: 4 500 000 დოლარი

II წრე

კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 1)-ბეტანი მატეკი (აშშ) 6:2, 7:5; **სამანტა სტოსური (ავსტრია, 4)**-ჟიე ჟენგი (ჩინ) 6:2, 6:1; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 6)**-მონიკა ნიკულესკუ (რუმ) 6:3, 6:1; **იოჰანა ლარსონი (შვედ)**-ნა ლი (ჩინ, 7) 7:5, 6:7(5), 7:6(5); **ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ)**-შაარ პეერი (ისრ, 10) 6:2, 6:2; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 11)**-სიმონა ჰალეპი (რუმ) 6:0, 6:4; **ივეტა ბენეშოვა (ჩეხ)**-ფლავია პენეტა (იტა, 13) 6:3, 6:0; **მარია შარაპოვა (რუს, 13)**-პეტრა მარტიჩი (ხორ) 6:3, 6:2; **საბინ ლისიცკი (გერ)**-ნადია პეტროვა (რუს, 18) 4:6, 6:3, 3:1 უარი; **შუაი პენგი (ჩინ)**-არავან რეზაი (საფ, 20) 6:0, 6:4; **ანდრეა პეტკოვიჩი (გერ, 21)**-ჯეიმი ჰემპტონი (აშშ) 6:2, 7:5; **ელენა ვესნინა (რუს)**-იანინა ვიკმაიერი (ბელ, 23) 6:2, 5:7, 6:4; **ალექსანდრა დულგერუ (რუმ, 26)**-შანელ სხეპერსი (ს. აფრ) 6:3, 6:2; **დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 29)**-მელანი ოუდინი (აშშ) 6:1, 6:3; **ლუსი საფაროვა (ჩეხ, 30)**-პატი შნიდერი (შვეიც) 6:2, 6:4; **კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ, 32)**-ელენა ბალტაჩა (ბრიტ) 7:6(4), 6:3.

გია თვალაბეიშვილი

ლონდონის შემდეგ პენსიაში

მსოფლიოს მეორე ჩოგანმა **კიმ კლაისტერსმა** დაადასტურა, რომ 2012 წელს ლონდონის ოლიმპიური თამაშების შემდეგ დაასრულებს კარიერას.

„სავარაუდოდ, ლონდონის ოლიმპიადა იქნება ჩემს კარიერაში ბოლო დიდი ტურნირი, რის შემდეგაც შევწყვეტ პროფესიულ დონეზე გამოსვლას", - განაცხადა ამერიკის ღია პირველობის სამგზის ჩემპიონმა.

„ახლა თავს შესანიშნავად ვგრძნობ, მხარი აღარ მაწუხებს, რომლის გამოც შევწყვიტე წინა კვირას ინდიან უელსის ტურნირზე გამოსვლა. თუმცა მაიამის ტურნირზე მცირე დაზიანების შემთხვევაშიც ვითამაშებდი, რადგან ეს ჩემი ერთ-ერთი საყვარელი ტურნირია", - დაამატა ბელგიელმა ჩოგბურთელმა, რომელმაც ინდიან უელსში ვადაზე ადრე დაასრულა მატჩი ფრანგ **მარიონ ბარტოლისთან**.

მაიამის სუპერტურნირის მეორე წრეში კლაისტერსს გუშინ უნდა ეთამაშა ბელარუსი **ანასტასია იაკიმოვას** წინააღმდეგ.

გია თვალაბეიშვილი

კიმ კლაისტერსი